პალიტრა მედია
ლელო
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
28 იანვარი **პარასკევი** 2011
№021 (13318) ფასი 60 თეთრი

დღეს ელენეს ევროპაა

დღეს შვეიცარიის დედაქალაქ ბერნში ელენე გედევანიშვილი ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობას იწყებს. ქართველი მოციგურავე შარშანდელი წარმატებების გამეორებას შეეცდება. მას ფავორიტებში მოიხსენიებენ და 28 მონაწილეს შორის მე-19 ნომრით ისრიალებს. მოკლე პროგრამა ჩვენი დროით საღამოს 5 საათზე დაიწყება, ელენეს გამოსვლას კი დაახლოებით 7 საათისთვის ველით.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

შერმა VS ბარსა

გიორგი შერმადინის ყველაზე დიდი მატჩი

11

როჯერს მოუჯოკრეს

არც ნადალი და აღარც ფედერერი

16

დავით ზარქუა საქართველოს ჩემპიონია

ჭადრაკი

10

რაგბის ვარსკვლავი თბილისში

13

● ტორპედო

რა ამოძრავებს ფეხბურთს?

ბენზინი, გაზი, მეთანი, ენერგია

გუშინანთალიაში ქუთაისის „ტორპედო“ მეორე საკონტროლო მატჩში რუმინეთის ჩემპიონატის მეხუთეადგილოსან „გაზ მეთანს“ დაუპირისპირდა.

კლუბის პრესსამსახურის ინფორმაციით, მე-12 წუთზე "ტორპედო" **გია მეგრელაძემ ლუკა გუგუჩიას** გადაცემის შემდეგ დააწინაურა.

მე-60 წუთზე რუმინელებს მეკარე **ომარ მიგინეიშვილის** შეცდომით შეეძლოთ ესარგებლათ, მაგრამ „გაზ მეთანის“ ფორვარდმა კარს ააცილა.

ზედიზედ მეორე მატჩია, "ტორპედოს" მოთამაშეს მოედნიდან აძევებენ: ამჯერად წითელი ბარათი **ლევან ბაკურაძეს** უჩვენეს, მაგრამ მსაჯმა ქუთაისელებს ნება დართო, ის **გივი ჩხეტიანით** შეეცვალათ.

86-ე წუთზე **ნიკა მაისურაძის** ჩანოდებული ბურთი კარისკენ **ნიკა საბანაძემ** გაგზავნა, მაგრამ რუმინელები გოლისგან მეკარემ იხსნა.

90-ე წუთზე ქუთაისელები დაცვაში შეცდნენ და **ალინ ლიტუმ** "გაზ-მეტანი" წაგებისგან იხსნა - 1:1.

გაზ მეთანი-ტორპედო 1:1

ტორპედო: **მიგინეიშვილი, თოდუა, მაჭავარიანი, ჩიკვილაძე, ფოფხაძე, თარხნიშვილი (56. დიღმელაშვილი), ბაკურაძე(69. ჩხეტიანი), გურული (46. დათუნაიშვილი), გუგუჩია(58. მაისურაძე), კვარაცხელია (63. საბანაძე), მეგრელაძე (79. კემუხტაშვილი).**

მომდევნო შეხვედრას „ტორპედო“ 29 იანვარს რუსეთის პირველლიგელ ხაბაროვსკის „სკა-ენერგიათან“ გამართავს.

● დინამო

რა თქმა უნდა, სერბი და ერთი გაგრელიც

თბილისის "დინამოში" კიდევ ერთ უცხოელს აკვირდებიან: კლუბის პრესსამსახურის ინფორმაციით, ახალწვეული 29 წლის ტანმაღალი (194 სმ) სერბი ცენტრალური მცველი **ნებოშა იოქსიმოვიჩია**. მას სერბეთის „ცრვენა ზვეზდასა“ და შვეიცარიულ „ქსამაქსში“ უთამაშია. სერბმა მცველმა გუშინ დილით გუნდთან ერთად პირველად ივარჯიშა.

„დინამოში“ ისინჯება 19 წლის ნახევარმცველი **თორნიკე თუხარელიც**, რომელიც სამი წელი "გაგრაში" გამოდიოდა.



ნებოშა იოქსიმოვიჩი

● ფეხბურთელები კლუბების წინააღმდეგ

გია ჭანტურია



ილია კოკაია

ჭანტურია ბოსმანის გზაზე: კლუბებმა ჭკუა უნდა ისწავლონ

ფოთის "კოლხეთს" მოთამაშეები ფეხბურთის ფედერაციაში უჩივიან. კლუბს პირველ წრეში ძალიან გაუჭირდა და მათ წინაშე აღებული ვალდებულებები ვერ შეასრულა. ცხრა მათგანმა - **ზურაბ ექონიამ, ლევან თედიაშვილმა, ლექსო ინწკირველმა, ოლეგ გველესიანმა, გიორგი დეკანოსიძემ, ლაშა სილაგავამ, დათა სიჭინავამ, რევაზ ჯიქიამ** და **დათა ციცხვაიამ** - გუნდი დატოვა და ფედერაციის დახმარებით დავალიანების გასტუმრებას ითხოვს.

როგორც გვითხრეს, ეს ფეხბურთელები საქმეს "კოლხეთთან" აღარ დაიჭერენ. მათ წერილით ფეხბურთის ფედერაციას მიმართეს, საიდანაც ფედერაციის მიერვე შექმნილ საფეხბურთო არბიტრაჟში გააგზავნეს – საქართველოს საფეხბურთო სამყაროში არსებულ დავებს ამიერიდან ეს ორგანო გაარჩევს.

ფეხბურთელები დაიმედეს, რომ საკითხს ფედერაციის ყრილობის შემდეგ განიხილავდნენ, მაგრამ ჯერ საქმე არ დაძრულა.

შევიტყვეთ, რომ საფეხბურთო არბიტრაჟი განიხილავს "ჭანტურია-"ზესტაფონის" ძველ დავასაც, რომელიც ორი წლის წინ დაიწყო და ჯერაც არ დასრულებულა. **გია ჭანტურია** "ზესტაფონიდან" გაუშვეს არა ვარჯიშის გაცდენის, რეჟიმის ან კონტრაქტის სხვა მუხლის დარღვევის გამო, არამედ კლუბის პრეზიდენტ **ილია კოკაიასთან** შელაპარაკებისთვის. ფეხბურთის ფედერაციის ტრანსფერებისა და მოთამაშეთა სტატუსის კომისიამ საკითხი რამდენჯერმე განიხილა – 2008 წლის დეკემბერში კლუბს ორი თვის ხელფასის გადახდა და მეკარის გუნდში დაბრუნება დააკისრა. "ზესტაფონმა" გადაწყვეტილება არ შეასრულა, ჭანტურია ვარჯიშებს თავად აცდენდა და თუ უნდა, უიმხელფასებოდ დაბრუნდესო.

ვეტერანმა ფეხბურთელმა დახმარებისთვის კვლავ ფედერაციას მიმართა. 2009 წლის 22 იანვარს კომისიამ "ზესტაფონს" კონტრაქტის უსაფუძვლოდ განყვეტა დაუფიქსირა და სასჯელი გაუმკაცრა, კლუბს ჭანტურიას სასარგებლოდ კონტრაქტის დასრულებამდე დარჩენილი 14,5 თვის ხელფასის გასტუმრება დაავალა, რაც 29 ათას ლარს შეადგენდა. "ზესტაფონმა" ფედერაციის გადაწყვეტილება კვლავ არ შეასრულა.

საქმეში ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელი პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი** ჩაერია, რომელმაც 2009 წლის ივნისში აღმასკომის წევრებს შესთავაზა - "ზესტაფონი" ჭანტურიას მხოლოდ უგუნდოდ დარჩენის პერიოდში ასაღებ თანხას გადაუხდის, ანუ 29 ათასი ლარის ნაცვლად 7 ათასსო. მოტივად შემდეგი არგუმენტი დაასახელა - ჭანტურია 2009 წლის თებერვალში ბოლნისის „სიონში“ ჩაირიცხა და შემოსავალი გაუჩნდაო. აღმასკომმა წინადადება დაამტკიცა.

"ზესტაფონმა" აღმასკომის მხარდაჭერაზე ახალკაცის აქტიურობამდეც იზრუნა, მაგრამ პირველ ცდაზე უარი მიიღო – მისამართი შეგეშალათ, საკითხი ჩვენს კომპეტენციას სცილდებაო. ახალკაცის წინადადებას კი აღმასკომი დათანხმდა.

გია ჭანტურიას აღამსკომის გადაწყვეტილების გასაჩივრება სურდა, მაგრამ აქ კიდევ ერთ კურიოზს წააწყდა – ფედერაციაში სპორტული საარბიტრაჟო სასამართლო არ არსებობდა. ქართული სამართლით იმედგაცრუებულმა მეკარემ სარჩელის წარდგენა ფიფაში სცადა, მაგრამ წესია ასეთი – მსგავსი დავის განხილვისთვის ფიფაში წერილი ფეხბურთის ფედერაციიდან უნდა გაეგზავნათ. ცხადია, მაშინ ეს შეუძლებელი იყო, სპორტული არბიტრაჟიც არ არსებობდა, თუმცა ჭანტურია არ გაჩერებულა და ამასობაში საფეხბურთო არბიტრაჟიც დაფუძნდა. ახლა ჭანტურია კვლავ იმუქრება, ქართველი ბოსმანი გავხდებიო.

"სარჩელი საფეხბურთო არბიტრაჟში შევიტანე და მითხრეს, რომ საკითხი უახლოეს დღეებში განიხილება. რა თქმა უნდა, ჩემთვის ფული ახლა მნიშვნელოვანია, რადგან კარიერა დავასრულე და შემოსავალი არ გამაჩნია. თუმცა უფრო მნიშვნელოვანია, რომ ჩემი საქმის განხილვა მაგალითი გახდეს ყველა იმ კლუბის ხელმძღვანელისთვის, რომლებსაც ჰგონიათ, რომ კონტრაქტის პირობების შესრულება მხოლოდ ფეხბურთელს ევალება და საქმიან ქალაღდებს როგორც უნდათ, ისე დახევენ. დარწმუნებული ვარ, საფეხბურთო არბიტრაჟში გავიმარჯვებ და ქართულ ფეხბურთში მოთამაშის უფლებების დაცვა ყველასთვის სავალდებულო გახდება. მე ფეხბურთიდან წავედი და, მინდა, სხვებს მაინც გავუკეთო საქმე", - გვითხრა ჭანტურიამ.

● ოლიმპიური ბიბლიოთეკა

მაისურაძემ კონტრაქტი დაიმსახურა

ზალცგურგმა ოლიმპს გაასწრო

რუსთავის "ოლიმპში" ბევრი ცვლილება მოხდა. გაუშვეს ისინი, ვინც კლუბის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდნენ - ვიცე-პრეზიდენტი **ზურაბ ჯაფარიძე,** დირექტორი **ბადრი ქარქაშაძე,** უსაფრთხოებისა და ლიცენზირების კოორდინატორი **ბადრი მაჭავარიანი,** პრესატაშე **მიხეილ ჯორბენაძე...**

საკმაო ხანს უცნობი იყო, ვინ დაინიშნა მათ ნაცვლად, მაგალითად, პრესსამსახურში. გუშინ შევიტყვეთ, რომ რუსთაველთა ახალი პრესატაშე "ლელოს" ყოფილი თანამშრომელი **შოთა შერმადინი** გახდა.

შოთას გუშინ თურქეთში დავუკავშირდით და მიმდინარე ამბები გამოვკითხეთ.

"გუნდი სიდეში 4-ვარსკვლავიან სასტუმროში დაბინავდა. სიდეშია ფიზმომზადების შვეიცარიელი სპეციალისტი ოლდრიხ შვაბიც, რომელიც საწვრთნელ პროცესში აქტიურად მონაწილეობს. ფეხბურთელები საკმაოდ მძიმე რეჟიმით იტვირთებიან - თორნიკე მაისურაძე ფეხბურთელებს დღეში სამჯერ ავარჯიშებს. ჩამოსვლამდე ოთხი საკონტროლო შეხვედრა გვქონდა დაგეგმილი. ერთი მათგანი დღეს ავსტრიის ჩემპიონ "ზალცბურგთან" უნდა ჩაგვეტარებინა, მაგრამ ორგანიზატორებს რაღაც შეეშალათ, რადგან ავსტრიელები სამშობლოში 25 იანვარს გაემგზავრნენ და, ცხადია, საკონტროლო მატჩი ჩაიშალა.

სხვა მატჩების გრაფიკი კი უცვლელი დარჩა. ორ მეტოქეს უკვე შევხვდით, თურქულ "ისტანბულსა" და შვეიცარიულ "სერვეტს", 31 იანვარს შვეიცარიულ "ვილს" ვეთამაშებით, სავარაუდოდ, 1 თებერვალს — ბულგარულ "აკადემიკს" და ღამით საქართველოში მოვემგზავრებით", - გვითხრა შერმადინმა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ჩემპიონმა თურქეთში ორივე შეხვედრა 25 იანვარს გამართა და ორივე მოიგო: 4:0 "ისტანბულსფორთან" და 3:2 ''სერვეტთან''.

*შერმადინის თქმით, გადაწყვეტილია "ოლიმპში" **ირაკლი მაისურაძის** ჩარიცხვა. ბელარუსული "ვიტებსკის" ყოფილმა ნახევარმცველმა ორ მატჩში 3 გოლი გაიტანა და მწვრთნელის ნდობა გაამართლა.*

"მაისურაძის საკითხი გარკვეულია, მაგრამ ჯერ ღიად რჩება ზაქარია ბეგლარიშვილის ტრანსფერი. დარჩება თუ არა, ამის თქმა გამიჭირდება, რადგან ესტონურ კლუბ "ფლორასთან", სადაც ზაქარია თამაშობდა, მოლაპარაკება არ დასრულებულა - ლაპარაკია იჯარა ზე. ცხადია, ბევრი რამ ბეგლარიშვილზეც არის დამოკიდებული", - ამბობს შერმადინი.

გვერდი მოამზადა
მერაბ მამულაშვილმა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **37 78 07**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

● სამზადისი. სიონი

წაუგებლად და შედეგიანად

გიორგი ყიფშიძე

უმაღლესი ლიგის სხვა გუნდების მსგავსად ჩემპიონატის გადამწყვეტი ეტაპისათვის მზადებას ბოლნისის „სიონიც“ განაგრძობს — ქვემოქართლელები 20 იანვრიდან ურეკში იმყოფებიან და შეკრებას იქ გადიან. პარალელურად, „სიონი“ საკონტრლო მატჩებსაც ატარებს და, სხვათა შორის, ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში გუნდს ჯერ თამაში არ წაუგია! შეგახსენებთ, რომ ურეკში გამგზავრებამდე „სიონმა“ რუსთავის „ოლიმპს“ ჯერ მოუგო, შემდეგ კი თბილისის I.B.S.U.-ს, ხოლო ცხინვალის „სპარტაკთან“ ფრედ დაამთავრა შეხვედრა. ამის შემდეგ „სიონი“ ურეკში უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ მანამდე გუნდში, ცოტა არ იყოს უცნაური საკადრო ცვლილება მოხდა: მთავარი მწვრთნელის პოსტი საკუთარი სურვილით დატოვა **გიორგი ყიფიანმა**. ახალგაზრდა სპეციალისტის (ვინც სადებიუტო სეზონს ატარებდა უმაღლეს ლიგაში) ეს გადაწყვეტილება მართლაც მოულოდნელი იყო, რამეთუ იმ რესურსის გათვალისწინებით, დამწყებ მწვრთნელს რაც ჰყავდა, პირველ ეტაპზე „სიონის“ ასპარეზობას კატასტროფულსა თუ წარუმატებელს ვერავინ უწოდებდა. თუმცა, ეს ცალკე სალაპარაკო თემაა და უახლოეს დღეებში „ლელო“ ამ საკითხს აუცილებლად დაუბრუნდება. „სიონი“ უთავკაცოდ „დიდხანს“ არ დარჩენილა: ბოლნისური კლუბის გაწვრთნა, ვინ მოთვლის, უკვე მერამდენედ შესთავაზეს **გიორგი ყიფშიძეს.;** რომელიც პირველ ეტაპზეც „სიონის“ სამწვრთნელო შტაბში იყო და ვინც მესამე ათეული ნელიწადია ერთგულად ემსახურება მშობლიური ქალაქის გუნდს (ჯერ, როგორც ფეხბურთელი, მერე კი, როგორც — მწვრთნელი). სწორედ ყიფშიძის ხელმძღვანელობით გაემგზავრა ურეკში „სიონი“ და გუშინდლამდე ორი სპარინგმატჩი ჩაატარა: ფოთის „კოლხეთთან“ ფრედ ითამაშა (0:0), ხოლო „სამტრედიას“ 3:0 მოუგო. აი, გუშინ კი „სიონის“ მეტოქე ერთ დროს ქართული საკლუბო ფეხბურთის გამორჩეული გუნდი, დღესდღეობით კი პირველ ლიგაში VI ადგილზე მყოფი ლანჩხუთის „გურია“ იყო. ბოლნისელთა უპირატესობა ეჭვს არ ნსვევდა და რანგით დაბალ ლიგაში მოასპარეზე მეტოქე დიდი ანგარიშით (6:1) დაამარცხა. გუნდებმა შეხვედრა შემდეგი შემადგენლობით ითამაშეს:

„სიონი“: მერლანი - ლ. ვაშაკიძე (68. ლ. ჩხეტიანი), გ. ოქროპირიძე (46. ორბელაძე), გ. თარგამაძე (46. ინნკირველი), ქორიძე (46. კ. ჩხეტიანი) - გოგობერიშვილი, ლ. ნოზაძე (62. ადამაშვილი) - ნ. კვასხვაძე (65. ქუნთელია), მ. ოქროპირიძე (46. ალფაიძე, 83. ჭუმბურიძე), ჩირიკაშვილი (75. გ. კვანტალიანი) - ისიანი (46. გ. რეხვიაშვილი).

„ბურია“: გოგუაძე, ლომაძე (46. ხოფერია), ი. კილაძე, გოგიბერიძე, რ. კუკულაძე, თოლორდავა, გ. კუკულაძე, ფირცხალაიშვილი, გაგილაძე, ტ. კუკულაძე, დეისაძე.

გოლები: 1:0 გ. ოქროპირიძე (8), 2:0 კვასხვაძე (16), 3:0 ისიანი (37), 4:0 ჩირიკაშვილი (50), 4:1 კუკულაძე (65), 5:1, 6:1 რეხვიაშვილი (67, 82).

ბოლნისელთა შემადგენლობაში ოჯახური მიზეზის გამო არ უთამაშია **რევაზ ჯიქია**, სამაგიეროდ, სხვა „ცნობადი“ ახალწვეულები მოედანზე იყვნენ: **ალექსანდრე გოგობერიშვილი, კახა ჩხეტიანი, ირაკლი ჩირიკაშვილი, ალექსანდრე ინნკირველი.** „სიონის“ სამწვრთნელო შტაბს, ალბათ, ის ფაქტიც გაახარებდათ, რომ „დუბლი“ შეასრულა გუნდის პოტენციურმა ახალწვეულმა **გიორგი რეხვიაშვილმა** — ამ ფორვარდზე წლების წინ სპეციალისტები დიდ იმედს ამყარებდნენ, ერთი პერიოდი იტალიურ კლუბებშიც ისინჯებოდა, მაგრამ ბოლო დროს უკლუბოდ იყო. საერთოდაც, პირველ ეტაპზე „სიონის“ ყველაზე სუსტი რგოლი თავდასხმის ხაზი იყო — 18 მატჩში გუნდმა მეტოქეთა კარში მხოლოდ 12 გოლის გატანა მოახერხა (ამაზე უარესი შედეგი მხოლოდ „ტორპედოს“ ჰქონდა). რეხვიაშვილის გარდა, „სიონის“ შემადგენლობაში სხვა პოტენციურმა ახალწვეულებმაც ითამაშეს: 22 წლის **ნიკა კვასხვაძეს** კარიერის საუკეთესო წლები „ზესტაფონში“ აქვს გატარებული, თუმცა ბოლო დროს ვერც „გაგრაში“ და ვერც „ტორპედოში“ საკუთარ შესაძლებლობებს, მიზეზთა გამო, ვერ ავლენდა; ახლა კი, „სიონში“ პირველივე მატჩში გოლით გამოირჩა. სხვათა შორის, ურეკში „სიონთან“ ერთად შეკრებაზე რამდენიმე ჭაბუკი ფეხბურთელიც ისინჯება, მათ შორის მარჯვენაფლანგელი **თემურ ქუნთელია,** ვინც ბოლო დროს ერთ-ერთ კვიპროსულ კლუბში თამაშობდა.

„სიონის“ პრესსამსახურის უფროსის, ბატონ **ჯემალ ჭიპაშვილის** ინფორმაციით, ბოლნისური კლუბი ურეკში კიდევ ორ საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებს: 30 იანვარს იქვე შეკრებაზე მყოფ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს წაესპარინგება, 1 თებერვალს კი სომხურ „ულისს“ შეხვდება. ბატონმა ჭიპაშვილმა ისიც გვაცნობა, რომ არ არის გამორიცხული „სიონში“ ქართული „მასშტაბით“ რამდენიმე ცნობილი ფეხბურთელის გამოჩნდეს...

გია ტუხაშვილი

● U17

ელიტრაუნდის ბოლო შეფერხებები არ არის

17-წლამდელებს ძეცბაიაც ეხმარება

ახლოვდება ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდი და საქართველოს ნაკრებიც სულ უფრო ინტენსიურად ემზადება.

კობა ჟორჟიკაშვილმა გუნდი წლის დასაწყისშივე - 3 იანვარს შეკრიბა და თბილისში, ეროვნულ სტადიონზე ავარჯიშა. წვრთნა თავიდან ერთჯერადი იყო და აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზე კეთდებოდა, მერე კი დატვირთვებიც გაიზარდა და უფრო მრავალფეროვანი გახდა.

თავდაპირველად ჟორჟიკაშვილისა და მისი ასისტენტების განკარგულებაში 30 ფეხბურთელი იყო, 20 იანვარს კი 17-წლამდელები ურეკულ შეკრებაზე 24-კაციანი შემადგენლობით გაემგზავრნენ. საბედნიეროდ, გუნდს ტრავმის გამო არავინ გამოჰკლებია, ეს შეკრება მხოლოდ ნაკრების ლიდერს, კიევის "დინამოში" სინჯებზე მყოფ **ბაჩანა არაბულსა** და მიუნხენის "ბაიერნის" წევრ **ლუკას ჰუფნაგელს** უცდებათ. ცალკე თემაა "მიუნხენ 1860"-ის ნევრი **ლუკა ჩხაიძე**, რომელსაც საქართველოს ნაკრებში თამაშის იმედი არ დაუკარგავს, მაგრამ ჯერჯერობით მისთვის ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობის მინიჭება ვერ ხერხდება.

ურეკში გუნდი კარგ პირობებშია. საბედნიეროდ, ბიჭებს ამინდმაც ხელი შეუწყო და ვარჯიშებსა და სპარინგმატჩებს შეუფერხებლად ატარებენ. ჟორჟიკაშვილი გუნდის მომზადების დონით კმაყოფილია. ფეხბურთელები ორჯერად ვარჯიშებს თავისუფლად უძლებენ და ოპტიმალურ ფორმას ნელ-ნელა უახლოვდებიან. მწვრთნელების აზრით, გუნდი საჭირო კონდიციებში სასურველი ტემპით შედის და მარტში გასამართავი ელიტრაუნდისთვის ნაკრებს ყველაფერი რიგზე ექნება.

რაც შეეხება ამხანაგურ შეხვედრებს, ურეკში 17-წლამდელებმა უკვე ორჯერ ითამაშეს – ჯერ ოზურგეთის "მერცხალს" 2:1 სძლიეს **გოგიჩაიშვილისა** და **ფანცულაიას** გოლებით, შემდეგ კი **სამუშაას** მიერ გატანილი ბურთით ლანჩხუთის "გურია" 1:0 დაამარცხეს.

ურეკიდან თბილისში გუნდი 2 თებერვალს დაბრუნდება, მანამდე კი კიდევ ორ ან სამ ტესტმატჩს გამართავს. ხვალ 17-წლამდელთა ნაკრები ფოთის "კოლხეთს" შეხვდება, 1 თებერვალს კი ხარაგაულის "ჩხერიმელას" გაეჯიბრება. სამწვრთნელო შტაბი 30 ან 31 იანვარს კიდევ ერთი შეხვედრის ჩატარებას გეგმავს, ნაკრების მეტოქე ჯერ არ გარკვეულა.

თებერვლის ბოლოს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ესპანეთს ეწვევა და ამ ქვეყნის ძლიერ ნაკრებთან ორ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს. პირენეიში გამგზავრებამდე ერთი კვირით ადრე გუნდი თბილისში შეიკრიბება და დედაქალაქშივე ივარჯიშებს, ურეკული შეკრების დასრულების შემდეგ კი ფეხბურთელები საკუთარ კლუბებს დაუბრუნდებიან.

ესპანეთში საქართველოს ნაკრები 18 ფეხბურთელის შემადგენლობით გაემგზავრება, პირენეელებთან მატჩებისთვის გუნდს არაბული და ჰუფნაგელი აუცილებლად დაემატებიან. იმ 18 მოთამაშისგან შემდგარ სიაში ელიტრაუნდამდე ცვლილებები სულაც არ არის გამორიცხული, მაგრამ იქ მოხვედრილ ფეხბურთელთა დიდი ნაწილი ნაკრებში ადგილს ოფიციალური შეხვედრებისთვისაც შეინარჩუნებს.

ჟორჟიკაშვილი მოხარულია, რომ გუნდში დიდი კონკურენციაა და ძლიერი ფეხბურთელების არჩევანი ყველა რგოლშია. ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპის შემდეგ მწვრთნელებმა კიდევ არაერთი ახალწვეული გასინჯეს და მათი მომზადების დონით კმაყოფილნი დარჩნენ. შესაბამისად, ელიტრაუნდისთვის ნაკრებში ახალი სახეების გამოჩენა სავსებით მოსალოდნელია.


კობა ჟორჟიკაშვილი

დავინტერესდით იმითაც, თუ რა ინფორმაციას ფლობენ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელები მომავალ მეტოქეებზე. ინტერნეტში მათ მიერ ჩატარებული ბოლო მატჩების შედეგებს კი წაიწყდებით (ამ თემაზე წერილებს ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომრებში შემოგთავაზებთ), მაგრამ სულ სხვა საქმეა მოწინააღმდეგეთა შეხვედრების ვიდეოჩანაწერის ხილვა.

ბელარუსის 17-წლამდელთა ნაკრებს ჩვენი სამწვრთნელო შტაბი კარგად იცნობს, რადგან ამ გუნდს პალანგის საერთაშორისო ტურნირზე შევხვდით და გავანადგურეთ კიდეც. ჟორჟიკაშვილი ბელარუსთა ბოლოდროინდელი მატჩების ჩანაწერის მოპოვებასაც იმედოვნებს; რაც შეეხება ჩვენი ჯგუფის ფავორიტსა და მასპინძელ საფრანგეთს, მისი მატჩების ჩანაწერს ჩვენი 17-წლამდელების მწვრთნელებს **თემურ ქეცბაია** მიაწვდის. საქმე ისაა, რომ პირველი ეტაპი ფრანგებმა კვიპროსზე ჩაატარეს და ქეცბაიას ვიდეოფირის მოპოვება არ გაუჭირდება; რაც შეეხება მესამე მეტოქეს, ნორვეგიას, მას ელიტრაუნდის ბოლო ტურში ვხვდებით და საქართველოს ნაკრების მწვრთნელები სკანდინავებს საფრანგეთშივე დააკვირდებიან.

ლევან ჯანეზაშვილი

● სამზადისი. ზესტაფონი

ზესტაფონმა მეტოქეები გააარკვია: ხვალ სენსაციური ლეხი, მერე სპარტა და...

ფოტო: www.fczestafoni.ge

"ზესტაფონი" ესპანურ ესტეპონაშია და პირველი ვარჯიშებიც ჩაატარა. **გია გეგუჩაძის** გუნდი ყოველდღიურად ორ წვრთნას ჩაატარებს, გამონაკლისი მხოლოდ ის დღეები იქნება, როცა ფეროელები მატჩებს გამართავენ.

გეგუჩაძის განკარგულებაში მყოფი 24-ივე ფეხბურთელი ვარჯიშობს, მაგრამ **გიორგი ხიდეშელი** ჯერჯერობით ინდივიდუალური პროგრამით ემზადება. ზესტაფონელთა ცენტრალურ მცველს მიკროტრავმა აქვს და მწყობრში მალე ჩადგება.

ესპანურ შეკრებაზე საქართველოს ჩემპიონატის ლიდერები პირველ ამხანაგურ შეხვედრას ხვალ ჩაატარებენ. მათი მოწინააღმდეგე ევროპის ლიგის მეთექვსმეტედფინალში გასული და ჯგუფში "იუვენტუსის" ჩამტოვებელი პოზნანის "ლეხი" იქნება. ისიც გეხსომებათ, რომ სეზონის სტარტზე პოლონელებმა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან თერთმეტმეტრიანების სერიით ქართველებით სავსე ბაქოს "ინტერი" გამოთიშეს.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ, ევროასპარეზისგან განსხვავებით, სახელოვანი **ხოსე მარია ბაკეროს** გუნდი პოლონეთის ჩემპიონატში ვერ ყოჩაღობს და ამჟამად მხოლოდ მე-10 ადგილზეა.

"ზესტაფონმა" ვარჯიში ესტეპონას სპორტკომპლექსშიც მოასწრო და მარბელიის საფეხბურთო ცენტრის გაზონიც მოსინჯა. სწორედ იქ გაიმართება "მარბელიის თასის" გათამაშება, სადაც ქართველებიც იასპარეზებენ. უკვე გაირკვა "ზესტაფონის" მეტოქე ამ ტურნირის მეოთხედფინალში. გეგუჩაძის შეგირდები 2 თებერვალს ურთიერთობას პრაღის "სპარტასთან" გაარკვევენ. "სპარტა" ჩეხეთის პირველობაზე მეორე საფეხურზეა, გუნდს ჩეხეთის ეროვნული ნაკრების ყოფილი თავკაცი **იოჟეფ ხოვანეცი** წვრთნის.

ლევან ჯანეზაშვილი

● ჩაშლილი ტრანსფერი

კრასნოდარმა კლიმიაშვილი პრემიერლიგაში აღარ წაიყვანა

ირაკლი კლიმიაშვილი რამდენიმე დღის განმავლობაში რუსულ "კრასნოდარში" ისინჯებოდა და თითქოს პრემიერლიგაში მოულოდნელად (ფინანსურად შეჭირვებული „სატურნის“ ნაცვლად) გადასულ კლუბში დამკვიდრების შანსიც ჰქონდა, მაგრამ სამწუხაროდ, ტრანსფერი არ შედგა და ქართველმა ნახევარმცველმა კლუბი უკვე დატოვა. კლიმიაშვილმა "კრასნოდარის" შემადგენლობაში ორი საკონტროლო მატჩი ჩაატარა ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგასა" და მოსკოვის "დინამოს" წინააღმდეგ.

ჯერ უცნობია, ირაკლი ახლავე დაუბრუნდება "ვიტ ჯორჯიას" თუ სეზონის განახლებამდე კიდევ სადმე შეეცდება დამკვიდრებას. "კრასნოდარი" შეკრებაზე თურქულ ბელექშია და კლიმიაშვილიც იქ გასინჯეს, "ვიტ ჯორჯია" კი სიდეშია და არ არის გამორიცხული, იგი "ვეტერინარებს" იქვე დაუბრუნდეს.

"ვიტ ჯორჯიას" ხელმძღვანელობა თავის ფეხბურთელებს სინჯებზე წასვლისას არასოდეს აბრკოლებს და კლიმიაშვილის სხვაგან გადასვლა ჯერაც არ უნდა გამოვრიცხოთ. ირაკლის კლუბთან მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს და მისი გაყიდვა "ვიტ ჯორჯიას" ინტერესებში შედის.

შეგახსენებთ, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი და ეროვნულში რამდენიმე მატჩის ჩამტარებელი კლიმიაშვილი ყოველი სატრანსფერო ფანჯრისას ცდილობს კარიერის საზღვარგარეთ გაგრძელებას, მაგრამ სანადელს ჯერ ვერ მიაღწია. იმედია, სურვილს მალე აისრულებს...

ლევან ჯანეზაშვილი

● საქართველო-სომხეთი

მეთორმეტე მოთამაშე დიდი 14

კატერინა ქეცბაია მეუღლეს და საქართველოს ეხმარება

სინტერესო ამბავი შევიტყვეთ: ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, 9 თებერვალს კვიპროსზე, ქალაქ ლიმასოლში დაგეგმილი მატჩისთვის, რომელშიც საქართველოს ეროვნული ნაკრები სომხეთისას შეხვდება, „ჯვაროსნებს“ სიურპრიზი ელით – ქართველთა მთავარი მწვრთნელის მეუღლემ, **კატერინა ქეცბაიამ** გუნდის გასამხნევებლად ეროვნული ნაკრების გიგანტური 14-ნომრიანი მაისურა დაამზადებინა და მატჩის დროს ტრიბუნაზე გამოფენს.

14 ნომერი თემურ ქეცბაიას საყვარელი ნომერი იყო, რომლითაც ის "ანორთოსისში" გამოდიოდა, ფამაგუსტელთა თავკაცებმა გუნდის მუდმივ ნომრად გადასცეს და მეუღლემაც ამიტომ შეარჩია.

საქართველო-სომხეთის მატჩი „ცირიო სტედიუმზე“ 9 თებერვალს თბილისის დროით 17 საათზე დაიწყება. 2011 წლის პირველი მატჩისთვის თემურ ქეცბაიამ 21 ფეხბურთელი გამოიძახა. ეროვნული ნაკრები კვიპროსზე 6 თებერვალს გაემგზავრება, სრული შემადგენლობა კი 7 თებერვალს შეიკრიბება.

მერაბ მამულაშვილი

● მამები და შვილები

გურული, კორღალიძე...

2010 წლის 17 ნოემბერს **თემურ ქეცბაიას** ხელმძღვანელობით მოსპარეზე საქართველოს ნაკრებმა კიდევ ერთხელ გაგვახარა: ამ ბოლო დროს აღმავლობის გზაზე მდგარი სლოვენიის ნაკრები სტუმრად დაამარცხა! ის გამარჯვება რამდენიმე ფაქტორითაც იყო განსაკუთრებული: ჯერ ერთი, ჩვენი ნაკრები ექსპერიმენტული შემადგენლობით ასპარეზობდა და ასეთი ძლიერი მეტოქის ძლევა „ჩვეულებრივ ამბად" ნამდვილად ვერ აღიქმებოდა; ამას გარდა, ყველას გაგვიხარდა, რომ ჩვენმა უპირველესმა გუნდმა თამაშის „შემობრუნება" შეძლო — წაგებული პირველი ტაიმის შემდეგ შეხვედრის მეორე ნახევარში მეტოქის კარში ორი უპასუხო გოლი გაიტანა და მატჩი თავის სასარგებლოდ დაამთავრა; დაბოლოს, ამ გამარჯვებით საქართველოს ნაკრებმა თავის 21-წლიან ისტორიაში სარეკორდო მაჩვენებელიც დააფიქსირა: პირველად მოხდა, როცა წელიწადი წაუგებლად დავასრულეთ! აქვე, არც ის ფაქტი დაგვავიწყდეს, რომ შარშან ევროპაში მხოლოდ და მხოლოდ ორი გუნდი იყო, წლის განმავლობაში არც ერთი მატჩი რომ არ წაუგია: ხორვატიისა და საქართველოს ნაკრებები...

...2010 წლის 17 ნოემბრის იმ მატჩში სხვა განსაკუთრებული მოვლენაც მოხდა: ნამდვილად არა ვართ განებივრებული ისეთი ფაქტებით, როცა ესა თუ ის ფეხბურთელი საქართველოს ნაკრებში თავის პირველსავე შეხვედრაში გოლს გაიტანს; სწორედ ასეთი შთამბეჭდავი დებიუტი ჰქონდა ლვოვის „კარპატიში" მოსპარეზე **სანდრო გურულს**, რომელიც მოედანზე მეორე ტაიმის დასაწყისში გამოჩნდა და ოციოდ წუთში ეფექტური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. რა თქმა უნდა, ასეთ წარმატებულ დებიუტს ბევრი ფეხბურთელი ინატრებდა; მაგრამ ამ შემთხვევაში კიდევ ერთ გამორჩეულ ფაქტზე გვინდა ყურადღების გამახვილება: საქართველოს ნაკრების მაისურით მეტოქეთა კარში გოლები უკვე... მამა-შვილს აქვს

გია და სანდრო გურულები

გატანილი! 1990 წლის 27 მაისს, საქართველოს ნაკრებმა თავის პირველ შეხვედრაში ლიტველებთან ფრედ (2:2) რომ ითამაშა, ერთ-ერთი გოლის ავტორი **გია გურული** გახლდათ; და აი, 20 წლის შემდეგ თავი უკვე მისმა ვაჟმა, სანდრომ გამოიჩინა და საქართველოს ნაკრების ისტორიაში დღესდღეობით ერთადერთი შემთხვევაა, საოჯახო დინასტიის წარმომადგენლები მეტოქეთა კარში გატანილი გოლებით თავს რომ მოინონებენ. ვერაფერს ვიტყვით, მართლაც ღირსშესანიშნავი ფაქტია და იმედი დავიტოვოთ, რომ ეს ტენდენცია უახლოეს მომავალშიც გაგრძელდება. საერთოდ კი, 2010 წლის 17 ნოემბრის იმ მატჩში ვიდრე მოედანზე სანდრო გურული გამოჩნდებოდა, საოჯახო დინასტიებში „ერთპიროვნული ლიდერი" სხვა გვარის წარმომადგენლები იყვნენ; უფრო ზუსტად, შარშანდლამდე მხოლოდ ერთი ოჯახის წარმომადგელებს ჰქონდათ საქართველოს ნაკრებში ნათამაშები: ზემოთ ნახსენები 1990 წლის 27 მაისის იმ შეხვედრაში **ოთარ კორღალიძემ** მოედანზე 90 წუთი ჩაატარა, 2004 წლის 18 თებერვალს კი, კვიპროსზე მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე, საქართველოსა და რუმინეთის ნაკრებების მატჩში შეცვლაზე შემოვიდა **ლევან კორღალიძე** (იმ დროისათვის ლატვიური „სკონტოს" მოთამაშე).

მოკლედ, საქართველოს ნაკრების 21-წლიან ისტორიაში გურულისა და კორღალიძის გარდა, მამა-შვილს არავის უასპარეზია; თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უახლოეს ორ-სამ წელიწადში მსგავსი პრეცედენტი შესაძლოა კვლავ განმეორდეს. საერთოდაც, საოჯახო დინასტიების თემა ფეხბურთში მუდამ აქტუალური იყო და ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი; რამდენიც გნებავთ, იმდენი მაგალითის ჩამოთვლა შეიძლება, როცა სხვადასხვა თაობის ქართველი ფეხბურთელების (**მიხეილ მესხი, ლევან ჟორდანია, ავთანდილ ღოლობერიძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, დავით ყიფიანი, ალექსანდრე ჩივაძე, ოთარ გაბელია, თენგიზ სულაქველიძე, ნოდარ ხიზანიშვილი, დავით მუჯირი, ვახტანგ ქორიძე, ვიტალი დარასელია, რევაზ ჩელებაძე, კარლო მჭედლიძე, მერაბ მეგრელაძე, ასლან ბალაძე, გოჩა ჯოხაძე, კახა ცხადაძე, მალხაზ მახარაძე, გელა კეტაშვილი, მალხაზ არზიანი, თეიმურაზ ჩხაიძე**) შვილებმა საოჯახო ტრადიცია გააგრძელეს; ოღონდ, შვილებისა და მამების საფეხბურთო კარიერა, უმეტეს შემთხვევაში, სხვადასხვაგვარად წარიმართა. ისე, ქართულ ფეხბურთში რამდენიმე ისეთი შემთხვევაც ყოფილა, როცა მამა-შვილს... ერთდროულად უთამაშია! ამ „ნომინაციაშიც" ერთ-ერთ ლიდერი მამა-შვილი კორღალიძეები არიან: ჯერ ლანჩხუთის „გურიაში", მერე კი ტალინის „ფლორაში" მხარდამხარ რამდენიმე მატჩი რომ ჩაუტარებიათ; აღარაფერს ვამბობთ **მეგრელაძეებზე**: მამასაც (**მერაბს**) და შვილსაც (**გიორგისაც**) ერთადაც უთამაშიათ და იმ კონკრეტულ შეხვედრაში მეტოქეთა კარში გადამწყვეტი გოლებიც გაუტანიათ! აი, ამაზე იტყოდნენ, ალბათ, საოჯახო გამარჯვება იყოო...

...12 თებერვალს საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპი განახლდება და ახლო თუ შორეულ წარსულში ცნობილი ფეხბურთელების შვილები კვლავაც შეეცდებიან საოჯახო დინასტიების გაგრძელებას: **გიორგი ჩივაძე, ვაჟა ნემსაძე, მიხეილ ჯიშკარიანი**-უმცროსი; პირველი ლიგის ერთ-ერთ ლიდერ „გაგრას" წამყვანი ფეხბურთელია **ნიკა ჯიშკარიანი** (მამის, გია ჯიშკარიანის მსგავსად, მარცხენა ფლანგზე რომ თამაშობს).

გია ტუხაშვილი

● ლეგიონერები

ოთარ მარცვალაძე

ეროვნული ვოლგა ვერ ხედავს ნავალოვსკი და საჯაია

ანუის მარცვალაძე სურს, დინამოს კი ვოლგას ფორვარდი

როგორც მოსალოდნელი იყო, ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგაში" ყველა ჩვენებური არ დაიტოვეს. პრემიერლიგაში თამაში არ ელირსათ **ედიკ საჯაიას** და **გიორგი ნავალოვსკის**. 2009 წელს მახაჩყალის "ანჟის" პრემიერლიგაში გადასვლაში ორივემ თავისი წვლილი შეიტანა, მაგრამ კლუბი სეზონის დაწყებამდე დატოვეს.

"ვოლგაში" იგივე განმეორდა, ნიჟნინოვგოროდელებიც პრემიერლიგაში მათი დახმარებითაც აღზევდნენ, მაგრამ საჯაიას და ნავალოვსკის კვლავ ახალი კლუბების ძებნა უწევთ.

ეს "ვოლგას" მთავარმა მწვრთნელმა **ომარ თეთრაძემ** "სპორტ-ექსპრესს" განუცხადა. კითხვა ტრადიციული იყო, რამ განაპირობა "ვოლგაში" ქართველთა სიმრავლე?

"განაპირობა იმან, რომ მათი დონის რუსი ფეხბურთელების მოწვევას ფინანსურად ვერ ვახერხებთ. რამდენიმე პერსპექტიული ბიჭის ტრანსფერს "ვოლგას" ბიუჯეტი ვერ შეწვდა. საერთოდ, არარუსთა მრავლად მოწვევის წინააღმდეგი ვარ. მაგრამ, ჯერ ერთი, ქართველები ჩვენს პირობებს იოლად ეგუებიან. მეორეც, მაგალითად, ნავალოვსკისა და საჯაიასთვის ახალ კლუბებს ვეძებთ", - თქვა თეთრაძემ.

როდესაც "ვოლგაში" სალუქვაძე მიიწვიეს, ცხადი იყო, რომ ის საჯაიას ადგილს დაიკავებდა, რადგან ორივე მარჯვენა და ცენტრალური მცველის პოზიციებზე თამაშობს.

სალუქვაძე ყაზანის "რუბინიდან" თავისუფალი აგენტის სტატუსით არ წასულა, ხელშეკრულება ორმხრივი შეთანხმებით გაწყვიტა, სამაგიეროდ, "ვოლგამ" ექსჩემპიონს კომპენსაციის თანხა გადაუხადა.

თეთრაძემ განაცხადა, პრემიერლიგაში ხუთზე მეტი ქართველი არ გვეყოლებაო. არადა, საჯაიასა და ნავალოვსკის გარდა კლუბში კიდევ ექვსი ქართველია: **ლაშა სალუქვაძე, გია გრიგალავა, გოჩა ხოჯავა, გოგიტა გოგუა, ოთარ მარცვალაძე** და **მათე ვანაძე,** ანუ დარჩენილებიდან კიდევ ერთია წასასვლელი.

ორიოდე დღის წინ ვწერდით, რომ, შესაძლოა, მათე ვანაძე მახაჩყალის "ანჟიში" იჯარით გაუშვან. თუმცა ვითარება შეიცვალა და, ალბათ, ვანაძე ნიჟნი ნოვგოროდში დარჩება. თეთრაძე არც ზამთრის შესვენებაზე დამატებულ გრიგალავას, გოგუას, სალუქვაძესა და ხოჯავას შეელევა.

მათე ვანაძეს ვითარებაში გასარკვევად დავუკავშირდით:

- არა მგონია, რომ წამოსვლა მომიხდეს. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის კლუბში არაფერი უთქვამთ და ვრჩები.

- ბოლო ორი შეხვედრა რატომ გამოტოვე?

- გუნდში 40-მდე ფეხბურთელია და ომარი თავის გამოჩენის შანსს გასასინჯ ფეხბურთელებს აძლევდა. მე კი კონტრაქტი უკვე მაქვს და ერთი დღით დამასვენა. იცის, რომ გასულ წელს საკმაოდ დიდხანს ვმკურნალობდი და მეტისმეტ დატვირთვებს მარიდებს. ახლა დღეში ორჯერ ვვარჯიშობთ და ამას დამატებული თამაში სარისკო იყო. ისედაც მცირე ტრავმა მაწუხებდა, მაგრამ საშიში არაფერია. ნაკრებში აუცილებლად ვიქნები.

- "ვოლგასთან" კონტრაქტის გაფორმება კარგია, მაგრამ რუსეთში სამუშაო ვიზა თუ მოგცეს?

- ახლა სწორედ ამ საკითხს ვაგვარებ, გუნდს კი მეორე შეკრებაზე გავყვები.

... დღემდე გაურკვეველია მარცვალაძის საკითხი. ოთარს "ვოლგაში" თამაში სურს, თეთრაძეს კი მისი დატოვება, მაგრამ საქმეში მახაჩყალის "ანჟის" ჩარევამ ყველაფერი არია.

ოთარი ნიჟნი ნოვგოროდში იჯარით თამაშობს, მისი კონტრაქტი კი "ანჟის" ეკუთვნის. დაღესტნელებმა მარცვალაძე 2010 წლის დასაწყისში გაუშვეს, მაგრამ "ვოლგაში" ჩატარებული მშვენიერი სეზონის შემდეგ მიხვდნენ, რომ ხელიდან გასაშვები ფეხბურთელი არ იყო და პირველი ლიგის საუკეთესო ბომბარდირის დაბრუნება მოისურვეს. ოთარი "ვოლგაში" მხოლოდ იმ შემთხვევაში დარჩება, თუ ნიჟნინოვგოროდელები მის კონტრაქტს გამოისყიდიან. მას თეთრაძესთან დარჩენის იმედი ჯერ კიდევ აქვს.

კომენტარისთვის ოთარ მარცვალაძესაც დავუკავშირდით.

- შევიტყვეთ, რომ "ანჟის" შენი დაბრუნება სურს.

- მაგათ კი სურთ, მაგრამ ჯერ არაფერია გარკვეული.

- "ვოლგას" შეკრებაზე გაჰყევი და აქამდე რა ვერ გაირკვა?

- ზუსტი პასუხი მეორე შეკრებამდე მეცოდინება.

- გუნდები იჯარის თანხაზე ვერ თანხმდებიან?

- იჯარაზე აღარც არის ლაპარაკი. "ანჟისთან" კონტრაქტი 2011 წლის ბოლომდე მაქვს. ნიჟნი ნოვგოროდში იჯარით წამოვედი, რომლის ვადა დეკემბერში დამთავრდა. ახლა "ვოლგაში" მხოლოდ იმ შემთხვევაში დავრჩები, თუ ნიჟნინოვგოროდელები ჩემს ტრანსფერს გამოისყიდიან.

- "ვოლგა" გამოსასყიდად მზად არის?

- რა თქმა უნდა. ჩემი დატოვება კლუბის პრეზიდენტ გოიხმანსა და მთავარ მწვრთნელ თეთრაძეს ძალიან სურთ და იმედია, ასეც მოხდება

- "ანჟიში" დაბრუნება აშკარად არ გსურს.

- რატომ მენდომება, როდესაც "ვოლგა" ის კლუბია, სადაც საკმაოდ კარგი სეზონი ჩავატარე, მუშაობს მწვრთნელი, რომელიც მენდობა და მათამაშებს, ბევრი ჩვენებურია და თავს კარგად ვგრძნობ. სატრანსფერო უფლება დაღესტნელებს კი ეკუთვნით, მაგრამ ჩემი სურვილიც ხომ გასათვალისწინებელია - მე "ვოლგაში" თამაში მსურს და არა "ანჟიში". ახლა ყველაფერი კლუბების პრეზიდენტების შეთანხმებაზეა დამოკიდებული.

"ვოლგადან" წამოსული ქართველების ახალ კლუბებზე სხვადასხვა ინფორმაციაა. ისიც კი ითქვა, თითქოს ნავალოვსკის, აგრეთვე "ანჟიდან" წამოსული ზურაბ არზიანის მიწვევა თბილისის "დინამოს" სურდა. ეს ხმები იმიტომ აგორდა, რომ ანთალიაში შეკრებაზე მყოფი "დინამოს" მთავარი მწვრთნელი **კახა კაჭარავა** ოთხშაბათს "ვოლგასა" და "სიბირის" შეხვედრას დაესწრო. თუმცა მცირე ტრავმის გამო ნავალოვსკი მოედანზე არ გასულა. მან "დინამოს" შეთავაზება უარყო:

- ნიჟნი ნოვგოროდიდან მართლაც წამოვედი, მაგრამ თბილისის "დინამოში" დაბრუნება გამორიცხულია, ამაზე არც გვილაპარაკია. არც საჯაია წავა, რადგან ის უკვე ისრაელშია და, ალბათ, ჰაიფას "მაქაბში" ჩაირიცხება. ჩვენს შეხვედრას "მაქაბის" სელექციონერი დაესწრო და საჯაია ძალიან მოეწონა, იმის მიუხედავად, რომ სეზონის დასაწყისია და, ბუნებრივია, ჯერ ფორმაში არავინ არის. ალბათ, საჯაია ერთ საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებს და აიყვანენ.

- "მაქაბიში" შენ არ გინვევენ?

- საჯაიასთან, ერთად ალბათ, **ზურაბ არზიანი** ითამაშებს, რომელიც "ანჟიდან" წამოვიდა. მე ჯერ არ ვიცი, სად გადავალ. გამორიცხული არ არის, ისევ რუსეთში ვითამაშო, ოღონდ სხვა კლუბში.

და ვინ არის "ვოლგას" ის ფეხბურთელი, რომლითაც თბილისის "დინამო" დაინტერესდა? ნიჟნინოვგოროდელებთან დაახლოებულმა პირმა გვითხრა, რომ ლაპარაკია არა ქართველზე, არამედ ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" სერბ თავდამსხმელ **პეტარ ელიჩზე**.

"ვოლგას" ოფიციალურ ვებგვერდზე ფეხბურთელის მცირე დოსიე ვნახეთ: პეტარ ელიჩი დაიბადა 1986 წლის 18 ოქტომბერს; **სიმაღლე:** 187 სმ. **წონა:** 75 კგ. ბოსნია-ჰერცოგოვინას საფეხბურთო კლუბ "მოდრიჩის" გაზრდილია. **უთამაშია:** 2003/2006 **"მოდრიჩი"** (ბოსნია, 79 მატჩი/29 გოლი); 2006/2007 **"კარლ ცაისი 2"** (გერმანია, 12/3) **"კარლ ცაისი"** (მესამე ბუნდესლიგა,1/-), 2007/2010 **"ბელგრადი"** (სერბეთი, 38/6), 2010 **"ვოლგა"** (რუსეთი,13/3).

ბოსნიის ნაკრებში ორი შეხვედრა აქვს ჩატარებული. პეტარ ელიჩი "ვოლგაში" 10-ნომრიანი მაისურით თამაშობდა. გვითხრეს, რომ საკმაოდ კარგი თავდამსხმელია, მაგრამ "ვოლგაში" ახლა 40-მდე ფეხბურთელი ვარჯიშობს და სხვებთან ერთად თეთრაძემ მისი გაშვებაც გადაწყვიტა. თუმცა სხვა საქმეა, თავად ფეხბურთელი დაინტერესდება თუ არა საქართველოში თამაშით.

დაბოლოს, "ვოლგას" მთავარი მწვრთნელი თეთრაძე და პრეზიდენტი ალექსეი გოიხმანი ახალწვეულებით კმაყოფილები არიან.

"ყველა ახალწვეულმა მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა, ახალგაზრდა, ნიჭიერ თავდამსხმელ ვანაძეს საქართველოს ნაკრებში სისტემატურად იწვევენ და 6 თებერვალს მორიგ შეკრებაზე გაემგზავრება. რუსული პასპორტის მქონე ქართველ გრიგალავას სათამაშო პრაქტიკა აკლდა, ჩვენ მას ამის საშუალებას მივცემთ. საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი ფეხბურთელი გოგიტა გოგუა კვალიფიციური მოთამაშეა, ისევე, როგორც სალუქვაძე", - ამბობს თეთრაძე.

მერაბ მამულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გამოხმაურება

მეცხრე ცა შორსაა

„ლივერპული" მეშვიდე ადგილზეა! მიმდინარე სეზონში მერსისაიდული გუნდი ასე პირველად დაწინაურდა, მაგრამ მწვრთნელი, „კოპის მეფე კენი" ანუ იგივე **კენი დალგლიში** მეშვიდე ადგილსა და მეცხრე ცას ერთმანეთში არ ურევს და ამბობს, რომ ამით ვერ დაკმაყოფილდება...

„ლივერპულისა" და „ფულჰემის" გადადებული შეხვედრა ლონდონელი **ჯონ პენტსილის** მიერ 52-ე წუთზე საკუთარ კარში გატანილმა გოლმა მასპინძლების სასარგებლოდ დაასრულა. აღსანიშნავია, რომ ამ გოლამდე შეხვედრის მთავარი ამბავი მე-6 წუთზე მოხდა, როდესაც **რაულ მეირელეშმა ფერნანდო ტორესს** პასი გაუჭრა და ესპანელი ფორვარდი მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ თანამსაჯმა **მიკ მაკნაფმა** ალამი ალმართა და ალალი გოლი არ ჩათვალა. „წითლების" საბედნიეროდ, მათ მაინც მოიგეს და მსაჯის შეცდომის გამო ვიშვიში არ დასჭირდათ - ნოემბრის შემდეგ „ლივერპულმა" პირველად გაიმარჯვა ზედიზედ ორ შეხვედრაში. ბუნებრივია, გუნდისთვის, რომელიც გასავარდნთა ზონაში ტრიალებდა, მეშვიდე ადგილზე აღზევება წარმატებაა, მაგრამ დალგლიში, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ამით დაკმაყოფილებას არ აპირებს და დიდ სიხარულსაც არ გამოხატავს:

„ვფიქრობ, ჩვენ მეტი შეგვიძლია. რასაკვირველია, მეშვიდე ადგილი გაცილებით ობიექტურად ასახავს „ლივერპულის" ძალას, მაგრამ ეს ის პოზიცია არ არის, რომელზეც ჩვენი კლუბი ოცნებობს და რისთვისაც ის იბრძვის. ჩვენ ცხრილში კიდევ უფრო მაღლა გვინდა ყოფნა, მაგრამ ამისათვის მეტი თამაში უნდა მოვიგოთ. ახლა, მომდევნო ოთხშაბათს „სტოკთან" გვაქვს სათამაშო და ამ შეხვედრაშიც გამარჯვებას ვაპირებთ".

შემდეგ დალგლიშს შორს მიმავალ გეგმებზე ჰკითხეს. „ლივერპულის" ლეგენდამ ასე უპასუხა:

„ამწუთას არ ვთქვი, „სტოკთან" უნდა გავიმარჯვოთ-მეთქი? ჩვენ არასდროს გამოვალთ სეზონის დაწყებამდე საჯაროდ და არ დავიქადებთ, რომ „ამას და იმას ვაპირებთ". ჩვენი მიდგომა მარტივია: ყოველი დღისგან მაქსიმუმი უნდა გამოვწუროთ. ყოველთვის ასე იყო, სეზონის ბოლოს ქულებს დავაჯამებდით და ვხედავდით, რა მოგვიტანა ჩვენმა მონდომებამ. ამ მიდგომის შეცვლას არ ვაპირებ. ეს პრინციპი არავის აზარალებს. მე ამ პრინციპზე ვარ აღზრდილი და სხვანაირად არ შემიძლია".

შეტევაზეა სტივენ ჯერარდი

რაც შეეხება „ფულჰემთან" თამაშს, დალგლიშმა თქვა, რომ მისმა ბიჭებმა მოწადინებული ლონდონელების დასამარცხებლად ჩინებულად ითამაშეს.

„მგონი „ფულჰემის" ფეხბურთელებს დარჩათ შთაბეჭდილება, რომ ჩვენთან შეხვედრაში მეტი ეკუთვნოდათ და იმედგაცრუებულნი წავიდნენ. ჩვენც უამრავჯერ გადაგვხდენია ასეთი რამ: გვეგონა, რომ მეტს ვიმსახურებდით, მაგრამ განბილებულები დავრჩენილვართ. დღეს ჩემმა ბიჭებმა დიდი თავდადება გამოავლინეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს. იღბალიც ჩვენ მხარეს იყო. თავიდან, ფერნანდომ გოლი გაიტანა და ეს გოლი მსაჯს უნდა ჩაეთვალა, მაგრამ არ ჩათვალა, რის გამოც გული არ გაგვიტყდა. ჩვენ ბრძოლა გავაგრძელეთ და სანადელს მივაღწიეთ. ასეთ რაღაცებს ყურადღება არ უნდა მიაქციო: რას იზამ, ასეთია ცხოვრება - ხან მსაჯს ეშლება, ხან ფეხბურთელს..."

ბირმინგემი მე-9 ცაზე და ფინალში

● გამოხმაურება

ბაქტიკოსის გამარჯვება

ალექს მაკლიში უსაზღვროდ ამაყია: მისი ხელმძღვანელობით „ბირმინგემმა" 55-წლიანი ჩავარდნის შემდეგ პირველად მიაღწია „უემბლის" - ლიგის თასის ფინალში გავიდა. „სენტ ენდრიუზზე" ბირმინგემელებმა პრემიერლიგის აუტსაიდერ „ვესტ ჰემს" უმასპინძლეს და 3:1 მოუგეს. პირველი თამაში, ლონდონის „აპტონ პარკზე" „ჩაქუჩებს" 2:1 ჰქონდათ მოგებული. საპასუხოს ძირითად დროშიც იგივე ანგარიში დაფიქსირდა - სტუმარი **კარლტონ კოულის** პირველ გოლს მასპინძელთაგან **ლი ბოიერმა** და **როჯერ ჯონსონმა** უპასუხეს და თამაში დამატებით დროში გადაიყვანეს, სადაც, **კრეიგ გარდნერმა** გამოიჩინა თავი.

მაკლიში იმიტომაც გახლავთ ამაყი, რომ თამაშს ნირი შესვენებისას განხორციელებულმა ცვლილებამ შეუცვალა: **მეტ დერბიშირის** ნაცვლად სქოთმა სპეციალისტმა მოედანზე სერბი **ნიკოლა ჟიგიჩი** შეიყვანა. მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე მაკლიშმა თქვა:

„დღეს ჩემს კარიერაში დაუვიწყარი რამ მოხდა. როდესაც მსაჯმა ჩასტვინა და თამაში დაასრულა, საოცარი სიამაყის გრძნობა დამეუფლა. გულს მოგვეშვა ყველას: მე, ფეხბურთელებს თუ კლუბის სხვა თანამშრომლებს. დღეს დიდებული მეორე ტაიმი ჩავატარეთ, რომელმაც ჩვენს გუნდს „უემბლისკენ" გაუკვალა გზა. პირველ ნახევარში გვარიანი შრომა დაგვჭირდა და მოწინააღმდეგეც საკმაოდ ლაღად გრძნობდა თავს. კოულმა მართლაც ძალიან ლამაზი გოლი გაგვიტანა. ამის შემყურემ, შესვენებისას ვიფიქრე, რომ ასე თუ გაგრძელდებოდა, თასიდან გავვარდებოდით და ამიტომ შევცვალე ტაქტიკა. რაც „ბირმინგემშია", ნიკოლა ჟიგიჩს ასე კარგად არ უთამაშია. ის აგრესულად თამაშობდა. აშკარად ეტყობა, რომ მიხვდა, როგორ უნდა ითამაშო ინგლისში, თუ გინდა წარმატებას მიაღწიო".

ამრიგად, ფინალში ერთმანეთის პირისპირ „ბირმინგემი" და „არსენალი" წარდგებიან. მაკლიშმა, რასაკვირველია, კარგად იცის, რომ „მეთოფეები" ამ შეხვედრაში უპირობო ფავორიტები იქნებიან.

„რასაკვირველია, ფავორიტი „არსენალი იქნება", მაგრამ სინამდვილეში ვინ იცის, რა მოხდება. ბოლოს და ბოლოს მოედანზე თერთმეტი კაცი თერთმეტს ეთამაშება".

● სატრანსფერო ამბავი

წილი, წილი...

თურმე **ჩარლი ადამის** ნებისმიერი ტრანსფერიდან **იან ჰოლოუეის** წილი ერგება. მიხვდით ხომ, რაზეც არის ლაპარაკი? საქმე „ბლექპულის" შოტლანდიელ ნახევარმცველსა და მწვრთნელს ეხება. წილის ამბავი თავად ჰოლოუეიმ დაადასტურა, თუმცა არ უთქვამს ნახევარმცველის გაყიდვის შემთხვევაში კერძოდ რა ლუკმა ერგება. თითქოს, ამ ამბავში სკანდალური და წარმოუდგენელი არაფერია, მაგრამ მეორე მხრივ ის ნათელს ჰფენს, თუ რატომ არ უნდა „ბლექპულის" თავკაცს ადამის იაფად გაყიდვა. მყიდველები, მოგეხსენებათ, მრავლად არიან, მაგრამ 12 მილიონ ფუნტს - სწორედ ამ თანხას ითხოვს ჰოლოუეი - არავინ იხდის. ჰოლოუეიმ თქვა:

„რა არის გასაკვირი? მე წილში ვუზივარ ყველა ფეხბურთელს, რომელსაც ვწვრთნი. ჩვენი კლუბის თავმჯდომარე ხედავს, რამდენ ფეხბურთელს ვზრდი, როგორ ვეხმარები მათ გზაზე დადგომაში და როგორ ვყიდი მათ. მან ჩემი ბიზნესის შესახებ ყველაფერი იცის და ის მოსწონს, თუმცა ისე ნუ გამიგებთ, თითქოს ჩემი ძირითადი საქმიანობა ეს იყოს. მე „ბლექპულის" პრემიერლიგაში დატოვება გაცილებით მეტ შემოსავალს მომიტანს".

აღსანიშნავია, რომ „ბლექპულმა" უკვე უარი თქვა თავისი კაპიტნის გაყიდვით მცირე მოგების ნახვაზე. 25 წლის ადამი, რომელიც 2009 წლის აგვისტოში 500 ათასი ფუნტი ღირდა („რეინჯერსისგან" ჰოლოუეიმ ფეხბურთელი სწორედ ამ თანხად გადაიყვანა), არ მიჰყიდეს „ბირმინგემსა" და „ასტონ ვილას". შემდეგ, „დახლთან" „ლივერპული" მივიდა და „ბლექპულს" 4 მილიონი ფუნტი შესთავაზა, მაგრამ მწვრთნელმა ამ თანხას შეურაცხმყოფელად მცირე უწოდა. ჰოლოუეიმ, რომელსაც გვარის მიხედვით მეტსახელად ოლის ეძახიან, განაგრძო:

„ამის შემდეგ თუ გაზეთებში წავიკითხავ, რომ ადამის ტრანსფერიდან 20-30 პროცენტს ველოდები და ყველაფერს ამ თანხის მისაღებად ვაკეთებ, ძალიან მეწყინება, რადგან ეს რიცხვები სინამდვილისგან მეტისმეტად შორს არის. ეს სრული სისულელეა".

ფიფას წეს-კანონებში კი ერთი სიტყვითაც არ წერია, რომ ფეხბურთის მწვრთნელს მოთამაშეებით ვაჭრობა და მათი გაყიდვით სარფის ნახვა ეკრძალება. როდესაც იან ჰოლოუეის ამბავი გაცხადდა, ჟურნალისტებმა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში გადარეკეს, რათა იქ გაერკვიათ, რა არის და რა არ არის ნებადართული. ასოციაციის პრესმდივანმა განაცხადა:

„ასეთი საქმიანობა ჩვენს წესებს არ ეწინააღმდეგება".

და კიდევ, ჰოლოუეი დარწმუნებულია, რომ „ბლექპულის" თავმჯდომარე **კარლ ოისტონს** ამის საწინააღმდეგო არაფერი აქვს. მწვრთნელმა დასძინა:

გაიცანით მწვრთნელვაჭარა

„თავად განსაჯეთ, ჩვენ „რეინჯერსისგან" ძალიან ნიჭიერი ბიჭი ვიყიდეთ და მისი წყალობით „ჩემპიონშიპის" მე-16 ადგილიდან პრემიერლიგის მე-12 ადგილზე ავედით. ეს ძალიან ბრძნული ტრანსფერი იყო".

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

● [illegible]

ვან დერ სარი მაისში წავა

ეს ცნობა უკვე ოფიციალურია: „მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარე **ედვინ ვან დერ სარი** სეზონის დამთავრებასთან ერთად ფეხბურთელის კარიერასაც დაამთავრებს. 40 წლის ჰოლანდიელმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება უცბად მიიღო - იგრძნო, რომ წასვლის დროა. კერძოდ, ვან დერ სარმა თქვა:

„დავიღალე. ერთ წუთს რომ მეგონა კარიერის დასრულება გადაწყვეტილი მქონდა, მეორე წუთს საკუთარ თავს კვლავ ვეკითხებოდი, დარჩენა ხომ არ აჯობებდა-თქო. მგონი უკვე მთელი წელიწადია, რაც წასვლაზე ვფიქრობ. გადაწყვეტა ძალიან ძნელი ყოფილა. ყოველი წაგებული მატჩის შემდეგ გუნებაში ფეხბურთისთვის თავის დანებება მიტრიალებდა, მოგების შემდეგ კი გული დარჩენას მთხოვდა. და უცბად ყოყმანს ბოლო მოეღო. არ მკითხოთ რატომ, ასე მოხდა და მორჩა. დადგა დრო, ოჯახს მეტი ყურადღება დავუთმო. მართალია, ჩემი ოჯახის წევრებისგან საყვედური არავის არასდროს დასცდენია, მაგრამ ვგრძნობ, რომ მათი ბევრი მმართებს".

ვან დერ სარმა კარიერა „აიაქსში" დაიწყო, რომლის შემადგენლობაშიც 1995 წელს ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვა. შემდეგ ის „იუვენტუსში" გადავიდა, საიდანაც ინგლისს მიაშურა - ჯერ „ფულჰემის" კარს იცავდა და მერე „მანჩესტერ იუნაიტედისას", რომელთან ერთადაც კვლავ მოიგო ჩემპიონთა ლიგა.

რემსის გეგმა

აარონ რემსი აპირებს „კარდიფში" თამაშის პერიოდი მაქსიმალურად გამოიყენოს და „არსენალის" ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდეს. უელსელი ვარსკვლავი თავის ყოფილ კლუბში, რომელიც „ჩემპიონშიფიდან" პრემიერლიგაში გადმოსვლას უმიზნებს, ერთ თვეს დაყოფს. შეგახსენებთ, რომ 20 წლის ნახევარმცველს გასული წლის თებერვალში, სტოკში თამაშის დროს მძიმედ მოტეხეს ფეხი, რის შემდეგაც მას ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდა და მოედანს ნოემბერშილა დაუბრუნდა. დაბრუნებული რემსი **არსენ ვენგერმა** პირდაპირ „მეთოფეთა" ძირითადში არ დააბრუნა - ოთხი კვირით „ნოტინგემ ფორესტში" დააბრუნა. იქ, „სიტი გრაუნდზე" რემსიმ მხოლოდ 5 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. მეტის საშუალება სუსტმა ფიზიკურმა მომზადებამ არ მისცა, მაგრამ უელსელი იხტიბარს არ იტეხს:

„ერთი თვით სხვა გუნდში ყოფნა ფორმის აღდგენაში დამეხმარება. მე ერთადერთი სურვილით ვარ შეპყრობილი - მინდა „არსენალის" ძირითადში რაც შეიძლება მალე დავბრუნდე".

პერდიუს ბრძოლა

ალან პერდიუ ამბობს, რომ „ნიუკასლის" საუკეთესო ფეხბურთელების მყიდველთა მოსაგერიებლად დიდი ბრძოლა სჭირდება. ასე მაგალითად, „კაჭკაჭთა" მთავარი ვარსკვლავის **ენდი ქეროლის** გადაბირება იანვრის დასაწყისში „ტოტენჰემს" სურდა და მზად იყო ახალგაზრდა ბომბარდირში 20 მილიონი ფუნტი გადაეხადა. პერდიუმ თქვა:

„ამჯერად ჩვენთვის ყველაზე დიდი წარმატება საუკეთესო მოთამაშეების შენარჩუნება იქნება. პირადად ჩემთვის საგანგებონი ჯოი ბარტონი, ენდი ქეროლი, ჩიკ ტიოტე და ხოსე ენრიკე არიან. მიხარია, რომ ჯერჯერობით მყიდველების მოგერიებას ვახერხებთ. ალბათ, წარმოგიდგენიათ, რამდენი მსურველი გამოჩნდებოდა ამ სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში".

უცხოური ფეხბურთი

● იტალიის თასი. 1/4 ფინალი

მილანმა დებიუტანტებით გაიმარჯვა

ინტერს ფორტუნამ გაუღიმა

ფედერკალჩოს გადაწყვეტილებამ, იტალიის თასის ყოველ მომდევნო ეტაპზე გამსვლელის ვინაობა ერთ თამაშში გამოვლინდეს, აშკარად გაამართლა. მატჩები დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობს და გაცილებით უფრო მეტ გულშემატკივარს იზიდავს, ვიდრე წინა წლებში. ოთხშაბათს ორი მეტად საინტერესო პაექრობა გაიმართა, გენუაში "სამპდორიამ" "მილანი" მიიღო, ნეაპოლში კი "ნაპოლიმ" "ინტერი". ბუნებრივია, ერთმატჩიან დუელში მასპინძელს უპირატესობა ეძლევა, მაგრამ ამ შემთხვევაში სწორედ სტუმრებს დარჩათ გამარჯვება.

სამპდორია–მილანი 1:2

სამპდორია (4-4-2): და კოსტა – ძაური, ვოლტა, აკარდი, ციგლერი – მანინი (73. კომანი), პალომბო, პოლი (65. ტისონე), გუბერტი – მაკარონე, მაკედა.

მილანი (4-4-2): რომა – ოდო, პაპასტატოპულოსი, იეპესი, ანტონინი (80. იანკულოვსკი) – ტიაგო სილვა, ვან ბომელი, მერკელი, ემანუელსონი – რობინიო (78. კასანო), პატო (87. იბრაჰიმოვიჩი).

გოლები: 0:1 პატო (17), 0:2 პატო (22), 1:2 გუბერტი (51).

გენუაში მართლაც ძალიან საინტერესო მატჩი გაიმართა – მარტო იმის თქმა რად ღირს, რომ ლომბარდიული გრანდის შემადგენლობაში ორ ფეხბურთელს ჰქონდა დებიუტი. ამასთან, **ანტონიო კასანო** დაბრუნდა "სტადიო მარასიზე" და ერთ დროს საშინაო არენაზე სტუმრის რანგში იასპარეზა. მართალია, მხოლოდ ბოლო თორმეტი წუთი დაყო მოედანზე, მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა იმაში დასარწმუნებლად, რომ "სამპას" ტიფოზები კასანოს მიმართ მტრულად არ არიან განწყობილნი – ვერც იმას ვიტყვით, რომ ფეხზე დაუდგნენ უკვე "მილანის" შემტევს, მაგრამ არც სტვენა აუტეხავთ. რაც შეეხებათ დებიუტანტებს, **ვან ბომელმა** და **ემანუელსონმა** თავი საკმაოდ კარგად წარმოაჩინეს – თანაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს მათი პირველი შეხვედრა იყო "როსინერის" შემადგენლობაში. დებიუტანტი "სამპდორიასაც" ჰყავდა, **მასიმო მაკარონე** სასტარტო შემადგენლობაში გახლდათ და მთლიანობაში, ისიც საკმაოდ კარგად გაისარჯა – ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შესანიშნავი საგოლე პასი გააკეთა.

"მილანი" თავიდანვე დაეუფლა უპირატესობას და ტაიმის შუანელს უკვე ორი ბურთის სხვაობით იგებდა. ორჯერვე **ალეშანდრე პატომ** გამოიჩინა თავი და ორივე გოლი მეტად ეფექტურ სტილში გაიტანა. მე-17 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც საჯარიმოში შეჭრილმა ბრაზილიელმა უზუსტესი გადაცემა მიიღო და ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი **ჟუნიორ და კოსტას** კარის ბადეში. ხუთიოდე წუთში პატომ უკვე ემანუელსონისგან მიიღო ჩინებული გადაცემა, ერთ მეურვეს ოსტატურად აუარა გვერდი და უძლიერესი დარტყმით "მილანის" უპირატესობა ორამდე გაზარდა. პატოს კიდევ შეეძლო გატანა, ისევე როგორც **რობინიოს**, მაგრამ დანარჩენ ეპიზოდებში გენუელთა კიპერი იდგა მოწოდების სიმაღლეზე.

მეორე ნახევარი მასპინძლებმა აქტიურად დაიწყეს და ერთი ბურთის გაქვითვა მოახერხეს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზუსტი გადაცემით მაკარონე გამოირჩა, შედეგიანი თავური დარტყმა კი **სტეფანო გუბერტის** ანგარიშზეა. გენუელებმა ცდა არ დააკლეს, რომ ანგარიში გაექვითად, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ **მასიმილიანო ალეგრომ** რამდენიმე ექსპერიმენტს მიმართა. მაგალითად, **ტიაგო სილვა** გაამწესა საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე, დაცვის ცენტრი კი **მარიო იეპესს** და **სოკრატის პაპასტატოპულოსს** ჩააბარა. ბრაზილიელი საკმაოდ კარგად წარმოჩინდა ნახევარდაცვაში და არც მცველებს შეურცხვენიათ თავი. ნამატჩევს ალეგრომ შემდეგი კომენტარი გააკეთა:

"ძალიან დაძაბული თამაში იყო და ბედნიერი ვარ, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა. მადლობა მინდა ვუთხრა შეგირდებს, რომლებიც ბოლომდე დაიხარჯნენ და თავი არ დაუზოგავთ. ახალწვეულებზე კარგის მეტი არაფერი მეთქმის, ჯერ კიდევ ადაპტაციის პროცესში არიან და მიუხედავად ამისა, დიდი სარგებელი მოუტანეს გუნდს. ბუნებრივია, იყო რისკი, როდესაც ორივე მათგანი ძირითადში დავაყენე, მაგრამ შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ამ რისკმა ბოლომდე გაამართლა. უკვე ნახევარფინალში ვართ და ჩვენი მიზანი იტალიის თასის მოპოვებაა. საკმაოდ საინტერესო ტურნირია და გვსურს, ყველა ფრონტზე წარმატებით დავასრულოთ ასპარეზობა".

ყურადღების ცენტრში გახლდათ კასანო, რომელიც "მილანამდე" სწორედ "სამპაში" ასპარეზობდა: *"ძალიან მაინტერესებდა, როგორ დამხვდებოდნენ გულშემატკივრები და საბედნიეროდ, მათი მხრიდან აგრესია არ მიგრძვნია. შეიძლება რამდენიმე ადამიანმა ხმაურით გამოხატა უკმაყოფილება, მაგრამ მთლიანობაში, მაინც მხარი დამიჭირეს. რთული თამაში იყო, რომელშიც უფრო ძლიერმა გაიმარჯვა – "სამპდორიას" კი დიდ წარმატებებს ვუსურვებ".*

ნაპოლი–ინტერი 0:0 პენ. 4:5

ნაპოლი (3-4-2-1): დე სანკტისი – დოსენა (70. ცუნიგა), არონიკა, კანავარო – კამპანიარო, პაციენცა (98. იებდა), მაჯო, გარგანო – ჰამშიკი, ლავეცი – კავანი.

ინტერი (4-3-1-2): კასტელაცი – მაიკონი, კორდობა (83. ლუსიო), რანოკია, კიუე – კამბიასო, ძანეტი, სტანკოვიჩი (63. მარიგა) – ტიაგო მოტა – პანდევი, ეტოო.

ტიპური იტალიური ჯახი შედგა ნეაპოლში, სადაც ოთხი უგოლო ტაიმი ვიხილეთ, გამარჯვებულის ვინაობა კი თერთმეტმეტრიანების სერიამ გამოავლინა. ეს ის შემთხვევა გახლდათ, როდესაც უგოლო ფრეც სასიამოვნო საყურებელია. მთლიანობაში, თამაში მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და ალბათ, უფრო მეტადაც იმსახურებდნენ ნახევარფინალში გასვლას, მაგრამ ფორტუნა იმ დღეს "ინტერის" მხარეს იყო.

მე-13 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც ნეაპოლელებმა რამდენიმესვლიანი კომბინაცია გაითამაშეს და **ედინსონ კავანის** ზუსტი დარტყმით დააგვირგვინეს. თუმცა, ლაინსმენმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა და მატჩის მთავარი არბიტრი იძულებული გახდა გოლი გაეუქმებინა. არადა, გამეორებაზე ნათლად გამოჩნდა, რომ ურუგვაელმა თამაშის წესების დაცვით იმოქმედა. ბუნებრივია, ამან ძალიან განარისხა "სან პაოლოზე" შეკრებილი 50 000 გულშემატკივარი და მთელი დარჩენილი დროის განმავლობაში, არბიტრთა ბრიგადა დიდი წნეხის ქვეშ იყო მოქცეული.

მომენტი ორივე კართან უხვად შეიქმნა და მათი სათითაოდ აღნიშვნისგან თავს შევიკავებთ. მხოლოდ ორ ყველაზე მწვავე ეპიზოდზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას. "ინტერის" მხრიდან **ესტებან კამბიასო** იყო ახლოს გოლის გატანასთან, მარჯვენა ფრთიდან გაკეთებული გადაცემის შემდეგ მძლავრად დაჰკრა ბურთს ფეხი და ნეაპოლელთა კარის ხარიხა შეაზანზარა. მასპინძლებს კი შეხვედრის უკანასკნელ წუთებზე არ გაუმართლათ, როდესაც **მარეკ ჰამშიკის** პირველი დარტყმა მეკარემ მოიგერია სასნაულებრივად, დამატებაზე კი **ანდრეა რანოკიამ** იმარჯვა და ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა. თერთმეტმეტრიანების სერიაში ათიდან ცხრა დარტყმა ზუსტი აღმოჩნდა, ერთადერთი გაცდებული პენალტი კი **ეზეკილ ლავეცის** ანგარიშზეა. არგენტინელმა ზემოდან გადააცილა ბურთი კარს და იტალიის თასის ნახევარფინალში "ინტერი" გაუშვა. მატჩის შემდეგ, **ხავიერ ძანეტიმ** მეტოქე შეაქო:

"სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ნეაპოლელებმა შესანიშნავად ითამაშეს და ისინიც იმსახურებენ ნახევარფინალში თამაშს. თუმცა, ფეხბურთის წესები ასეთია, მომდევნო ეტაპზე ერთი გუნდი უნდა გასულიყო და იღბალმა ამჯერად ჩვენ გადმოგვხედა მონყალე თვალით. თითოეული ტურნირი უმნიშვნელოვანესია და ვეცდებით, იტალიის თასი არავის დავანებოთ".

ლაშა წიკლაური

პატოს საგოლე მოქნევა

● სკანდალი

შური, ფარული ძალები და არაობიექტური კაცი

ინგლისში სექსიზმის თემა მძვინვარებს: **ენდი გრეის** გადადგომის ამბავი უკვე „მოგვიძველდა", შემდეგ კი გრეის მისი მეწყვილე **რიჩარდ კეისიც** მიჰყვა. განსხვავება ის არის, რომ გრეი გააგდეს, კეისი კი თვითონ წავიდა. 53 წლის ტელეწამყვანმა talkSPORT-ისთვის მიცემულ რადიოინტერვიუში ბოდიში მოუხადა თანამსაჯ ქალ **სიან მესის**, რომლის კრიტიკითაც დაიწყო სკანდალი და დასძინა, რომ გრეის გაგდების შემდეგ სამსახურში ველარ დარჩებოდა.

„მე სიანს კვირას დავურეკე და მოვუბოდიშე. ახლა ვაცნობიერებ, როგორ ვცდებოდით მე და ენდი, როდესაც ქალების პროფესიულ უნარ-ჩვევებს ვაკრიტიკებდით. სხვათა შორის, მაშინ სიანს ვკითხე, დამრთავდა თუ არა ნებას სახალხოდ გამომეცხადებინა ჩვენი საუბრის შესახებ და მეთქვა, რომ ჩვენ შორის ყველაფერი გარკვეულია. არ ვიცი რატომ, მაგრამ მან უარი მითხრა, მეორე დღიდან კი მსოფლიო გადაირია" - თქვა კეისმა, მაგრამ ისიც დასძინა, რომ შესაძლოა ყველაფერი შურის ბრალია. ის და ენდი გრეი ხომ მეტად პოპულარული წამყვანები იყვნენ. მან თქვა:

„წარმატება შურს იწვევს. გულწრფელად რომ გითხრათ, ჩანაწერები, რომლებიც ტელევიზიით გაუშვეს, შერჩეული იყო. ამოკრეფილი იყო კადრები, სადაც მე და ენდი ვჩანდით ცუდ ადამიანებად. რასაც ხალხი ერთმანეთში ლაპარაკობს, ყველაფერი ეთერში რომ გაუშვა, ამ ქვეყანაში სამსახურში აღარავინ დარჩება".

talkSPORT-თან საუბრისას კეისმა ისიც თქვა, რომ „ფარულმა ძალებმა" მას ამდენი დღის განმავლობაში ბოდიშის მოხდის საშუალება არ მისცა და სხვა მაუწყებელში მისვლაც ამიტომ დასჭირდა. ამ ბრალდებაზე SKY Sports-ის ხელმძღვანელებმა ხელები გაასავსავეს, ჩვენ არაფერ შუაში ვართო.

სკანდალის კიდევ ერთი განშტოება: კეისმა და გრეიმ „სექსისტური" ფრაზები „ვესტ ჰემის" ქალი ვიცე-თავმჯდომარის **კარენ ბრეიდის** მისამართითაც თქვეს. როგორც კეისი ამბობს, მან ორჯერ სცადა მასთან დაკავშირება, უნდოდა მისთვისაც მოეხადა ბოდიში, მაგრამ ბრეიდიმ არ უპასუხა.

„რიჩარდი ისე ამბობს, არ მიპასუხაო, გეგონება ჩაიზე მპატიჟებდა და მე ყურმილი არ ავიღე. თუ დაკვირვებით წაიკითხავს ბოლო დღეების გაზეთებს, მიხვდება, რომ „ვესტ ჰემის" ახალ ოლიმპიურ სტადიონზე გადაყვანის ვარიანტებზე მუშაობით ვიყავი დაკავებული. ჩემთვის „ვესტ ჰემისა" და ოლიმპიური სტადიონის მომავალი გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი. სამწუხაროა, რომ ადრინდელ გულისტკენას კეისმა ახალი შეურაცხყოფა დაამატა. მე თუ მკითხავთ, მან მარტო მე კი არ უნდა მომიხადოს ბოდიში, არამედ ყველა ქალს. ის, რაც მან ილაპარაკა, იმას ნიშნავს, რომ მე და ჩვენს სფეროში მომუშავე ყველა ქალი უუნარონი ვართ".

დაბოლოს, ვინ შეცვლის სამსახურიდან გაყრილ-წასულებს? ერთი, როგორც ირკვევა, **გარი ნევილი** იქნება. ის ენდი გრეის მიკროფონს მიუჯდება. „მანჩესტერ იუნაიტედის" განაპირა მცველი, რომელიც ამ სეზონის ბოლოს ფეხბურთის თამაშს თავს ანებებს, ტელეკომპანიების ყურადღების ცენტრში ამ სკანდალის გამო არ მოქცეულა. მასზე, როგორც მომავალ ტელეწამყვანზე, ადრეც ლაპარაკობდნენ. ბოლო ხანს 35 წლის ვეტერანი ეკრანზეც ჩანდა, ოღონდ სხვა გადაცემაში, 37 წლის **ჯეიმი რედნაპთან** ერთად.

გარი ნევილის კანდიდატურამ აზრთა სხვადასხვაობა წარმოშვა. ცნობილია, რომ მას „ლივერპული" სძულს, რაც თავისი საქციელით ბევრჯერ დაუმტკიცებია და მავანნი შიშობენ, რომ მისი ნაყვანილი გადაცემაც არაობიექტური იქნება. მეორენი ამტკიცებენ, რომ თუ მას რიჩარდ კეისის ადგილას „ლივერპულის" ყოფილ ფეხბურთელს, მის დღევანდელ მეწყვილე რედნაპს მიუსვამენ, ის ყველაფერს გაანონასწორებს. ზოგადად, ნევილი თავისებური ზნის ადამიანია და პროვოკაციულ გამოხდომებს არასდროს ერიდება. ასე მაგალითად, მისი ავტობიოგრაფიული წიგნი სავსეა საკამათო და წინააღმდეგობრივი თავებით, ხოლო „მალტის ტაიმზში", სადაც მესვეტედ მუშაობს, „მანჩესტერ სიტის" ფორვარდის **კარლოს ტევესის** შესახებ დაწერა მწარედ - მოგეხსენებათ, „სიტი" მისი „იუნაიტედის" თანაქალაქელი და მოქიშპე გუნდია.

„მანჩესტერ იუნაიტედში" გატარებული კარიერის შემდეგ გარი ნევილი მულტიმილიონერი და ცნობილი ადამიანია, რაც იმას ნიშნავს, რომ თამაშს თავს რომ დაანებებს, SKY Sports-ის გარდა სხვა სამსახურებიც შესთავაზებენ თავიანთ კონტრაქტებს: ჟქიგულისხმება როგორც ტელეკომპანიები, ასევე პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაცია და, რასაკვირველია, საკუთრივ „მანჩესტერ იუნაიტედი", სადაც მან შესაძლოა ერთ-ერთი მწვრთნელის რანგში მოსინჯოს ძალები.

ილია ბაბუნაშვილი

ვერდერი

ვერდერის ავანჩავანი

ბრემენელ მუსიკოსებს დაკვრა დაავიწყდათ

ბრემენის „ვერდერი" სულს ღაფავს, მაგრამ კლუბის ბოსი **კლაუს ალოფსი** მთავარ მწვრთნელ **თომას შააფს** მაინც არ ათავისუფლებს. „მუსიკოსების" შეფი წლებია, თომასს ენდობა, „ვერდერი" უკვე თომასის სახელთან ასოცირდება და ეს გუნდი სხვა მწვრთნელის ხელში ვერავის წარმოუდგენია, მაგრამ განა სადამდე უნდა დაეცეს „ვერდერი" იმისათვის, რომ ალოფსმა ასეთი ნაბიჯი გადადგას? ალბათ მეორე ბუნდესლიგაში უნდა გავვარდეთ იმისათვის, რომ ბოლოს და ბოლოს, გუნდში რაღაც შეიცვალოსო, ამბობენ გერმანელი მიმომხილველები და ცხადია, „რაღაცის შეცვლაში" პირველყოვლისა სწორედ მწვრთნელის შეცვლას გულისხმობენ - „აბა მთელ გუნდს ხომ არ გავყრით" პრინციპით. საინტერესოა ისიც, რომ „ვერდერის" ფანები შააფის წინააღმდეგ ჯერ არ ამხედრებულან. ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია: ბრემენულ კლუბში ძალიან კომიკური ვითარებაა და ფანების გარკვეულ ნაწილს უკვე ყველაფერზე ხელი აქვს ჩაქნეული - ალოფსი შააფს მაინც არ შეცვლის, თვითონ ალოფსს არანაირი საფრთხე არ ემუქრება და მორჩა, „ვერდერი" ცოტა ხანში საშუალო დონის გუნდიც კი აღარ იქნებაო.

„თომას შააფის გათავისუფლებას არათუ არ ვაპირებთ, არამედ ამაზე არც არავინ ფიქრობს, - აცხადებს ალოფსი და იქვე დასძენს, - *ჩვენ ასი პროცენტით ვენდობით სპეციალისტს, რომელმაც თავისი შესაძლებლობები „ვერდერში" წლების მანძილზე დაამტკიცა და არაფრის დიდებით არ გავათავისუფლებთ კლუბის წინაშე ასეთ ღვაწლმოსილ მწვრთნელს მხოლოდ იმიტომ, რომ ორი ან სამკვირიანი ფსიქოლოგიური მუხტი მივიღოთ".*

ბუნდესლიგაში 19 ტურია გამართული და „მუსიკოსებს" აქედან მხოლოდ ექვსი აქვთ მოგებული. გასულ უქმეებზე „კიოლნთან" განცდილი სამარცხვინო კრახი კი (0:3) სულაც კრიზისის ზენიტი იყო, პირდაპირი მაჩვენებელი იმისა, რომ „ვერდერი" დღეისათვის „სულით ხორცამდე" დაცემულ-განადგურებულია, რადგან „კიოლნთან" 0:3-ს ასე უბრალოდ არავინ აგებს. შააფის ბიჭები იმ შეხვედრაში მართლაც ისე გაისარჯნენ, როგორც მეორე ბუნდესლიგაში დასაქვეითებელ გუნდს შეეფერება – როგორც ბერლინის „ჰერტა" თამაშობდა შარშან ამ დროს.

„სხვების არ ვიცი, პირადად მე კი ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ფეხბურთელების აბსოლუტურ უმეტესობას „კიოლნთან" წარმატების მიღწევა არ სურდა. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მაგრამ ფაქტია, რომ ჩემს თანაგუნდელებს მოედანზე არაფერი გამოსდიოდათ და ნაცვლად მცდელობისა, უბრალოდ, იდგნენ," - ეს „მუსიკოსთა" კარის დარაჯ **ტიმ ვიზეს** სიტყვებია, რომელიც დასძენს, რომ ბრემენელების უმთავრესი მიზანი ამიერიდან მხოლოდ პირველი ბუნდესლიგიდან არგავარდნა უნდა იყოს.

ორშაბათს შააფმა და ალოფსმა ფეხბურთელები კიდევ ერთხელ (ვინ მოთვლის, მერამდენედ მიმდინარე სეზონში) შეკრიბეს და შეეცადნენ, მათთვის საჭირო ლექცია წაეკითხათ. შეხვედრამ სამ საათს გასტანა და იქ გამოთქმული მოსაზრებების შინაარსი, ცხადია, არავინ იცის. სამაგიეროდ, ცნობილი, გადაწყვეტილი და უკვე ოფიციალურად დადასტურებულია ის, რომ ბრემენელები ალარავის ყიდვას არ აპირებენ და პროგრამა მინიმუმის შესრულება არსებული კადრებით სურთ.


თომას შააფი და კლაუს ალოფსი სასოწარკვეთილები არიან

„არავის ყიდვას არ ვაპირებთ. ვფიქრობ, არსებულ შემადგენლობასაც ძალუძს თუნდაც იმ მიზნის მიღწევა, რასაც ელიტაში ადგილის შენარჩუნება ჰქვია, სამომავლო გეგმებზე კი უკვე ვმუშაობთ და ზაფხულში მოსალოდნელ ტრანსფერებზე, უმჯობესია, ზაფხულში ვისაუბროთ", - ამბობს ალოფსი.

ზემოთაც ვთქვით, რომ ბრემენელი ქომაგები შააფს ნაკლებად, თითქმის არ უჩივიან. სამაგიეროდ, „მუსიკოსთა" ქომაგების საკმაოდ დიდი ნაწილი უკვე ალოფსის წინააღმდეგია და მის წასვლას მოითხოვს, თუმცა კლაუსი თავისი ნებით გადადგომას, რა თქმა უნდა, არ აპირებს, გაშვებას კი არ უპირებენ.

შეგახსენებთ, რომ ბოლო შვიდი წლის განმავლობაში „ვერდერი" რეგულარულად თამაშობდა ჩემპიონთა ლიგაში და სხვათა შორის, არცთუ ურიგოდ. ბრემენულმა კლუბმა ბოლო შვიდიდან მხოლოდ ერთხელ არ ითამაშა ჩემპიონთა ლიგაში და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ შააფის მუშაობის პერიოდში, არავის უნახავს ისეთი საძაგელი და არატიპური „ვერდერი", როგორიც წელსაა. აქვე ისიც ვთქვათ, რომ 11 წელია, რაც თომას შააფი „ვერდერს" თავკაცობს...

გოტფრიდ ლენცი

შინჯი კაგავამ მძიმე ტრავმა მიიღო

დორტმუნდი

ბარიოსი ამუავდა, კაგავა დაშავდა

კლოპს დამწნილებული ლუკასი მოსწონს

„შტუტგარტთან" ნათამაშებ ფრეს (1:1) დორტმუნდის „ბორუსიასთვის", წესით, ბევრი არაფერი უნდა შეეცვალა, რადგან „შავ-ყვითლები" მაინც დიდი უპირატესობით ლიდერობენ - „ბორუსია" უახლოეს მდევარ „ლევერკუზენს" 11, ხოლო მოქმედ ჩემპიონ „ბაიერნს" კი სულაც 14 ქულით უსწრებს. „შტუტგარტთან" მატჩამდე დორტმუნდელები ამბობდნენ, ნერვებს ვერავინ და ვერაფერი მოგვიშლის, ვიცით, რომ კონკურენტების სურვილი და მიზანი ახლა ჩვენი ანერვიულებაა და ძალიან მაგრად ვდგავართო, მაგრამ მეორე წრის მეორე ტურში დაკაგარგულმა ორმა ქულამ BVB-ს მაინც დაატყო დაღი.

თავდამსხმელი **ლუკას ბარიოსი** ძალიან ნაწყენია იმის გამო, რომ მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ კლოპმა** „შტუტგარტთან" ძირითად შემადგენლობაში არ გაამწესა. გაპარაგვაელებულ არგენტინელს ამ თემაზე ჩვენს გერმანელ კოლეგებთან არაფერი უთქვამს, აი, თანამემამულე ჟურნალისტებისთვის ტელეფონით მიცემულ ინტერვიუში კი საკმაოდ ცუდი რამეები თქვა - იმ იმედით, რომ გერმანიაში პარაგვაულ პრესას არავინ გაეცნობოდა. აი, რას ამბობს 26 წლის ბარიოსი ABC digital-ისთვის მიცემულ ინტერვიუში: *„თამაშის შემდეგ გაზეთ „ბილდში" წავიკითხე, თურმე იურგენ კლოპს უთქვამს, ბარიოსი იმიტომ არ ვათამაშე, რომ მოედანზე გასასვლელად 100 პროცენტით მზად არ არისო. მე კი მინდა ყველას გასაგონად ვთქვა, რომ თამაშისთვის 100 პროცენტით მზად ვარ! დიდი ხანია, აღარ მაქვს გრიპი, რომლის გამოც შვებულებიდან გვიან დავბრუნდი. ვარჯიშებზე ყველაფერს ისე ვაკეთებ, როგორც დანარჩენები და შესაბამისად, ძალიან მიკვირს, როცა ჩემზე ამბობენ, ფორმაში არააო. მეტსაც ვიტყვი: ახლა თავს ისე კარგად ვგრძნობ, როგორც არასდროს, ვფიქრობ, ასეთ ფიზიკურ კონდიციაში არასდროს ვყოფილვარ."*

ბარიოსს მიმდინარე სეზონში დორტმუნდისთვის 8 გოლი აქვს გატანილი და გუნდის საუკეთესო ბომბარდირია. „შტუტგარტთან" კლოპმა მის ნაცვლად პოლონელი **რობერტ ლევანდოვსკი** ათამაშა, რომელიც ადრე საკმაოდ კარგად ცვლიდა ხოლმე ბარიოსს, „შტუტგარტთან" კი იმდენი მომენტი გაანიავა, რომ ლამისაა, დორტმუნდელებმა ორი ქულის დაკარგვა მხოლოდ მას დააბრალონ.

ბარიოსის შემოტევას კლოპი გახარებული დახვდა. 43 წლის მწვრთნელი, რომელიც იდეალური ფსიქოლოგია, ამბობს: *„ძალიან მიხარია, რომ ლუკასი მოუთმენლად ელის იმ დღეს, როცა ძირითად შემადგენლობაში დავაბრუნებ და რომ იბრძვის სასტარტოში დასაბრუნებლად. ცხადია, ბარიოსი ძალიან გვჭირდება."*

ბარიოსის უკმაყოფილება არაფერია იმასთან შედარებით, რაც „ბორუსიას" აზიიდან დაატყდა თავს. საქმე ის არის, რომ იაპონიის ნაკრებთან ერთად აზიის თასზე მოასპარეზე **შინჯი კაგავა**, რომელიც დორტმუნდელთა ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურაა, დაშავდა და დიდი შანსია, რომ ფეხბურთი სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშოს. ახალგაზრდა გამთამაშებელს, რომელმაც პირველი წრე ბრწყინვალედ ჩაატარა, მოტეხილობა აქვს. 21 წლის ნახევარმცველი აზიის თასის ნახევარფინალში, სამხრეთ კორეასთან მატჩში დაიმტვრა და უკვე დორტმუნდშია, მაგრამ ყავარჯნებით დადის. ფაქტია, რომ შინჯი დორტმუნდელებს მინიმუმ ორი თვის მანძილზე ვერ დაეხმარება, მაგრამ დიდი შანსია, რომ მისთვის მიმდინარე სეზონი უკვე დასრულებული იყოს.

„მოხდა ის, რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა. კაგავას ტრავმა ჩვენთვის სერიოზული პრობლემაა, რადგან პირველ წრეში მასზე მქონდა თამაში აგებული. თუმცა მომავალს მაინც ოპტიმისტურად ვუყურებ. ჩვენ გვყავს რამდენიმე ფეხბურთელი, ვისაც შინჯის ღირსეულად შეცვლა შეუძლია. ერთ-ერთი მათგანი მოჰამედ ზიდანია, რომელსაც ამ სეზონში თავისი პოტენციალის სრულფასოვნად გამოვლენის საშუალება ჯერ არ მისცემია", - ეს კლოპის სიტყვებია.

შეგახსენებთ, რომ ბუნდესლიგის მე-20 ტურში, შაბათს, დორტმუნდელები „ვოლფსბურგს" სტუმრობენ...

გოტფრიდ ლენცი

გერმანიის თასი

ორი გრანდი და ორიც სიურპრიზი

რობენმა აიწყვიტა, ბაიერნელებს ისევ შალკე ურჩევნიათ

მეოთხედფინალი

შალკე-ნიურნბერგი	**2:2 დ.დ. 3:2**
გოლები: 0:1 შიბერი (4), 1:1 გავრანოვიჩი (14), 1:2 შიბერი (32), 2:2 რაკიტიჩი (58), 3:2 დრაქსლერი (119)	
აახენი-ბაიერნი	**0:4**
გოლები: 0:1 გომესი (26), 0:2 მიულერი (75), 0:3 მიულერი (80), 0:4 რობენი (88)	
კოტბუსი-ჰოფენჰაიმი	**1:0**
გოლი: 1:0 შაო (84)	
დუისბურგი-კაიზერსლაუტერნი	**2:0**
გოლები: 1:0 ბაიჩი (36), 2:0 შუკალო (58)	

გერმანიის თასის მეოთხედფინალურმა დაპირისპირებებმა ნახევარფინალში ორი სახელოვანი კლუბი და ორიც მეორებუნდესლიგელი გაიყვანა. ოთხიდან ორ მატჩში გამარჯვებული შედარებით იოლად გამოვლინდა, ორგან კი მოვლენები უფრო დრამატულად განვითარდა.

სამშაბათს "შალკემ" "ნიურნბერგს" უმასპინძლა და მართალია, ძალიან გაუჭირდა, მაგრამ საწადელს მაინც მიაღწია. გამარჯვების გოლი კი დამატებითი დროის მიწურულს იმ ფეხბურთელმა გაიტანა, რომლისგანაც ამას ნაკლებად ელოდნენ – მოედანზე სამი წუთის შესულმა 17 წლის **იულიან დრაქსლერმა**, რომელმაც რამდენიმე დღის წინ ბუნდესლიგურ შეხვედრაში "ხუმარათა" ძირითადში გამწესებული ყველა დროის უმცროსი მოთამაშე გახდა.

"დუისბურგი" და "კოტბუსი" მეორე ბუნდესლიგაში დღეისთვის შესაბამისად, მე-3 და მე-5 ადგილზე არიან და თუ წილისყრამ ნახევარფინალში ერთმანეთს შეახვედრა, ევროთასებზე მოხვედრის დიდი იმედიც გაუჩნდებათ.

ანგარიშმა არ უნდა მოგვატყუოს, "ბაიერნმა" "აახენი" თამაშის ბოლოსლა გატეხა. მასპინძლებმა მიუნხენელებს რამდენიმე სახიფათო მომენტი შეუქმნეს და რომ არა ახალბედა კიპერ **თომას კრაფტის** ბრწყინვალე თამაში, გაიტანდნენ კიდეც. მერე მოედანზე ახლადგამოჯანმრთელებული **არიენ რობენი** შევიდა და ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა. ერთ რამედ ღირდა მის მიერ **თომას მიულერისთვის** გაკეთებული უზადო გადაცემის ნახვა, ბოლოს კი თავადაც გაიტანა. რობენსა და დუბლის ავტორ მიულერს არც **მარიო გომესი** ჩამორჩა.

"დიდებული შეგრძნებაა, როგორც იქნა, ფეხბურთს ვთამაშობ და "ბაიერნს" გამარჯვებაში ვეხმარები. გერმანიის თასის შენარჩუნება ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია, ნახევარფინალში კი მეტოქედ "შალკეს" ვისურვებდი. ჩემს აზრს "ბაიერნის" სხვა ფეხბურთელებიც იზიარებენ", - თქვა ნამატჩევს რობენმა.

შეგახსენებთ, "ბაიერნმა" თასი შარშანაც მოიგო და ნახევარფინალის დამატებით დროში სტუმრად "შალკე" სწორედ რობენის ბრწყინვალე გოლით დაამარცხა. ეს გოლი სეზონში ერთ-ერთი საუკეთესოდ აღიარეს.

ლევან ჯანეზაშვილი

უცხოური ფეხბურთი

● სამეფო თასი. ნახევარფინალი. I მატჩები

90 წუთი საოცნებო ფინალამდე

ორი კლასიკო ოთხ დღეში?

სევილია–რეალი 0:1

სევილია (4-4-2): პალოპი - ესკუდე, ალექსისი, ს. სანჩესი (16. კასერესი), ფ. ნავარო - ხ. ნავასი, ზოკორა, რომარიკი (52. რენატო), პეროტი - კანუტე, ლ. ფაბიანო (75. ნეგრედო).

რეალი (4-3-2-1): კასილიასი - რ. კარვალიო, ს. რამოსი, ალბიოლი, არბელოა - ხედირა, ლ. დიარა (56. მარსელო), ჩ. ალონსო - იოზილი (85. გრანერო), რონალდო - ბენზემა (68. დი მარია).

გოლი: 0:1 ბენზემა (17)

გაფრთხილება: ლ. ფაბიანო, ზოკორა, ალექსისი, ფ. ნავარო - ლ. დიარა, არბელოა, ხედირა, რონალდო, ს. რამოსი

ბარსელონა–ალმერია 5:0

ბარსელონა (4-3-3): პინტო - ადრიანო, პიკე, აბიდალი, მაქსველი (82. გ. მილიტო) - ჩავი (74. კეიტა), მასკერანო, ინიესტა - პედრო, მესი, ვილია (65. აფელაი).

ალმერია (4-5-1): ესტებანი - მასედო, კ. გარსია, პელერანო, ლუნა - კორონა (61. უჩე), მ'ბამი, ვარგასი, კრუსატი, პიატი (84. ხოსე ორტისი) - გოიტომი (75. ულოა).

გოლები: 1:0 მესი (9), 2:0 ვილია (11), 3:0 მესი (16), 4:0 პედრო (31), 5:0 კეიტა (89)

გაფრთხილება: ვარგასი

საპასუხო მატჩები 2 თებერვალს გაიმართება

ბენზემა და მოურინიო

„სამეფო" თასზე" პირველი ნახევარფინალური მატჩები გაიმართა, ბევრი რამ თითქმის გაირკვა, მათ შორის, მთავარი - დიდი შანსია, ამ სეზონში ორის ნაცვლად სამი „ელ კლასიკო" ვიხილოთ, მესამეს „ბონუსის" სახით, კოპას ფინალად ვნახავთ, თუკი... „რეალი" „სანჩეს პისხუანზე" მოპოვებულ ერთგოლიან უპირატესობას შეინარჩუნებს, ხოლო „ბარსელონა" არ გაანიავებს „ალმერიასთან" 5-გოლიან უპირატესობას. ბოლო წინადადება, ალბათ, შაყირივით გამოგვივიდა, მაგრამ არც „რეალი" ჩანს იმ გუნდად, სტუმრად მოგებული გაანიავოს. მაშ, რაღა უდგას წინ სეზონის მესამე კლასიკოს"? თითქმის არაფერი...

ლა ლიგაში მეორე „კლასიკო" 16 ან 17 აპრილს უწევს, ეს თამაში „სანტიაგო ბერნაბეუზე" გაიმართება (პირველი, მოგეხსენებათ, „კამპ ნოუზე" „რეალის" განადგურებით დასრულდა), სათასო ფინალი კი 20 აპრილს არის ნავარაუდევი. და რა გამოდის? 3-4 დღეში ორი „კლასიკო"? რატომაც არა! მაგრამ მაინც არა გვგონია, რომ ესპანური ფეხბურთის მამებმა კალენდარი ასე დატოვონ.

სათასო ბატალიებზე წერას კი „სანჩეს პისხუანზე" გამართული მატჩით ვიწყებთ. „სევილიას" ფეხბურთელების ვიდეორგოლმა კიდევ უფრო დიდი აუიოტაჟი გამოიწვია ამ მატჩის წინ და სტადიონიც გადაივსო ანდალუსიელი ფანებით. **ჟოზე მოურინიოს** და მისი გუნდისთვის ფრიად არასასიამოვნო „ატმოსფერო" იყო. „სევილიამ" უკეთ დაიწყო, ვიდრე „სამეფო კლუბმა", თასის მფლობელმა ერთი-ორჯერ სახიფათოდ შეუტია. წესით და რიგით, **ალვარო არბელოას ხესუს ნავასთან** უხეშობისთვის წითელი ბარათიც ეკუთვნოდა... თუმცა გოლი „რეალმა" გაიტანა, თანაც ვინ და როგორი! **ემანუელ ადებაიორი** უკვე რეალელია და შემდეგი თამაშიდან (ალბათ) **ქარიმ ბენზემას** უშუალო კონკურენტი უფროა, ვიდრე შეტევაში პარტნიორი, ამიტომაც უნდა იჩქაროს ფრანგმა, ყოველი შანსი გამოიყენოს, სევილიაში კი იყოჩაღა - ერთდროულად ორი მცველი მოატყუა და **ანდრეს პალოპის** კარი დალაშქრა. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ბენზემას ერთადერთი და ძალზე მნიშვნელოვანი გოლი გაუტანია, რომელიც ამავდროულად მაღალი კლასისა იყო. სხვათა შორის, ლა ლიგაში სულ რაღაც 2 გოლის გამტან ქარიმს, „სამეფო თასზე" უკვე 5 დაუგროვდა. მოკლედ, კოპა „მისი" ტურნირია. „სევილიას" პირველ ტაიმშივე შეეძლო ეპასუხა გოლითვე, პრინციპში, უპასუხა კიდეც, მაგრამ მსაჯმა **ლუიშ ფაბიანოს** ძალზე საკამათო ეპიზოდში კარის აღება არ ჩაუთვალა - **კანუტემ** კარგი პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა ფაბიანო, მანაც იოლად მოატყუა **იკერ კასილიასი** და ცარიელ კარში დაარტყა, კარის ბადეში გახვეულმა **რაულ ალბიოლმა** მოასწრო ბურთის უკან გამოგდება, თუმცა „სანჩეს პისხუანი" ლამის ჩამოიქცა რისხვისგან, ფანები, ფეხბურთელები და მწვრთნელები მიიჩნევდნენ, რომ ბურთმა გადაკვეთა კარის ხაზი. გამეორებაზე გამოჩნდა, რომ ბურთმა მართლაც გადაკვეთა კარის ხაზი, მაგრამ არა ბოლომდე. ამავე ტაიმში ბრაზილიელმა ფორვარდმა ერთხელ სახიფათო თავურიც შეასრულა...

ამბობენ, მეორე ტაიმს მწვრთნელები იგებენო, ფაქტია, მეორეში, იმის მაგივრად, რომ „სევილიას" შეეტია და შეეტია, „რეალი" დომინირებდა და ერთი-ორი საგოლე მომენტიც შექმნა. ერთხელ მაინც ვალდებული იყვნენ **კრიშტიანო რონალდო** და **მესუთ იოზილი** გაეტანათ, რონალდოს არ დაარტყმევინეს, გამოვარდნილ ბურთზე კი გერმანელი დაიბნა და **ალექსისმა** „სევილია" აშკარა გოლისგან იხსნა. რონალდოს და იოზილის დასჯა ნეგრედოს დარტყმულს შეეძლო, უფრო ზუსტი რომ ყოფილიყო...

საფინალო სასტვენის შემდეგ უსიამოვნო ინციდენტი მოხდა, იკერ კასილიასს ტრიბუნიდან ნასროლი ბოთლი თავში მოხვდა.

მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე ჟოზე მოურინიო არ მივიდა, მის ნაცვლად კითხვებს გამარჯვებულთაგან **აიტორ კარანკამ** უპასუხა. კარანკამ თქვა, მედიის უპატივცემულობა არაფერ შუაშია, ხანდახან მწვრთნელს მისი ასისტენტებიც ეხმარებიანო: *„ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ, თუმცა 1:0 3:0 არ არის, ამიტომ გადაწყვეტილი არაფერია. ჩვენ „სანტიაგო ბერნაბეუზე" ფანების იმედი გვაქვს და მათი მხარდაჭერის. ქარიმ ბენზემას მთელი გუნდი უჭერს მხარს და დღევანდელი თამაშიდან ნათლად გამოჩნდა, რომ ქარიმმა ეს ძალიან კარგად იცის, ის გუნდის მნიშვნელოვანი ფიგურაა. რაც შეეხება გაუქმებულ გოლს, ამას უფრო დეტალურად გასახდელში გავარჩევთ. ზოგი ამბობს, ბურთმა გადაკვეთა ხაზი, ზოგი - არაო. კასილიასის ინციდენტი ცალკე საკითხია, „სევილიას" ფანებს არას ვერჩით, ისინი მხარს უჭერდნენ თავიანთ გუნდს, იმ სექტორის მიმართაც უსტვენდნენ, საიდანაც სერხიო რამოსის მიმართ სტვენდნენ. ასე რომ, ერთი-ორი ცუდი გულშემატკივარი ყველგანაა. იკერი თავს კარგად გრძნობს", - განაცხადა ბასკმა.*

იკერ კასილიასი („რეალი"): *„ცუდი ინციდენტი მოხდა, ვიღაცამ წყლის ბოთლი გამარტყა. იმედია, კამერებმა დააფიქსირა დამრღვევი და მას სათანადოდ დასჯიან, რადგან ასეთები ნამდვილ გულშემატკივრებსაც აზარალებენ. თამაშით კმაყოფილი ვარ, „სევილია" პრობლემებს გვიქმნიდა, ამის ფონზე, არ გავუშვით და აქეთ გავიტანეთ, რაც დიდებული შედეგია. ახლა უკვე „ოსასუნასთან" ლალიგის მატჩზე ვფიქრობთ".*

გრეგორიო მანსანო (სევილია): *„თავს დავდებ - ლუიშ ფაბიანოს დარტყმამ პირითი ხაზი გადაკვეთა. ეს იყო ნამდვილი გოლი, რომელიც მსაჯებმა შეცდომით არ ჩაგვითვალეს. ჩემმა ფეხბურთელებმა ამ თამაშში წაგება ნამდვილად არ დაიმსახურეს. მეორე მატჩის წინ მთლად უიმედოდ არ ვართ".*

„ალმერიას" კვერი ცხვა, ცხვა და ვერ გამოცხვა. ამ გუნდით ევროსაგზურისთვის ბრძოლა ნამდვილი სიგიჟე იყო, მაგრამ მამაცმა ანდალუსიურმა კლუბმა საყოველთაო სიმპათია დაიმსახურა ცდისთვის. ცდით კი სცადა, მაგრამ **ხოსე ლუის ოლტრას** გუნდმა „ბარსას" სერიოზული სინდრომი „აიკიდა". 0:8, ჩემპიონატში, 0:5 ახლა და კიდევ ერთი მატჩი რჩება...

ყველაფერი თავშივე გადაწყდა, „ბარსელონა" თითქმის ორივე ფეხით ფინალშია - როცა **ლეო მესიმ** მე-9 წუთზე გახსნა ანგარიში, არგენტინელს ერთი შესაშური საგოლე შანსი უკვე განიავებული ჰქონდა, ორ წუთში **ჩავის** პასით **დავიდ ვილიამ** გაიტანა. კიდევ ხუთ წუთში კი მესიმ დუბლი შეასრულა და „სამეფო თასის" ბომბარდირთა სიას 7 გოლით ჩაუდგა სათავეში, მას შემდეგ, რაც კრიშტიანო რონალდოსა და **გონსალო იგუანის** გადაუსწრო. მესის ეს გოლი „ბარსასთვის" მე-100 იყო სეზონში. პირველ ტაიმში **პედრომ** ერთიც გაიტანა და თამაშს აზრი მთლიანად დაუკარგა. მეორე ტაიმში „ბარსელონამ" აშკარად დაინდო მეტოქე, რომელმაც, მისდა საუბედუროდ, გახსნილი, შემტევი თამაში ითამაშა და გოლები უმთავრესად კონტრშეტევებით მიიღო. რას იზამ, ასეთია „ალმერია". მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა **სეიდუ კეიტამ** მესის სუპერპასი შეიშნო და ანგარიშს წერტილი დაუსვა - 5:0.

ხოსეპ გვარდიოლა („ბარსელონა"): *„დიდებული შედეგია, თუმცა „ბეტისთან" დაპირისპირებამ გვიჩვენა, რომ მოშვება არ შეიძლება, საპასუხო მატჩიც მნიშვნელოვანია. პატივს ვცემ მეტოქეს, ამიტომ ჯერ არ ვიტყვი, რომ ფინალში ვართ".*

ხოსე ლუის ოლტრა („ალმერია"): *„გუნდმა არ დაიჯერა, რომ შეეძლო. შენუხებული ვარ, რადგან, ვფიქრობ, რომ ბიჭებმა არც კი სცადეს. არ მეგონა, რომ ასე ცუდად ნავაგებდით. ხუთი კი არა, მეტი გოლით რატომ არ წავაგეთ, მიკვირს".*

● ახალწვეული

ადებაიორი: მსოფლიოში საუკეთესო კლუბში მოვედი

ემანუელ ადებაიორი

გუშინ მადრიდის „რეალის" ახალწვეული **ემანუელ ადებაიორი** ოფიციალურად გახდა რეალელი. ტოგოელმა პირველად ივარჯიშა გუნდში (ოღონდ, რეზერვისტებთან, ძირითად გუნდს დასვენების დღე ჰქონდა) და ის ოფიციალურად წარუდგინეს მედიას. მოკლედ, „მანჩესტერ სიტის" ყოფილ ფორვარდს პომპეზური, მაგრამ საქმიანი დღე ჰქონდა...

დილით „ვალდებებასის" ბაზაზე **ჟოზე მოურინიო** „რეალ კასტილიას" ვარჯიშზე დასასწრებად მივიდა. ბუნებრივია, ამის მიზეზი ადებაიორია. სხვათა შორის, ადებაიორთან ერთად ივარჯიშეს **ესტებან გრანერომ** და **პედრო ლეონმა ალბერტო ტორილის** ხელმძღვანელობით. ჟოზეს გვერდს **ზინედინ ზიდანი** უმშვენებდა.

ამის შემდეგ ტოგოელმა „სანტიაგო ბერნაბეუზე" გადაინაცვლა, სადაც ოფიციალურად მოაწერა ხელი „რეალთან" 6-თვიან საიჯარო ხელშეკრულებას. ხელშეკრულების გაფორმებას დაესწრნენ „რეალის" ბოსები, **ხორხე ვალდანო, მიგელ პედრასა** და **ედუარდო ფერნანდეს დე ბლასი**.

„თავს უკვე სახლში ვგრძნობ. ყოველთვის ვოცნებობდი დიდ კლუბში თამაშს და ეს ოცნება ამიხდა. ვიცი, „რეალში" თამაში დიდი გამოწვევაა და ჩემი მხრიდან შრომას გპირდებით, რომ გავამართლო გულშემატკივართა იმედები. დღეს ვარჯიშზე მოურინიოს ველაპარაკე და ახლა აქაც გავიმეორებ ამ სიტყვებს, მინდა სეზონის ბოლოს „რეალთან" ერთად ტიტულები მოვიგო", - განაცხადა ადებაიორმა, რომელმაც „რეალს" *„მსოფლიოში საუკეთესო კლუბი"* უწოდა.

„აქ თითოეული ფეხბურთელი ძალიან ნიჭიერია. აუცილებლად უნდა შევძლო და გუნდს მოგებების მოპოვებაში დავეხმარო. მჯერა, რომ „ბარსელონასაც" დავამარცხებთ. სხვანაირად, მე აქ არ ვიქნებოდი. „რეალი" დიდი გუნდია, აქ ისეთი ფეხბურთელები თამაშობენ, როგორიც კაკა, ბენზემა, რონალდო და იოზილია. დარწმუნებული ვარ, რომ მათ მინდორზე ძალიან კარგად გავუგებ. მე აქ დახმარებისთვის ვარ, წარსულში მქონდა ბედნიერება ბენზემასთან მეთამაშა და ვიტყვი, რომ ის დიდი ფეხბურთელია, მე მას ძალიან ვაფასებ. ფეხბურთელი ვარ და სათამაშო დრო მჭირდება, „სიტიში" რაც მოხდა, რობერტო მანჩინის ტაქტიკური ცვლილებების ბრალია. ყველაფერს გავაკეთებ, რასაც მწვრთნელი დამავალებს. ვატყობ, რომ აქ ჩემი სწამთ და არ მინდა ამ ხალხს გული გავუტეხო".

ემილიო ბუტრაგენიო ამტკიცებს, რომ „რეალი" ადებაიორის დამატებით კიდევ უფრო საშიში გუნდი გახდება. „რეალის" ლეგენდა მიიჩნევს, რომ ტოგოელის დამატება შეიძლება გადამწყვეტი ნაბიჯიც გამოდგეს ამ სეზონში.

პრეზენტაციაზე ტოგოელ ფორვარდს „რეალის" უნომრო მაისურა გადასცეს. ნომრის საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა, რადგან „რეალს" ჯერ არავინ გამოკლებია, რომ ადებაიორი მის ნაცვლად შეიყვანონ 25-კაციან სიაში. სანამ ეს არ მოხდება, აფრიკელს თამაშის უფლება არ ექნება.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

ესპანური კალეიდოსკოპი

გინდათ ბუსკეტსი? გადაიხადეთ 150 მილიონი!

გუშინ დილით „ბარსელონას“ საყრდენმა ნახევარმცველმა **სერხიო ბუსკეტსმა** კლუბთან ხელშეკრულება 2015 წლის ზაფხულამდე გააგრძელა. ხელშეკრულებაში კონტრაქტის კვლავ გაგრძელების პუნქტია ჩადებული, თუმცა ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენ მატჩს ითამაშებს სერხიო „ბარსელონაში“ 2014/15 წლების სეზონში. ხელისმოწერის ცერემონიას „ბარსას“ პრეზიდენტი **სანდრო როსელი** ესწრებოდა. ახლა ბუსკეტსის გამოსასყიდი ფასი 80 მილიონი ევრო კი აღარაა, არამდე - 150!

ცერემონიის შემდეგ ბუსკეტსმა „ბარსა ტვ-ის“ უპასუხა: *„ძალიან ბედნიერი ვარ. ჩემთვის, ეს წლის დიდებული დასაწყისია. 22 წლის ვარ და ჩემს საფეხბურთო კარიერაში ყველაფერი პოზიტიურად მიმდინარეობს. ვთამაშობ მსოფლიოს საუკეთესო კლუბში და იმედი მაქვს, რომ მომავალ წლებშიც ყველაფერი ასე კარგად გაგრძელდება“.*

სერხიო ბუსკეტსი „ბარსას“ ძირითად გუნდში **ხოსეპ გვარდიოლამ** გადაიყვანა. მისი დებიუტი 2008 წლის სექტემბერში შედგა, როცა კატალონიელები „რასინგს“ 1:1 დაუზავდნენ. ამავდროულად ბუსკეტსი ჯერ კიდევ თამაშობდა სარეზერვო გუნდში. მან 2008 წლის მიწურულს ახალი კონტრაქტი გააფორმა „ბარსელონასთან“, რომელსაც ვადა 2013 წლის ზაფხულში გასდიოდა. „ბარსელონაში“ მოულოდნელმა აღზევებამ ბუსკეტსს გზა ეროვნული ნაკრებისკენაც გაუკაფა და 2009 წლის აპრილში მან პირველად ითამაშა ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაში. საკლუბო და სანაკრებო დონეზე ბუსკეტსს უკვე უამრავი ტიტული აქვს მოპოვებული, არადა ის ჯერ 22 წლისაა. სერხიო ახლა უკვე „ბარსელონას“ შეუცვლელი მოთამაშეა, ის თითქმის ყოველთვის სასტარტო შემადგენლობაშია, მიუხედავად იმისა, რომ ამ სეზონში **ხავიერ მასკერანოს** სახით ძალზე სერიოზული კონკურენტი შეემატა.

სერხიო ბუსკეტსი

ნიკოლოზ ნეფარიძე

პედროს გოლი საიუბილეო მატჩში

„ბარსელონას“ თავდამსხმელმა **პედრო როდრიგესმა** „ალმერიასთან“ მატჩში მეასედ მოირგო კლუბის ფორმა. ყველაფერი კი იმით დაინყო, რომ ახალგაზრდა პედრიტომ 2008 წლის 12 იანვარს „მურსიასთან“ მატჩში პირველად მოირგო ძირითადი გუნდის მაისურა, ის თამაში „ბარსამ“ 4:0 მოიგო. სამი წელი გავიდა და პედრიტო პედროდ იქცა, „ბარსელონას“ სასტარტო შემადგენლობის წევრად, რომელსაც ძალზე ხშირად გააქვს გოლები მეტოქეთა კარში.

პედრო - 100

პედრომ ამ სეზონში 11 გოლი ლა ლიგაში გაიტანა, 3 ჩემპიონთა ლიგაში, 4 - „სამეფო თასზე“. საიუბილეო მე-100 შეხვედრაშიც პედროს არ დაუტოვებია მოედანი უგოლოდ. სულ კი 100 მატჩში თავდასმხმელმა 41 გოლი გაიტანა, შესაშური შედეგიანობაა.

„ბარსა ტვ“ შეხვდა იუბილარს და ინტერვიუ ჩამოართვა მას: *„ყველაფერი გუნდურ შრომაზეა დამოკიდებული. ვფიქრობ, წლეულს უკეთ ვთამაშობთ, ამიტომაც მეც თავს უფრო კარგად ვგრძნობ მოედანზე და გოლები გამაქვს. გუნდს ძალიან კარგად შევეწყვე და, დიდი ხანია, მის ნაწილად მივიჩნევ თავს. მიხარია, რომ ჩემი წვლილიცაა „ალმერიას“ დამარცხებაში. ერთი სული მაქვს, ფინალში გავიდეთ და იქ მადრიდის „რეალს“ ვეთამაშოთ“*, - განაცხადა პედრომ გადაცემა „ელ მარკადორში“.

ფეხბურთელს დაეკითხნენ თუ რომელი თამაში იყო ამ 100-დან მისთვის ყველაზე დასამახსოვრებელი. პასუხში პედრო არ ყოფილა ორიგინალური: *„რა თქმა უნდა „კლასიკო“ „რეალთან“, რომელიც 5:0 მოვიგეთ“.*

ნიკოლოზ ნეფარიძე

ვერა ბილბაოში ნავიდა

ბილბაოს „ატლეტიკმა“ გამოაცხადა, რომ სეგუნდა ბ დივიზიონის კლუბ „ლემონადან“ 23 წლის თავდამსხმელი **ურკო ვერა** შეიძინა. სხვათა შორის, ამ მოკრძალებული ბასკური კლუბიდან ბილბაოელთა კიდევ ერთი ფორვარდი, **გაისკა ტოკერაა** გადმოსული. ვერამ „ატლეტიკთან“ 2,5-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, თუმცა რა თანხა დაუჯდათ „ლომებს“ ახალგაზრდა ფეხბურთელი, არ ხმაურდება.

თუკი ბილბაოელებმა შეიძინეს, „ალმერიამ“ ერთი ფეხბურთელი გაუშვა - 25 წლის **მიგელ ანხელ ნიეტომ** ვერ დაიმკვიდრა თავი აუტსაიდერთა შემადგენლობაში და ის „ხერესში“ გაანათხოვრეს. აღსანიშნავია, რომ ნიეტო მადრიდის „რეალის“ აკადემიის აღზრდილია და 2007 წელს „რეალის“ შემადგენლობაში ნათამაშებიც კი აქვს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჟონასმა გააფორმა

„ვალენსიამ“ ოფიციალურად დაადასტურა, რომ „გრემიოსგან“ ბრაზილიელი ფორვარდი **ჟონას გონსალესი** შეიძინა. ჟონასის სანაცვლოდ „ლოს ჩემ“ 1,25 მილიონი ევრო გადაიხადა და მას 4,5-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა. ჟონასმა ყველა სახის ტესტი წარმატებით გაიარა, 26 წლის ფეხბურთელი უკვე „ვალენსიას“ სრულუფლებიანი წევრია. შარშან ჟონასმა სამშობლოში 33 მატჩში 21 გოლი გაიტანა.

„ესპანეთში ყველაზე მეტად „ვალენსია“ მომწონდა და კარგია, რომ სწორედ ამ კლუბს დავუკავშირე ბედი. აქ ძალიან ბევრი კარგი ფეხბურთელი თამაშობს, როგორიც მატა, სოლდადო და ადურისია. იმედი მაქვს, კლუბის ისტორიაში ყველაზე წარმატებული ბრაზილიელი ვიქნები“, - განაცხადა ჟონასმა.

ვალენსიას ახალნვეული

ნიკოლოზ ნეფარიძე

რუისი ნაპოლიში გადავიდა

„ესპანიოლმა“ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მისი მცველი **ვიქტორ რუისი** იტალიურ „ნაპოლიში“ გადაბარგდა. *„ვიქტორ რუისი „ნაპოლის“ წევრი გახდა, ფეხბურთელი დღეს წავა იტალიაში, სადაც გაივლის სამედიცინო შემოწმებას. მომავალ კვირაში ის დაბრუნდება ბარსელონაში, რათა ოფიციალურად დაემშვიდობოს თანაგუნდელებსა და ფანებს. „ესპანიოლმა“ მიიღო თანხა, პლუს ხესუს დატოლო უკვე ოფიციალურად გახდა ესპანიოლელი. ახლა არგენტინელი კლუბთან სრულფასოვან კონტრაქტს გააფორმებს“*, - ვკითხულობთ ბარსელონური კლუბის ოფიციალურ საიტზე.

ოფიციალურად არ გამოუცხადებიათ, მაგრამ მედიამ შეიტყო, რომ 22 წლის მცველის სანაცვლოდ „ნაპოლიმ“ 6 მილიონი ევრო გადაიხადა. რუისი მომავალ 4 სეზონს სამხრეთ იტალიაში დაყოფს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ინტერვიუ

სპიდის ახალი უელსი, ამბიციური და კონკურენტუნარიანი

უელსის ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის სასტარტო სამ მატჩში ერთი ქულაც ვერ მოიპოვა და ამ ქვეყნის საფეხბურთო ასოციაციამ გუნდი ახლო წარსულში ცნობილ ფეხბურთელს, უელსის ისტორიაში ერთ-ერთ გამორჩეულ მოთამაშე გარი სპიდს ჩააბარა.

სპიდს ფიფას ოფიციალური ვებგვერდი ესაუბრა. ინტერვიუს მცირე შემოკლებით გთავაზობთ.

- რა გრძნობა დაგეუფლათ, როცა უელსის ნაკრებში მუშაობა შემოგთავაზეს?

- ძალიან ავღელდი. იმ მომენტისთვის "შეფილდ იუნაიტედს" ვწვრთნიდი, მაგრამ ასეთ შანსს ხელიდან ვერ გავუშვებდი. წინადადებაზე საერთოდ არ მიფიქრია, მაშინვე დავთანხმდი. არადა, "შეფილდში" ახალი მისული ვიყავი. საბედნიეროდ, კლუბის ხელმძღვანელობა ჩემს სურვილს გაგებით შეხვდა და კომპენსაციის სანაცვლოდ საკონტრაქტო ვალდებულებებისგან გამათავისუფლა.

- ახალი რა შეგძინათ ნაკრებში მუშაობამ?

- ძალიან საინტერესო სამუშაოა. ზოგს შეიძლება მწვრთნელის სანაკრებო საქმიანობა მოსაწყენად ეჩვენოს, მაგრამ ასე ნამდვილად არაა. მატჩიდან მატჩამდე ოფისში ჯდომაც ძალიან საინტერესოა. მხოლოდ ოფისით არ შემოვიფარგლები, დავდივარ სხვადასხვა მატჩზე და სანაკრებო კანდიდატებს ვაკვირდები.

- როგორი პოტენციალი აქვს უელსის ნაკრებს?

- მაღალი კვალიფიკაციის არაერთი ფეხბურთელი მყავს, რომელთა საშუალებითაც სერიოზული მიზნებისთვის ბრძოლა სავსებით შესაძლებელია. განსაკუთრებით ახალი პლეადის იმედი მაქვს. ეს ბიჭები მალე მსოფლიო დონის ვარსკვლავებად ჩამოყალიბდებიან, გარეთ ბეილი კი უკვე მიეკუთვნება ასეთ ფეხბურთელთა რიცხვს.

- 26 მარტს ევრო 2012-ის შესარჩევ მატჩში ინგლისს უმასპინძლებთ.

- თითოეულ შეხვედრაში გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ, რაც შეეხება ინგლისთან მოახლოებულ დაპირისპირებას, რომც ვთქვა, ეს რიგითი მატჩია-მეთქი, მაინც არავინ დამიჯერებს.

- ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი უელსის ნაკრებმა სამი მარცხით დაიწყო. რისი იმედი გაქვთ ამ ციკლში?

- პირველ რიგში, თამაშის ხარისხი უნდა გავაუმჯობესოთ, რასაც ბუნებრივად მოჰყვება შედეგიც. შევეცდებით, ჯგუფში რაც შეიძლება მაღალი ადგილი დავიკავოთ, შემდგომში კი უფრო მეტის ამბიცია გვექნება.

- მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე მოხვედრა რეალურად მიგაჩნიათ?

- რა თქმა უნდა. ჩვენ ვაშენებთ კონკურენტუნარიან გუნდს, რომელსაც ასეთი ამოცანების გადაჭრის ძალა ექნება.

ლევან ჯანეზაშვილი

უკანასკნელ საათს

მედელი და რაკიტიჩი სევილიაში, დიარა მონაკოში, პაცინი ინტერში

წუხელ რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვანი ტრანსფერი განხორციელდა, ზოგიც დაიგეგმა: „სევილიაში“ სერიოზული მატებაა - ანდალუსიურმა კლუბმა 23 წლის ჩილელი მცველი **გარი მედელი** შეიძინა „უნივერსიდად კათოლიკასგან“. მედელი იჯარით „პოკა ხუნიორსში“ თამაშობდა. „სევილიას“ სამხრეთამერიკელი 3 მილიონი ევრო დაუჯდა, მან სამედიცინო შემოწმება გაიარა და 4-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. მედელი ერთადერთი შენაძენი არაა, „სევილიამ“ დაიბევა „შალკეს“ ნახევარმცველ **ივან რაკიტიჩის** ხელმოწერაც, ხორვატის სანაცვლოდ გერმანელები 1,5 მილიონ ევროს მიიღებენ, ხოლო ფეხბურთელი ანდალუსიაში 2014 წლამდე დარჩება.

„რეალმა“ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ, როგორც კი **მაჰამადუ დიარა** სამედიცინო შემოწმებას გაივლის, ის „მონაკოსთან“ კონტრაქტს გააფორმებს. ასე გათავისუფლდება „რეალის“ განაცხადში ადგილი **ემანუელ ადებაიორისთვის**. ამ ტრანსფერის შესახებ უფრო მეტ დეტალს ხვალ შეიტყობთ. დაბოლოს, დღეს „ინტერი“ **ჯამპაოლო პაცინის** გაიფორმებს, „სამპდორიას“ შემტევის სანაცვლოდ ჩემპიონი 12 მილიონ ევროს გადაიხდის და გენუელებს **ჯონათან ბიაბიანისა** და **ლუკა კალდიროლას** დაუთმობს. პაცინი 4,5-წლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჭადრაკი

დავით ზარქუა საქართველოს ჩემპიონია

მოჭადრაკე ქალთა ევროპის ჩემპიონატს, შესაძლოა, მაისში თბილისმა უმასპინძლოს

დავით ზარქუა — ავტორის ფოტო

გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა მოჭადრაკე ვაჟთა 70-ე ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც თავიდან სხვადასხვა ქალაქის 16 წარმომადგენელი ჩაება ნოკაუტსისტემით. ფინალში, როგორც გაუწყეთ, დიდოსტატი **ლევან ფანცულაია** და ეროვნული ოსტატი **დავით ზარქუა** გავიდნენ. ოთხი კლასიკური პარტიის ყაიმით დამთავრების შემდეგ გამარჯვებულის ვინაობა ტაიბრეიკებში უნდა გამოვლენილიყო. ორი 25-წუთიანი პარტიაც ზავით დასრულდა, ხუთწუთიან ბლიცებში კი ზარქუამ 2:0 აჯობა მეტოქეს და საქართველოს ჩემპიონობა პირველად მოიპოვა. მესამე ადგილისთვის პაექრობაში **ლუკა პაიჭაძემ გიგა ყუფარაძე** დაჯაბნა.

ამდენად, საბოლოოდ გაირკვა არა მარტო მედლების, არამედ ფულადი პრიზების მფლობელთა ვინაობაც. ოქროს მედალთან ერთად მთავარი ჯილდო 4000 ლარი ზარქუას ხვდა. მეორე-მესამე ადგილებზე გასულ ფანცულაიას და პაიჭაძეს, შესაბამისად, 3500 და 3000 ლარი ერგოთ, ყუფარაძეს 2000 ლარი, ხოლო V-VIII ადგილოსნებს: **კონსტანტინე შანავას, თამაზ გელაშვილს, თორნიკე სანიკიძესა** და **გიორგი მარგველაშვილს** 500-500 ლარი გადაეცათ.

გამარჯვებულები და პრიზიორები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილემ **გია გალდავამ** და ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა **გია გიორგაძემ** დააჯილდოვეს.

— ჩემს საჭადრაკო კარიერაში ეს არის უბედნიერესი დღე, — სიხარულს ვერ მალავდა დავით ზარქუა. — ასეთ დაძაბულ და უძლიერესი მოჭადრაკეებით დაკომპლექტებულ ტურნირში თუ გავიმარჯვებდი და ჩემპიონობას მოვიპოვებდი, ნამდვილად არ მეგონა. ვეცდები, საერთაშორისო ტურნირებშიც წარმატებით ვითამაშო და უახლოეს მომავალში დიდოსტატობას მივაღწიო.

გია გალდავა: საქართველოში, ყოველთვის იყო ჭადრაკის პრიორიტეტი და დღესაც ასეა. სახელმწიფო დიდ ყურადღებას აქცევს ბრძენთა თამაშს და თანადგომას არ აკლებს. სასიამოვნოა, რომ ბოლო დროს წინა პლანზე ახალგაზრდები გამოვიდნენ. ეს ნაკრებში მოსახვედრად კონკურენციას გაზრდის. როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის ეროვნული ჩემპიონატების გამარჯვებულებსა და პრიზიორებს წარმატებას ვუსურვებ. სახელმწიფო მათ როგორც ევროპის ჩემპიონატებზე, ასევე ამ შეჯიბრებებისთვის მოსამზადებელ ტურნირებზე გასამგზავრებლად დააფინანსებს. ვფიქრობ, ისინი საერთაშორისო სარბიელზეც გვასახელებენ.

გია გიორგაძე: ვაჟთა წლევანდელი ჩემპიონატი დიდოსტატებისა და სპეციალისტების თხოვნით ნოკაუტსისტემით ჩავატარეთ, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატები და თასის გათამაშებაც სწორედ ამ სისტემით იმართება. ამდენად, ეს შეჯიბრება ჩვენებისთვის კარგი რეპეტიციაც იქნება.

ჩემპიონატმა რამდენიმე ახალგაზრდა მოჭადრაკე გამოავლინა. დავით ზარქუას მივულოცავ ჩემპიონობას. ის რეიტინგით მე-16 იყო, მაგრამ ბრძოლისუნარიანობითა და ჟინით გამოირჩეოდა, ამიტომ წარმატებასაც მიაღწია. მჯერა, რომ ჩვენს ამქარს მალე კიდევ ერთი ძლიერი დიდოსტატი შეემატება. ზარქუამ ფანცულაიასთან ერთად ნაკრებში დაიჩეკა ადგილი და, იმედია, ისინი წლევანდელ საერთაშორისო შეჯიბრებებშიც გამოიჩენენ თავს.

— ქალთა ჩემპიონატზე რას გვეტყვით?

— ანაკლიაში ტურნირი შესანიშნავად იყო ორგანიზებული. მაია ლომინეიშვილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ღირსია, იყოს საქართველოს ნაკრების წევრი. იგივე ითქმის ბელა ხოტენაშვილსა და ნინო ხურციძეზე. მართალი გითხრათ, მეტს მოველოდი ნაზი პაიკიძისგან, რომელიც ტურნირის რეიტინგ-ფავორიტი იყო, თუმცა მთლად ურიგოდ არ უასპარეზია - ოცწლიანთა შორის საუკეთესო შედეგი აჩვენა. ფედერაცია მასთან მომავალშიც განაგრძობს მუშაობას.

მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ ანაკლიაში გამართულ შეჯიბრებას ესწრებოდნენ ქალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზურაბ სტურუა და კაპიტანი ნინო გურიელი, რომლებიც უშუალოდ აკვირდებოდნენ მოჭადრაკეთა პარტიებს და ტურის შემდეგ საქმიან რჩევა-დარიგებებს აძლევდნენ მათ.

ჩემპიონატმა დადებითად იმოქმედა რეგიონის საჭადრაკო ცხოვრებაზე — იქაურ მწვრთნელებს ამ დღეებში ხელფასები გაეზარდათ, ადგილობრივი ხელისუფლება საჭადრაკო კლუბის გარემონტებას შეგვპირდა.

მინდა მადლობა გადავუხადო ჩემპიონატის მასპინძლებსა და ორგანიზატორებს, რომლებმაც ასპარეზობის მონაწილეებს პაექრობისა და აქტიური დასვენების შესანიშნავი პირობები შეუქმნეს.

- მოჭადრაკე ქალთა კონტინენტის პირველობა თურქეთში უნდა გამართულიყო..

- დიახ, მაგრამ ევროპის საჭადრაკო კავშირმა მას ეს უფლება ჩამოართვა – კონტრაქტი გაუუქმა ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო. კერძოდ, თურქებმა დეპოზიტის თანხა არ გადაიხადეს, საპრიზო ფონდის საგარანტიო წერილი ვერ წარადგინეს. იყო სხვა წვრილმანი დარღვევებიც. ჩემპიონატის სამასპინძლოდ ახალი ტენდერი გამოცხადდა.

2011 წელი საქართველოში მოჭადრაკე ქალთა წლად გვაქვს გამოცხადებული, რადგან რამდენიმე ტიტულოვან დიდოსტატს საიუბილეო თარიღები უსრულდება. გადავწყვიტეთ, შანსი გამოვიყენოთ – ევროპის ჩემპიონატს ვუმასპინძლოთ და იგი ჩვენს მანდილოსნებს მივუძღვნათ. ჭადრაკის ფედერაციის ინიციატივას მხარი დაუჭირეს სპორტის სამინისტრომ და თბილისის მერიამ, რომლებმაც თანადგომა აღგვითქვეს. ჩვენმა გენერალურმა სპონსორმა "სოკარი ენერჯი ჯორჯიამ" ევროპის ჩემპიონატის ძირითადი დამფინანსებლის როლი იკისრა – საპრიზო თანხის (100 000 ევრო) ნახევარს გაიღებს. ანუ იმის თქმა მინდა, რომ ყველა პირობა შეიქმნა ქალთა ევროპის ჩემპიონატის თბილისში გასამართავად. ამის თაობაზე უკვე ველაპარაკე ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტ სილვიო დანაილოვს და სათანადო საბუთებიც გავუგზავნე, ისიც დავძინეთ, რომ შეჯიბრების მასპინძლობას მაისამდე ვერ შევძლებთ. იმედია, ევროპის საჭადრაკო კავშირი მხარს დაგვიჭერს.

ვაჟა დანელია

ჩვენებურთა ჰეთ თრიკი

გიბრალტარის საჭადრაკო ფესტივალზე გუშინ მე-3 ტურის შეხვედრები გაიმართა. წარმატებით ითამაშეს ქართველმა დიდოსტატებმა: **ნანა ძაგნიძემ მანუელ ბელონს** სძლია, **სალომე მელიამ,** რომელმაც წინა ტურში **ტომას ლოხტეს** მოუგო, ამჯერად **ხრისტოს ზიგურისი** დაამარცხა. **გიგა ყაჭეიშვილმა** (მე-2 ტურში **ეიშა კარავადეს** დაუზავდა) **იულიან ესტრადას** აჯობა. სამი ტურის შემდეგ ძაგნიძეს 2,5, მელიას და ყაჭეიშვილს კი 2-2 ქულა აქვთ.

ლიდერთა ჯგუფის გუშინდელი ორთაბრძოლები ასე დამთავრდა: **რუბენ ფელგარი-ვასილი ივანჩუკი** 0,5:0,5, **ნაიჯელ შორტი-ტატიანა კოსინცევა** 1:0, **ნადეჟდა კოსინცევა-ჩანდა სანდიპანი** 1:0, **ემანუელ ბერგი-ვიქტორია ჩმილიტე** 0:1, **ვასილიოს კოტრონიასი-ჟუ ჩენი** 0,5:0,5, **მაიკლ ადამსი-ჰარიკა დრონავალი** 1:0...

- ბოლო ხუთი წელიწადია, გიბრალტარის საჭადრაკო ფესტივალებში ვმონაწილეობ, - მითხრა ნანა ძაგნიძემ, რომელსაც გუშინ ტელეფონით შევეხმიანე. - ტურნირი ყოველწლიურად სულ უფრო ძლიერ დიდოსტატებს უყრის თავს. დასტურად ახლანდელი შეჯიბრებაც გამოდგება - მთავარი პრიზისთვის ქალთა და ვაჟთა შორის უმაღლესი რეიტინგის მქონენი ეცილებიან ერთმანეთს. წინა წლების ფესტივალებიდან ერთხელ ქალებში პირველი ადგილიც კი დავიკავე. ამჯერად შეჯიბრებას უფრო ფიდეს გრანპრის ბოლო ეტაპისთვის მოსამზადებლად ვიყენებ, თუმცა, არც საპრიზო ადგილებზე ვიტყოდი უარს...

ვაჟა დანელია

მორის სახვაძე

ქართულმა ფარიკაობამ დიდი დანაკლისი განიცადა. მოულოდნელად გარდაიცვალა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, სპორტის ოსტატი მორის სახვაძე.

ფასდაუდებელია მისი ღვაწლი ქართული ფარიკაობის განვითარების საქმეში, დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გაზე იყო სირთულეები, გაუთვალისწინებელი პრობლემები, მაგრამ მორის სახვაძე ის პიროვნება გახლდათ, რომელსაც ნებისმიერ კრიზისულ სიტუაციაში შეეძლო საკუთარი ღირსების დაცვა და წამოწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ისე, როგორც ჭეშმარიტ პროფესიონალებს სჩვევიათ.

რაოდენ დასანანია, რომ ამიერიდან მორის სახვაძეს მხოლოდ წარსულ დროში მოვიხსენიებთ, ბევრჯერ მოგვენატრება მისი ნათელი შუბლი, გამორჩეული სიტყვა-პასუხი, უღალატობა, მისი კეთილი და ოდნავ ნაღვლიანი ღიმილი.

მსუბუქი იყო, შენთვის, ჩვენო მორის, ქართული მიწა, რომლის სიყვარული და დარდიც თან წაიყოლიე.

ვაგლახ, რა ადამიანი დავკარგეთ.

განუსვენე, უფალო, სულსა მიცვალებულისა მონისა შენისა.

ვახტანგ ბალავაძე, ვლადიმერ აფციაური, ვლადიმერ კანკავა, გურამ კოსტავა, გივი ცქიტიშვილი, ვლადიმერ გოიაშვილი, იროდი ბეჟაშვილი, ამირან ზუხბაია, დავით კვინიკაძე, რევაზ მანჯავიძე, გივი მძელური, ნუნუ აუხატი, დემიკო ლოლაძე, თემურ აფხაზავა, ლერი ანდღულაძე, რომან რურუა, ჟორა დავითიანი, ნოე ლობჟანიძე, მიხეილ სალაძე, თამაზ მაჭავარიანი, ნოდარ გელიაშვილი, ომარ თარგამაძე, ავთანდილ კიკნაძე, მურთაზ მნათობიშვილი, მერაბ მეტრეველი, ნოდარ დიდია, გურამ ლორთქიფანიძე, ანზორ ბაბუხადია.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამავე კომიტეტის წევრის, ვეტერანი მოფარიკავის, სპორტის დამსახურებული მუშაკის, საერთაშორისო კატეგორის მსაჯის

მორის სახვაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ცნობარი

ყველაფერი ერთად, კომპაქტურად და ლამაზად

მთელი ქართული სპორტული სამყარო, და არა მხოლოდ, ჩატეულია ორიგინალური და მაღალი გემოვნებით მომზადებულ ცნობარში, რომელიც სპორტული ორგანიზაციებისთვის სახელმძღვანელოდ დასტამბა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ. ცნობარში შესულია ჩვენი და შესაბამისი საერთაშორისო სპორტული ფედერაციების მისამართები და საკონტაქტო საშუალებები ელექტროფოსტის ჩათვლით. კრებულში ცალკე თავები ეთმობა სამინისტროს თანამშრომელთა, სპორტული ორგანიზაციებისა და საზოგადოებების, უმაღლესი სასწავლებლების მონაცემებს და 2011 წლის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარულ გეგმას.



● საქართველოს თასი



ბექა ჩიკვილაძე

37

სათაურად მხოლოდ რიცხვი გამოვიტანეთ. გუშინდელი „ლელო“ თუ წაიკითხეთ, იოლად მიხვდებით, ვის ეკუთვნის ეს 37 - სტუ-ს უკანახაზელმა **ბექა ჩიკვილაძემ** საქართველოს თასის პირველ საკვალიფიკაციო მატჩშიც და მეორეშიც 37-37 ქულა ჩააგდო. ასევე დავამატებთ, რომ ამ სეზონში საქართველოს ჩემპიონატის რეკორდი სწორედ ჩიკვილაძეს ეკუთვნის და იქაც 37-ს უტოლდება.

ბექას კარგი თამაში დაუფასდა და მისი გუნდი თასის მეოთხედფინალში გავიდა. ის 7 გუნდი, რომლებსაც უკვე დაბევებული აქვთ მეოთხედფინალის საგზური, სუპერლიგის მონინავენი არიან: „არმია“, „ენერჯი“, „ქუთაისი“, შსს, თსუ, „სოხუმი“ და სამედიცინო. სწორედ მათ დაემატა სტუ და რუსთავში თასისთვის ბრძოლა დღეიდან - 28 იანვრიდან გაგრძელდება.

მეოთხელფინალი

12:00 არმია-სოხუმი
14:00 შსს-სამედიცინო
16:00 ენერჯი-თსუ
18:00 ქუთაისი-სტუ

რუსთავი, 27 იანვარი

საკვალიფიკაციო ეტაპი

სტუ-აგრარული 78:62

15:17, 19:16, 20:15, 24:14

სტუ: ჭოხონელიძე, ვ. ბერუაშვილი (12ქ, 11მ), ჩიკვილაძე (37ქ), გასიტაშვილი, მაჩალაძე (4ქ), თევზაძე (2ქ), კობიძე, ჯანგველაძე (11ქ), ლაშქარაძე (2ქ), ძიძიგური, ახალკაცი (10ქ, 11მ).

აგრარული: ტეტელაშვილი (2ქ), ნანიტაშვილი, ჩარნაძე (8ქ), ხანიაშვილი (20ქ), გემაზაშვილი (8ქ, 10მ), ჯავახიშვილი (4ქ), მუმლაძე (10ქ), არნვიაძე (10ქ, 6მ).

მსაჯები: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე

კომისარი: თ. ქიქოძე

● ქართველი NBA-ში

დაბრუნდნენ და აბრუნდნენ

165 სმ სიმაღლის კაცსა დიდ კაცთან...

„ატლანტა ჰოქსმა“ „შარლოტთან“ (22 იანვარს) მატჩის შემდეგ ოთხი დღე დაისვენა და, წესით, მილუოკის ენერგიააღდგენილი უნდა სწვეოდა. თანაც, ამ შეხვედრის წინ „ქორებს“ ორი ტრავმირებული დაუბრუნდათ - **ელ ჰორფორდი** და **მერვინ უილიამსი**. ძნელი სათქმელია, მათი გამოჩენის გამო შეუმცირდა თუ არა **ზაზა ფაჩულიას** სათამაშო დრო (წინა შეხვედრაში 27 წუთი ითამაშა, „მილუოკისთან“ – 10,26), მაგრამ ფაქტია, რომ სასტარტო შემადგენლობიდან ზაზას ამოგდება ჰორფორდისა და უილიამსის დაბრუნების ბრალი არ არის - მწვრთნელმა **ლარი დრიუმ** ძველ ტაქტიკას მიმართა და სასტარტო ცენტრად **ჯეისონ კოლინზი** დააყენა.

არ გეგონოთ, რომ შესავალში „ატლანტას“ მილუოკიში ნაგების მიზეზისთვის საფუძველს ვამზადებდეთ, უბრალოდ ჩამოგითვალეთ წინა შეხვედრის შემდეგ გუნდში მომხდარი ცვლილებები.

ახლა მატჩის მსვლელობაზე ვთქვათ. თითქმის თანაბრად ჩატარებული პირველი ტაიმის შემდეგ „ატლანტამ“ იძალა და მეოთხე პერიოდის დაწყებამდე 11-ქულიან უპირატესობას მიაღწია. მწვრთნელმა ფაჩულია მოედანზე მესამე პერიოდის დასრულებამდე 1,53 წუთით ადრე დააბრუნა (68:62 „ჰოქსის“ სასარგებლოდ), ხოლო მეოთხე თორმეტწუთეულამდე სხვაობა უკვე 11 ქულას შეადგენდა - 75:64.

პირველი პერიოდის ორწუთიან მონაკვეთში ზაზამ ბურთი 4-ჯერ მოხსნა. ასევე ენერგიულად დაიწყო მეოთხე რაუნდი - 3 წუთში 4 მოხსნა, თუმცა თავისივე მოხსნის შემდეგ ბურთი ორჯერ ვერ ჩააგდო. როგორც ჩანს, ეს არ ესიამოვნა „ატლანტას“ მნვრთნელ ლარი დრიუს და სირენამდე 8,25 წუთით ადრე ზაზა სათადარიგოთა სკამზე დააბრუნა (ანგარიში „ჰოქსის“ სასარგებლოდ 78:71 იყო). „ატლანტამ“ მატჩი ტრადიციული ხუთეულით ჩაამთავრა, თუმცა დაღმასვლას ვერც მათ აარიდეს თავი... უფრო სწორად 165 სმ. სიმაღლის **ერლ ბოიკინსს** ვერაფერი მოუხერხეს, რომელმაც 20-დან 11 ქულა მეოთხე პერიოდში ჩააგდო. „მილუოკიმ“ 98:90 გაიმარჯვა.

„ბოლო მეოთხედის დასკვნით მონაკვეთში სხარტად ვერ ვითამაშეთ, უფრო სწორად, მთლიანად ბოლო მეოთხედი ჩავაგდეთ. მეტოქეს მივეცით საშუალება, რაც სურდა, ის ეკეთებინა“, - განაცხადა მატჩის შემდეგ ზაზა ფაჩულიამ.

გაზეთ „ატლანტა კონსტიტუშენის“ ფორუმზე სწორად შენიშნა ერთმა ქომაგმა: *„როცა კალათბურთელი ბურთს ვერ აგდებს, იგი სკამზე უნდა დასვა, რა მნიშვნელობა აქვს ლიდერია, თუ - არა. ამ მიმართულებით მაიკ ვუდსონის (გუნდს შარშან წვრთნიდა) წასვლის შემდეგ არაფერი შეცვლილა.“*

28 იანვარს „ჰოქსი“ „ნიუ იორკს“ უმასპინძლებს.

მილუოკი-ატლანტა 98:90

ფაჩულია: 10:26 წუთი, 1 ქულა (4-დან 0 ორქულიანი, 2-დან 1 საჯარიმო), 8 მოხსნა, 2 ფოლი.

I პერიოდი

04:58	ზაზამ კოლინზი შეცვალა
04:52	მოხსნა: შეტ-0, დაც-1
04:36	მოხსნა: შეტ-1, დაც-1
04:36	ორქულიანი: არაზუსტი
03:50	მოხსნა: შეტ-1, დაც-2
02:20	მოხსნა: შეტ-1, დაც-3
01:45	ფოლი: 1
01:18	ფოლი: 2
00:36	ორქულიანი: არაზუსტი

III პერიოდი

01:53	ზაზამ ჰორფორდი შეცვალა

IV პერიოდი

10:56	მოხსნა: შეტ-1, დაც-4
10:00	საჯარიმოები: 2/1 (1ქ, 76:69)
09:22	მოხსნა: შეტ-2, დაც-4
08:42	მოხსნა: შეტ-3, დაც-4
08:38	ორქულიანი: არაზუსტი
08:37	მოხსნა: შეტ-4, დაც-4
08:37	ორქულიანი: არაზუსტი
08:25	ჰორფორდმა ზაზა შეცვალა

● ლეგიონერი

შერმადინი ბარსელონა VS

ქართველი საუკეთესო ოლიმპიელი იყო!

ოლიმპია-ბარსელონა 67:68

გიორგი შერმადინი: 23:21 წუთი, 14 ქულა (5-დან 4 ორქულიანი, 9-დან 6 საჯარიმო, 1-დან 0 სამიანი), 6 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 პასი, 1 დაფარება, 3 ფოლი.

გიორგი შერმადინმა გუშინ კარიერის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი ჩაატარა (ჯერჯერობით). ვინც „ოლიმპია“-“ბარსელონას“ საევროლიგო შეხვედრა იხილა, დამეთანხმება, რომ გადამეტებული არაფერი მითქვამს. თამაშის მსვლელობისას ემოციებს ავყევი და არ ვიცი, როგორ დავწერდი ამ სტატიას, „ბარსელონას“ ბოლო წამებზე მოგებით ემოციები რომ არ ჩაეცხრო - 68:67.

ერთხელ შერმადინის აღმზრდელმა მწვრთნელმა **ჯამლეტ ხუხაშვილმა** მითხრა - დააკვირდი, როცა გიორგი მოედანზეა ის მონაკვეთი „ოლიმპიას“ არასოდეს წაუგიაო. მაშინ შერმადინი 8-12 წუთს თამაშობდა...

იგივე განმეორდა გუშინ ღამით, ევროპის საუკეთესო კლუბის „ბარსელონას“ (ევროლიგის მოქმედი ჩემპიონია) წინააღმდეგ, თუმცა 23 წუთში: როცა შერმადინი მოედანზე იყო, ფარის მისადგომები საიმედოდ იყო დაცული და სამწამიანი ზონიდან ბურთს ვერც ტანმაღალი ესპანელები აგდებდნენ, ვერც დრიბლინგით ფარქვეშ შესული უკანახაზელები. გავიდოდა შერმადინი მოედნიდან და სტუმრები მაინცდამაინც ფარქვეშ მიისწრაფვოდნენ და მიზანსაც აღწევდნენ.

ახლა შეტევაზე ვთქვათ: ბოლოს და ბოლოს, „ოლიმპიას“ მწვრთნელი დარწმუნდა, რომ შეტევაში შერმადინზე თამაშის აწყობაც შეიძლება. საწყის ოთხ წუთში „ბარსელონა“ 13:4 დაწინაურდა, მასპინძლები ვერც დაცვაში ვარგობდნენ და ვერც კატალონიელთა კალათის გასაღებს პოულობდნენ. მწვრთნელმა **იურე უდოვჩმა** თამაშში შერმადინი ჩართო. გიორგიმ, როგორც დღიურში დაგვპირდა, თავიდანვე მოურიდებლად შეუტია ევროპის ჩემპიონების კალათს და მე-11 წუთისთვის სხვაობა 4 ქულამდე შეამცირა - 15:19. ხუთწუთიან მონაკვეთში 11-დან 7 ქულა სწორედ ქართველმა ცენტრმა ჩააგდო.

ამასობაში სათადარიგოთა სკამიდან **ხუან კარლოს ნავარო** ადგა, ერთმანეთის მიყოლებით ორი სამქულიანი ზალპი გაისროლა და 27:18.

შერმადინის სათადარიგოთა სკამზე დაბრუნებას (მე-14 წუთზე) „ბარსას“ 13 ქულით დაწინაურება დაემთხვა (34:21), თუმცა დიდ შესვენებამდე „ოლიმპიამ“ ანგარიშში სხვაობა ათამდე შეამცირა.

პირველ ნახევარში ნავაროს 3-3 ორქულიან-სამიანი ასპროცენტიანი სიზუსტით ჰქონდა ნატყორცნი (15 ქულა). მიუხედავად მისი კლასისა, ძნელი წარმოსადგენი იყო, ბოლომდე უშეცდომოდ ესროლა. ასეც მოხდა, შესვენებიდან დაბრუნებულ „ოლიმპიას“ მეორე სუნთქვა გაეხსნა, რაშიც გარკვეული წვლილი გიორგის მიუძღვის - ჯერ საჯარიმოიანი ორქულიანი გამოიყენა, შემდეგ **ილიევსკი** კარგად მოძებნა და სამქულიანი ჩააგდებინა, ხოლო 28-ე წუთისთვის ორი თავისუფალი ტყორცნით ჩამორჩენა 4 ქულამდე დაიყვანა (45:49). ერთ წუთში **იაგოდნიკის** სამქულიანით „ოლიმპია“ პირველად დაწინაურდა (50:49). მესამე რაუნდის ბოლოს მასპინძლები 54:52 იგებდნენ.

მწვრთნელმა გიორგი მეოთხე პერიოდის მე-4 წუთზე მოედანზე დააბრუნა და სანაცვლოდ ერთი ისეთი ჩატენვა მიიღო, მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა - 61:61. იურე უდოვჩმა მატჩის ჩამთავრება მაინც ევროლიგაში გამოცდილი (ტანდაბალი) ხუთეულით გადაწყვიტა, თუმცა თანაბარ ბრძოლაში მინიმალური სხვაობით დამარცხდა - 67:68.

შერმადინის მონაგარს ზემოთ გაეცნობოდით, აქ კი გეტყვით, რომ 14 ქულით იგი **კენი გრეგორისთან** ერთად „ოლიმპიას“ ბომბარდირი გახდა (ნავარომ 27 ჩაგდო). მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით ქართველი თანაგუნდელთა შორის საუკეთესო იყო - 21.

23 წუთი, 14 ქულა და 6 მოხსნა შერმადინის საევროლიგო რეკორდებია, რისთვისაც იგი „ბარსაზე“ უკეთეს გუნდს ვერც ინატრებდა.



მზადყოფნა, დაცვა, მოხსნა და... გრუზია

დღიურის მეორე გვერდს ვწერ. შედარებით თამამად, ვიდრე პირველს, ისევე თამამად, როგორც „ბარსელონასთან“ საღამოს მატჩში ვაპირებ გასვლას. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს მეტოქის წარმომავლობას, არც იმას, თამაშობდა თუ არა ნდონგი NBA-ში. მწვრთნელისგან დავალება მაქვს მიღებული და ვცდილობ ყოველთვის გულიანად შევასრულო.

დღეს მატჩისწინა შთაბეჭდილებებს გაგიზიარებთ, ხოლო უშუალოდ „ბარსელონასთან“ საევროლიგო დაპირისპირებაზე ხვალ ცივი გონებით დავწერ.

■ ■ ■

გახსოვთ, დღიურის პირველი გვერდი (გუშინ) რითი დავასრულეთ? - ოთხშაბათს დილის ვარჯიშის შემდეგ შინ რომ დავბრუნდი... გამოვიძინე და საღამოს ვარჯიშზე გამოვცხადდი.

როგორც მოსალოდნელი იყო, საწყისი 20 წუთი „მიტინგს“ დაეთმო. ოღონდ, საქართველოსგან განსხვავებით, ამ სიტყვას სლოვენიურ კალათბურთში სხვა მნიშვნელობა აქვს: ვიკრიბებით და მწვრთნელი ვიდეოჩანაწერების მიხედვით მოწინააღმდეგის თამაშს გვირჩევს. ჯერ „ბარსელონას“ სათამაშო სისტემები განვიხილეთ. სხვა გუნდებისგან განსხვავებული ბევრი არაფერი აქვთ. შემდეგ მწვრთნელმა თითოეული კალათბურთელი დაგვიხასიათა, დიდი ყურადღება მაღლებს უნდა მივაქციოთ, რადგან ძალიან მობილურები არიან და შეტევაშიც სწრაფად გადადიანო. ასევე დაცვისას თავისუფალი ზონები არ უნდა დავტოვოთო. იყო კიდევ სხვა მითითებები, მაგრამ ჩემთვის შევინახავ, თამაშის მერე მოგიყვებით.

რჩევა-დარიგებების მიღების შემდეგ „ბარსელონას“ კომბინაციები გავათამაშეთ. ბოლოს კი კაპიტანმა გორან იაგოდნიკმა მოედნის შუაში გვიხმო და გვირჩია - ახლა ყველამ კარგად დავისვენოთო.

როგორც წესი, თამაშების წინა საღამოს ვარჯიშის შემდეგ შინიდან არ გავდივარ, რათა მატჩისთვის ყოველმხრივ მზად ვიყო.

■ ■ ■

27 იანვარს დილას „სტოუიცეს“ არენაზე ჯერ სტუმარმა „ბარსელონამ“ ივარჯიშა. ჩვენ 12 საათზე შევედით. არც ერთი გუნდის წვრთნას გულშემატკივარი არ დასწრებია. შესასვლელში ორი ბარსელონელი ჩემს თანაგუნდელებს შეეყოვნებინათ - იაკა ლაკოვიჩი და ერაზემ ლორბეკი მშობლიურ, სლოვენიურ ენაზე საუბრობდნენ.

ვარჯიშის წინ კვლავ „ბარსელონაზე“ ლაპარაკით გავხურდით, შემდეგ მწვრთნელმა თითო ფურცელი დაგვირიგა, რომლებზეც მეტოქის კალათბურთელების პლუს-მინუსები ეწერა.

ვარჯიშის ბოლოს კი გამარჯვებისთვის საჭირო „რეცეპტი“ მოგვაწოდა: მზადყოფნა, დაცვა და მოხსნა. ამ ფრაზიდანაც ნათლად ჩანს, რაოდენ მნიშვნელოვანია „ბარსელონას“ წინახაზელების შეკავება და მოხსნა. ამიტომ, როგორც ყველა მატჩს, საღამოს შეხვედრასაც მაქსიმალურად მობილიზებული შევხვდები.

გიორგი შერმადინი (მარცხნივ) და ჯარჯი ზვიადაური (მარჯვნივ)

■ ■ ■

რადგან დღიურს შუადღისას ვწერ და თამაშის პერიპეტიებზე თხრობას ხვალისთვის შეგაპირდით, დღეს მატჩისწინა მზადებაზე გიამბობთ. ყოველი შეხვედრისთვის საათ-ნახევრით ადრე მივდივართ, ვიცვლით და მოედანზე ვხურდებით. 45 წუთით ადრე მწვრთნელი გასახდელში გვიხმობს, კრება დაახლოებით 15 წუთს გრძელდება. მანუჩარ მარკოიშვლის დღიურში წავიკითხე, თურმე 2006 წელს „ოლიმპიაში“ ყოველი მატჩის წინ „ჰაკას“ ასრულებდნენ. საინტერესოა, თუმცა დღეს მსგავსი ტრადიცია აღარაა, გასახდელიდან მატჩის დაწყებამდე 30 წუთით ადრე გამოვდივართ, გასასვლელში ვდგებით, ერთმანეთს ხელს ვკიდებთ და ერთხმად ვიძახით: „უნიონ ოლიმპია“!

■ ■ ■

ეს სახელი სლოვენიაში გადმოსვლის შემდეგ ძალიან შემიყვარდა... რადგან სახელი ვახსენე, აქვე ამ თემას განვავრცობ: საქართველოში ძალიან გვიყვარს მეტსახელების შერქმევა, სლოვენიაში კი არ მახსენდება, ოლიმპიელებს ერთმანეთისთვის მეტსახელით მიემართოთ. მეც ყველასთვის გიო, გიორგი ვარ, იშვიათად „გრუზიათი“ მომმართავენ. საბერძნეთშიც გიორგი ვიყავი, თუმცა ზოგი ხუმრობით გიორგიოსს მეძახდა. ელადაში ერთი კარგი პიროვნება გავიცანი - სახელად ილიასი: არ მახსოვს, ზუსტად რომელი ქვეყნის აეროპორტში ვიყავით, მაგრამ ის კი მახსოვს, რომ ათენში მივფრინავდით. ეს ადამიანი რომ დავინახე, ვიცანი, მისკენ გავემართე და ერთმანეთი უშუალოდ გავიცანით. იმ დღეს ტელეფონები გავცვალეთ, მას მერე მე და **ჯარჯი ზვიადაური – ილიას ილიადისი** - ერთმანეთის გულშემატკივრებად ვიქეცით. ძალიან გამიხარდა, 2010 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი რომ მოიგო. ის „პანათინაიკოსში“ ჩემს თამაშებს ხშირად ესწრებოდა, მე კი ჯარჯის ბაზაზე შევლა მიყვარდა - გემრიელ მწვადებს ვაშიშხინებდით.

გვერდი მოამზადა **ვაჟა სიმონიშვილმა**

● კალათბურთი. ლეგიონერი

ნიკა ცქიტიშვილი (მარჯვნივ)

ცქიტიშვილი: ლაგუნ არროდან წასვლა არ მინდა, მაგრამ...

...სკიტა კახასლოს სურს

ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ორ ტურში **ნიკა ცქიტიშვილი** სათადარიგოთა სკამზე იყო, თუმცა წუთითაც არ უთამაშია. „ბარსელონასთან" „ლაგუნ არროს" მატჩი ტელეეკრანზე ვნახე და ცქიტოს ნამდვილად არ ეტყობოდა, რომ ტრავმის გამო არ თამაშობდა. მწვრთნელი ნიკას არც მომდევნო მატჩში („ფუენლაბრადასთან") ენდო. სიტუაციაში გასაარკვევად ესპანელი ჟურნალისტები ნიკას დაუკავშირდნენ. გაზეთ „ელ მუნდო დეპორტივოში" ასეთი სათაურის სტატია გამოქვეყნდა: „ცქიტიშვილმა დუმილი დაარღვია".

„ნიკოლოზ ცქიტიშვილი რთულ სიტუაციაშია. მას მწვრთნელი სათამაშო დროს ნელ-ნელა უმცირებდა, ხოლო ბოლო ორ მატჩში მოედანზე არ შეუყვანია.

„ფუენლაბრადასთან" ბოლო ტურის მატჩზე ქართველმა ფორვარდმა ეს თქვა:

- რომც მეთამაშა, მაინც ვერ მოვიგებდით, რადგან მთელი გუნდი ცუდად გაისარჯა. არ ვიცი, მწვრთნელმა შეხვედრაში რატომ არ ჩამრთო, თუმცა ამის გამო არავის ვადანაშაულებ. მიზეზი საკუთარ თავში უნდა ვეძებო.

ცქიტიშვილმა იქვე განაგრძო:

- კიდევ უნდა მოვუმატო როგორც ვარჯიშებზე, ასევე თამაშებში. ამბობენ, თითქოს საქმეს არასათანადოდ ვეკიდები. მე ასე არ ვფიქრობ, ვარჯიშებზე ბოლომდე ვიხარჯები და მზად ვარ, გუნდს წარმატებულ თამაშში შევეშველო. ვიცი, რომ „ლაგუნ არროს" დახმარება შემიძლია და გუნდსაც ვჭირდები. ამიტომ, ვიმედოვნებ, რომ უახლოეს მატჩებში მოედანზე მიხილავთ.

ცქიტიშვილი მწვრთნელ პაბლო ლასოს ორი კვირის წინათ სწორედ პრობლემურ საკითხზე ელაპარაკა:

- მწვრთნელთან ჩემს შეცდომებზე ვისაუბრე და გამოსწორებას დავპირდი. მათზე აქტიურად ვმუშაობ და, ვფიქრობ, ამას მწვრთნელიც ხედავს.

როგორც წესი, ასეთ სიტუაციებში საუკეთესო გამოსავალი კალათბურთელისთვის კლუბის გამოცვლაა. თუმცა, ცქიტიშვილი „ლაგუნ არროს" დატოვებაზე ჯერ არ ფიქრობს:

- სან-სებასტიანიდან წასვლა არ მინდა. აქ იმიტომ ვარ, რომ ეს ადგილი ძალიან მომწონს, თანაც კარგადაც ვთამაშობდი. შეიძლება, ახალგაზრდა კალათბურთელი ჩემს ადგილას დიდი პრობლემის წინაშე აღმოჩენილიყო, მაგრამ ასეთი სიტუაცია მე მხოლოდ მოტივაციას მმატებს და დადებითი მუხტის შენარჩუნებაც არ მიჭირს.

ასევე დადებითი მუხტის მატარებელი იყო ნიკოლოზ ცქიტიშვილის შემდეგი ფრაზა:

- მართალია, სიტუაციას ვერ ვაკონტროლებ, რადგან გუნდში ყველაფერს მწვრთნელი წყვეტს, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ გაურკვევლობა მალე დასრულდება და ყველაფერს თავიდან დავიწყებ."

როგორც წესი, ასეთი სიტუაციების შემდეგ, თუ მწვრთნელებს კალათბურთელებისადმი ნდობა უბრუნდებათ, საკმარისად მაინც არ ათამაშებენ. შესაბამისად, მსგავს მდგომარეობაში საუკეთესო გამოსავალი ნიკა ცქიტიშვილის სხვა კლუბში გადასვლაა.

საინტერესო სტატია გამოქვეყნდა გამოცემა „ტუბასკეტში", რომელშიც „კახასოლის" ცქიტიშვილისადმი ინტერესია დაფიქსირებული:

„სევილიური „კახასოლი" ლიტველი ფორვარდის მინდაუგას კეიტლინის ნიკოლოზ ცქიტიშვილში გაცვლას ცდილობს.

„კახასოლის" ხელმძღვანელობამ ლიტველი გასულ ზაფხულს „ალიკანტედან" აიყვანა, თუმცა მთავარ მწვრთნელ ხოან პლაზას მიაჩნია, რომ კეიტლინმა არასათანადოდ შეცვალა სევილიიდან „ვალენსიაში" გადასული **დუშკო სავანოვიჩი.**

რაც შეეხება ნიკოლოზ ცქიტიშვილს, მას ამ სეზონში 16 მატჩი აქვს ჩატარებული, საშუალოდ 17 წუთს თამაშობს და საშუალოდ 6 ქულასა და 3 მოხსნას აგროვებს.

ამ სავარაუდო გაცვლასთან დაკავშირებით მთავარი კითხვა ასე ჟღერს: აქვს ორივე გუნდს სათანადო თანხა „ტრეიდის" განსახორციელებლად?"

ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. მანამდე შეგახსენებთ, რომ 2006 წელს, როცა ცქიტიშვილი NBA-დან დაბრუნდა, სწორედ „კახასოლს" მიაშურა და ნახევარი სეზონი ითამაშა.

ვაჟა სიმონიშვილი



● ჩოგბურთი

ჩახნაშვილი დარჩა

გრენობლის საერთაშორისო ტურნირის (25 ათასი $) I წრეში სამი ქართველი მონაწილიდან მხოლოდ ერთი დამარცხდა - **სოფიო შაფათავა** (282). თანამემამულეებს ველარ აჰყვა და **ჟული კოინთან** (საფრანგეთი, 203) ვერას გახდა - 6:2, 3:6, 2:6. ჩვენებურთაგან მერვედფინალში პირველი **თათია მიქაძე** (291) ჩაერთო, რომელიც პოლონელ **მარტა დომაჩოვსკას** (297) ეთამაშებოდა. ქართველმა პირველი სეტი 6:3 მოუგო ერთ დროს მსოფლიოს 37-ე ჩოგანს, მაგრამ მერე და მერე ორი სეტი დათმო - 6:3, 4:6, 3:6. ასე დარჩა გრენობლის ტურნირზე მარტო **მაკა ჩახნაშვილი** (257). 28 წლის ქართველის მეტოქე მერვედფინალში ფრანგი **ოდრი ბერგოა** (236).

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ღიმილის სვეტი



ვახტანგ ცხადაძის სანარდო (არა მარტო) იუმორი

ბურჭულაძეებში ქეიფია, კარგი სუფრის გაშლა იცოდნენ. შუა სუფრაზე ამღერდნენ შესანიშნავად, მეც გავთამამდი და ავყევი. უცბად პაატამ ფეხი გამკრა, ჩემს ხმაზე ნუ გადმოდიხარო. ცოტა ხნის შემდეგ იგივე განმეორდა. – პაატა, – ვეუბნები, – შენს ხმაზე გადმოსვლა შემეძლოს, „ივერიაში" მიმსვლელის დედა არ ვატირე-მეთქი. მერე ეს ამბავი მთელ ევროპას მოედო...

☺☺☺

პირველი სპეციალობით ჰიდროლოგი ვარ. ერაყიდან რომ ჩამოვედი, ულვაშის თითო მხარე 40X30-ზე მაქვს. მმართველის მოადგილედ ვმუშაობდი. იმ წელს სეტყვამ წაგვლეკა. როგორც იქნა, გამოიდარა და კარგ ხასიათზე დავდექით. უცბად ცეკა-ს 3-ნომრიანმა ტელეფონმა დარეკა. ვილაც ახალგაზრდის ხმაა, ესე იგი, ინსტრუქტორია. ცეკა-ს მდივანს უნდა თქვენთან დალაპარაკება. **ჯუმბერ პატიაშვილი** იყო სოფლის მეურნეობის კურატორი. – როგორი სიტუაციაა გორშიო? - მრისხანედ მეკითხება. მე ვფლობ სიტუაციას, მაგრამ მაინც გადავამონმე, ვარშავიდან სტამბოლამდე ღრუბელი არა ჩანს. გავთამამადი და ვუპასუხე, ამხანაგო ჯუმბერ, თამამად შეგიძლიათ ზვრებს შეუსიოთ მშრომელები; სამი დღის გარანტიას გაძლევთ-მეთქი. სამ დღეს ვინ გეკითხება და თურმე ვილუპები კაცი! რაღაც რაკარუკი კი მესმის. ერთ საათში მანდ ვიქნები, ღერა-ღერა დაგაპუტავ მაგ ულვაშებს, ისეთი სეტყვაა, შენობაში ვერ შევდივარ, მანქანაში ვზივარო.

☺☺☺

ქუთაისში ერთი წესიერი, ინტელიგენტი კაცია, ბიკენტია სირბილაძე დავარქვათ. ამ ბიკენტიამ გახსნა სამაგიდო თამაშების (ნარდი, დომინო, ლოტო და ა.შ.) წრე. ერთმა ქუთაისელმა თავისი შვილი მიიყვანა ბიკენტისთან ნარდზე. სირბილაძემ გასინჯა ბავშვი და მამამისს მიუბრუნდა. სამწუხაროდ, თქვენი ბიჭი ნარდში არ გამოდგება, სამაგიეროდ ლოტოში მიაღწევს დიდ წარმატებებსო.

ზაურ ტყეშელაშვილი იგონებს:

მამაჩემს ძალიან უყვარდა ნესვი და პურმარილის წინ ეზოში ნარდი რომ გაიშლებოდა, იტყოდა: ხილზე ვითამაშოთო. დუშაშს რომ გააგორებდა, ამჭორდა ნესვიო, წამოიძახებდა, ანუ ნესვის სუნი მეცა, ნესვი მოვიგეო. ეს, უბრალოდ, ადამიანის აზარტის, ჟინის გამოხატულება იყო.

☺☺☺

მე და ვახტანგ ცხადაძე ბათუმში ვართ, ახლობლის დაკრძალვაზე. იმდენად დიდი იყო ჩვენი ტკივილი, რომ ქელეხზე დარჩენა არც ერთმა არ ვისურვეთ და სადგურისკენ გავწიეთ მატარებლის ბილეთების ასაღებად.

გზაში რა უნდა გავაკეთოთთო, მკითხა ვახტანგმა - ალბათ გული გაგვისკდება ამდენი ფიქრითა და ურვითო და თვითონ მოიგონა, ნარდი ვიყიდოთო. ძალიან კი გამიკვირდა, ბავშვობიდან ვიცნობ და მის ხელში კამათელი არ მინახავს. ასეა თუ ისე, გავედით ქალაქში, შევძარით მთელი ბათუმი და ნარდი ძლივს ვიშოვეთ.

ატარა შესანდობარი მაინც ვუთხარით იმ უკეთილშობილეს ადამიანს და ნარდიც გავშალეთ. ახლა განახვებ სეირსო. დავიწყეთ თამაში. პირველი პარტია მომიგო, მეორეც რომ მოიგო, ატეხა რეკვა მთელ საქართველოში, ეს რა ვქენიო! მესამე პარტიაში ცოტა გადავტეხე, ერთი ქულა გავქვითე, მეოთხე ხელი ისევ მან მოიგო. ეს იყო და ეს, მას შემდეგ მხოლოდ ორი პარტია წავაგე და თბილისში რომ ჩამოვედით, 154:6 იყო ჩემ სასარგებლოდ.

გივი ბერიკაშვილი იგონებს

კონსტანტინე ლორთქიფანიძეს აქვს „კოლხეთის ცისკარში" გენიალური ფრაზა. უფროსს ეთამაშება ნარდს და, ბიჭო, ისე ცუდად ასწავლი, წაგება ვერ მომიხერხებიაო. უნდა უფროსს ასიამოვნოს.

☺☺☺

სპექტაკლ „შთამომავლობაში" მე და ვერიკო ანჯაფარიძე ნარდს ვთამაშობთ. ვერ წარმოვიდგენდი, ვერიკოს ნარდის თამაში რომ არ ეცოდინებოდა. რას შვრებით, ქალბატონო ვერიკო, ეს შავი ქვები ჩემია-მეთქი, ვეუბნები. შავი ქვა შენ რად გინდაო, შენი შავი და თეთრი მე არ ვიციო და დასტაცებდა ქვებს ხელს.

☺☺☺

კირილე პაჭკორია ყოფილა ძალიან მოყვარული და აზარტული. ნიაზ დიასამიძე ძმაკაცებთან ქეიფობდა და კირილესთან დაურეკავს ღამის 2 საათზე, ბატონო კირილე, ნარდს ვთამაშობ და ასეთი პოზიცია მაქვსო და უთქვამს, სად რამდენი ქვა და რა განლაგება ჰქონდა ვითომ. სე-ვაიდუ მომივიდა და რა ვითამაშოო. კირილეს უცებ გაუწყვია ნარდი და ეს სვლა ითამაშეო, უკარნახია. მერე კიდევ დაურეკია, ახლა ასე მომივიდა და რა ვქნაო. მერე გამთენიისას დაურეკავს, გამოვდივარ, ოთხი ქვა მყავს დარჩენილი და დუშაში მომივიდაო. გამოდი ოთხივე, შენი ასე და ისეო, შეუკურთხებია კირილეს.

☺☺☺

იპოლიტე ხვიჩია აბესალომ ლორიას დომინოს ეთამაშება. მე იპოლიტეს უკან ვდგავარ და მის ქვებს ვკარნახობ აბესალომს. ერთი, მეორე რომ მოუგო, იპოლიტე გადაირია - ამან თამაში არ იცის და რაფერ მიგებსო. რაფერ გიგებ და აგერ, შენი ძმაკაცი დგას და მკარნახობსო. ერთი კვირა არ მელაპარაკებოდა!..

ჩაიწერა

დავით ჭელიძემ

● გადავფურცლოთ ისტორია

ფრენბურთი საქართველოში, მართალია, ისეთივე პოპულარობას ვერ დაიკვეხნის, როგორითაც ფეხბურთი და კალათბურთი, მაგრამ იყო წლები, როცა ჩვენი ფრენბურთელები მაღალ წარმატებებს აღწევდნენ საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე. 1964 წელს ტოკიოში კი ვაჟა კაჭარავა ოლიმპიური ჩემპიონი გახდა სსრ კავშირის ნაკრებში.

ფოტო, რომელსაც დღეს გთავაზობთ, გადაღებულია ლენინგრადში 1950 წელს, სსრ კავშირის XIII ჩემპიონატის დღეებში.

მარცხნიდან: გ.ახვლედიანი, თ. ყიფიანი, გ. აკოპოვი (ჟურნალისტი), ა. ტევოსიანი (უფროსი მწვრთნელი), ს. შკურნიკოვი, ვ. თელია, ე. რომანინი, პ. კაპლიევი, გ. ზაალიშვილი, გ. გაბაშვილი, ბ. ანდრონიკაშვილი, ს. ტარახჩიანი.

ფოტო და ტექსტი მოგვაწოდა **გარუნ აკოპოვმა**

● მრჩეველთა საბჭო

მსოფლიო ვარსკვლავი თბილისში ჩამოვა

შონ ფიცპატრიკი

ხვალ თბილისში ლეგენდარული ახალზელანდიელი მორაგბე **შონ ფიცპატრიკი** ჩამოვა. „ოლ ბლექსის“ ყოფილი შერკინების კვაჭი პირველია, რომელიც საქართველოს რაგბის კავშირის ინიციატივას გამოეხმაურა. ქართული რაგბის მესვეურებმა გადაწყვიტეს, შეიქმნას მსოფლიო რაგბის ცნობილი სპეციალისტებით დაკომპლექტებული „საქართველოს რაგბის კავშირის საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო“. ფიცპატრიკი, სავარაუდოდ, ამ საბჭოს უხელმძღვანელებს.

სახელოვანი ახალზელანდიელი თბილისში ვიზიტისას, საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელების გარდა, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრსაც შეხვდება. ადგილზე გაეცნობა ქართულ რაგბიში არსებულ მდგომარეობას და, სავარაუდოდ, რაგბის კავშირთან ერთად მომავალ სამოქმედო გეგმასაც დასახავს.

ცოტა რამ შონ ფიცპატრიკის შესახებ:

ის 1963 წლის 4 იანვარს ახალ ზელანდიაში, ქალაქ ოკლენდში დაიბადა და განათლებაც იქვე მიიღო. ეროვნულ ნაკრებში მისი დებიუტი 1986 წელს ევროპულ ტურნეში საფრანგეთის ნაკრებთან მატჩში შედგა, რომელიც „ოლ ბლექსმა“ 18:9 მოიგო. იმის მიუხედავად, რომ ახალგაზრდა შონმა შესანიშნავად იასპარეზა, მომდევნო წელს გამართული მსოფლიო თასის დაწყებამდე ის „ოლ ბელქსში“ მეორე ნომერ კვაჭად ითვლებოდა. ფიცპატრიკს „ბედმა გაუღიმა“, მისი კონკურენტი და ახალზელანდიელთა კაპიტანი **ენდი დალტონი** დაშავდა. მთელი ტურნირის განმავლობაში მსოფლიო რაგბის ამომავალმა ვარსკვლავმა ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და ახალი ზელანდიის ნაკრების წარმატებაში უდიდესი წვლილი შეიტანა.

1992 წელს შონ ფიცპატრიკი ახალი ზელანდიის ნაკრების კაპიტანი გახდა და ეროვნულ გუნდს კარიერის ბოლომდე მეთაურობდა. მისი კაპიტნობით „ოლ ბლექსმა“ პირველ მატჩში სამხრეთ აფრიკის ნაკრებს მოუგო, რომელიც იზოლაციის შემდეგ ისევ დაბრუნდა მსოფლიო რაგბის ამქარში.

1995 წელს სამხრეთ აფრიკაში გამართული მსოფლიოს თასის გათამაშებაში შონ ფიცპატრიკი და კომპანია საუკეთესო გუნდი იყო, თუმცა „ბოკემ“ თავგანწირული ბრძოლის ხარჯზე მაინც შეძლო ფინალური მატჩის დამატებით დროში „ოლ ბლექსის“ დამარცხება.

შონ ფიცპატრიკმა ახალი ზელანდიის ნაკრებში ბოლოს 1997 წლის 29 ნოემბერს უელსის ეროვნულ გუნდთან ითამაშა. „ოლ ბლექსმა“ ის მატჩი 42:7 მოიგო.

სარაგბო კარიერის დასრულების შემდეგ მას შეეძლო, ნებისმიერ გუნდში მწვრთნელად ემუშავა, მაგრამ შონმა ყველა შეთავაზება უარყო. ეროვნულ ნაკრებში მან 92 კეპი მოიხვეჭა, მათ შორის 51, როგორც კაპიტანმა.

დღესდღეობით შონ ფიცპატრიკი დიდ ბრიტანეთში ცხოვრობს, BBC-ისა და SKY Sports-ის სპორტული ექსპერტია.

● ერთა თასი

მეზოქეებმა საბრძოლო რაზმები გააცხადეს

ევროპის ერთა თასის 2011 წლის გათამაშება 5 თებერვალს დაიწყება. საქართველოს ნაკრები პირველ შეხვედრას თბილისში უკრაინის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ გამართავს. ჩვენი მოწინააღმდეგის ბანაკიდან ჯერ გუნდის შემადგენლობასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ გაგვაჩნია.

სამაგიეროდ, უკვე ცნობილია სხვა მეტოქეების - რუსეთისა და ესპანეთის ნაკრებების რაზმები. ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები პირველ ტურში სტუმრად სწორედ ესპანელ „ლომებს“ ეთამაშებიან. შეგახსენებთ, რომ რუსებმა ახლახან სანვრთნელი შეკრება გამართეს ახალ ზელანდიაში, სადაც ორი მატჩი ჩაატარეს იქაურ სამოყვარულო გუნდებთან.

რუსთა ნაკრების მწვრთნელმა **ნიკოლაი ნერუშმა** საესპანეთოდ 24 კაცი შეარჩია. შემადგენლობაში ორი ქართული წარმოშობის მოთამაშეა - **კარლო მაღლაკელიძე** და **ვალერი ცნობილაძე**. ნერუშის გუნდში მოხვდა მგზავი **კონსტანტინ რაჩკოვიც** (სტად ფოსიენი, საფრანგეთი), რომელსაც ეროვნული ნაკრების კვართი 2006 წლის ოქტომბრის შემდეგ არ მოურგია.

ტრავმის გამო, სავარაუდოდ, ერთა თასს გამოტოვებს ფრანგული „აუენის“ მეორეხაზელი **კირილ კულემინი**. ჯანმრთელია და ესპანეთში ითამაშებს კიდევ ერთი ლეგიონერი, ფრანგული „ორიაკის“ მეორეხაზელი **ანდრეი ოსტრიკოვი**.

უკვე შეიკრიბა და მომავალი ბატალიებისთვის ემზადება ფრანგი მწვრთნელის, **რეჯის სონეს** ხელმძღვანელობით ესპანეთის ნაკრები. ფრანგმა რუსეთისა და საქართველოს ნაკრებთან მატჩისთვის 31 მორაგბეს უხმო. ამათგან 14 ლეგიონერია, რომლებიც საფრანგეთის სხვადასხვა დივიზიონის გუნდებში ასპარეზობენ. აღსანიშნავია, რომ 14 „ფრანგიდან“ რვას ესპანეთის ნაკრებში არასდროს უთამაშია და, სვარაუდოდ, მათი დებიუტი ხუთ თებერვალს რუსეთის ნაკრებთან მატჩში შედგება.

რუსეთის ნაკრები

შერკინება: **კარლო მაღლაკელიძე, ვალერი ცნობილაძე, ალექსანდრ ვოიტოვი, ანდრეი გარბუზოვი, ვიქტორ გრესევი, ვლადისლავ კორშუნოვი, კირილ კუშნარიოვი, ევგენი მატვეევი, ანდრეი ოსტრიკოვი, ევგენი პრონენკო, ალექსეი ტრავკინი, არტიომ ფატახოვი, ალექსანდრ ხროკინი.**

უკანა ხაზი: **ალექსანდრ იანუშკინი, ალექსანდრ შაკიროვი, კონსტანტინ რაჩკოვი, ვლადიმირ ოსტროუშკო, ალექსეი მაკოვეცკი, იური კუშნარიოვი, ანდრეი კუზინი, იგორ კლუჩნიკოვი, იგორ გალინოვსკი, მიხაილ ბაბაევი, ვასილი არტემევი.**

ესპანეთის ნაკრები:

მარტინ ერედია (კოსტა დელ სოლ), ალეხანდრო კრუსი, ლეანდრო არამბურუ (კახასოლი), იგნასიო გუტიერსი, ალეხანდრო გუტიერსი, ანიბალ ბონანი (ენტრპინარესი), ვიქტორ გომესი (მადრიდი), რაფაელ მატი (კისენეროსი), რამონ ნარვაესი (მახადაჰონდა), ხავიერ ასევედო (სანტაბოიანა), ხაიმე კუკი, როდრიგო მარტინესი, მარკოს პოჯი (ლა ვილა), ედუარდო რამირესი (ვალენსია), ფედერიკო ნეგრილო (ბიზკაია), მატიას ტუდელა, პედრო მარტინი (ორდიზია), ანდონი ხორახურია, ადრიენ აიესტარანაი (ბიარიცი), მარტინ ეტჩეპარე (დაქსი), სტეფან ლა პუასოტე, რემი დელგადო (ოლორონი), ბენატ ეტჩეპარე, მაქსიმ სამსონი (ტიროსი), დამიენ სანჩესი (სენ მედარი), სებასტიან პიფარდი (ლურდი), დავით გურგენიძე, სილვაინ ანტეკუერა (ორტეზი), მატიო ამორო (ბეზიე), სერხიო სევილია (კლერმონი), გაუტიერ გიბუინი (ბორდო).

● 28 იანვარი მსოფლიო რაგბის ისტორიაში

ბარბაროსები-ახალი ზელანდია

1906 წელი

ახალი ზელანდიის ნაკრებმა გემით ექვსკვირიანი მოგზაურობის შემდეგ, როგორც იქნა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩააღწია. „ოლ ბლექსმა“ აქ ორი შეხვედრა გამართა. მგზავრობით გასავათებულმა ახალზელანდიელებმა ჯერ „ბრიტიშ კოლომბიას“ სძლიეს დიდი გაჭირვებით, მერე, ოდნავ სული რომ მოითქვეს, სან ფრანცისკოს გუნდსაც აჯობეს.

ნაკრების მოთამაშეები ძალიან უკმაყოფილონი იყვნენ ახალი ზელანდიის რაგბის კავშირის მიერ ორგანიზებული ამ ტურნეთი. *„ეს ტურნე დანყევლილი უსიამოვნება იყო“*, - უთქვამს გუნდის მწვრთნელ **ჯორჯ დიქსონს**.

1951 წელი

საფრანგეთის ნაკრებმა ხუთი ერის პირველ ტურში დუბლინში ნააგო ირლანდიის ნაკრებთან - 8:9. ფრანგთა დიდმა კაპიტანმა **ჟან პრატმა** გრიპის გამო ეს შეხვედრა გამოტოვა. ამით შესანიშნავად ისარგებლეს „სამყურებმა“. **ტომ კლიფორდისა** და **ჯიმი ნელსონის** ლეღოების წყალობით მათ მრისხანე მეტოქის დამარცხება შეძლეს.

1968 წელი

საფრანგეთის ნაკრებმა დიდი სლემი შეასრულა. „ლე ბლემ“ ჯერ შოტლანდია დაამარცხა „მერიფილდზე“, მერე კი პარიზში ირლანდიის ეროვნულ გუნდს სძლია - 16:6. თითო ლეღო გარემარბმა **ანდრე კამაპამ** და მეორეხაზელმა **ბენუა დოგმა** მიითვალეს.

1973 წელი

„ბარბაროსებმა“ კარდიფში ახალი ზელანდიის ნაკრებს 23:11 მოუგო. ეს თამაში დღემდე „საუკუნის მატჩად“ ითვლება. „ოლ ბლექსი“ ევროპულ ტურნეში იმ წელიწადს დაუმარცხებელი იყო. „ბარბაროსები“ კი ძირითადად იმ მოთამაშეებით იყვნენ დაკომპლექტებული, ვინც 1971 წელს „ბრიტანელი ლომების“ შემადგენლობაში ითამაშა ახალზელანდიურ ტურნეში.

„საუკუნის მატჩი“ იმითაც იყო გამორჩეული, რომ ახალზელანდიელმა ვარსკვლავმა **გერეთ ედვარდსმა** შთამბეჭდავი ლეღო გაიტანა, რომელიც ასევე „საუკუნის ლეღოდ“ შერაცხეს.

2001 წელი

ინგლისურმა „გლოსტერმა“ „ჰაინეკენის თასის“ ნახევარფინალში უელსური „კარდიფ ბლუზი“ 21:15 დაამარცხა. ინგლისელთაგან ექვსი საჯარიმო **საიმონ მენიქსმა** გაიტანა, რასაც ერთი **ბაირონ ჰოვარდმა** დაუმატა. მაშინ, როცა უელსელებმა **ნიკ უოლონმა** და **გერეთ ტომასმა** თითო ლეღო მიითვალეს. „კარდიფი“, როგორც ვთქვით, მაინც დამარცხდა.

2002 წელი

უელსურმა „ჰლანეჰლიმ“ „ჰაინეკენის თასის“ გათამაშების მეოთხედფინალში სტუმრად დაამარცხა ინგლისური „ბასი“ - 27:10. უელსელთა შორის გამორჩეული იყო **სტივენ ჯოუნზი**, რომელმაც მეტოქეს რვა საჯარიმო და ერთი არეკნი გაუტანა (27 ქულა).

● ლეგიონი

გალტიეს სიფრთხილეს თავი არ სტკივა



ფაბიენ გალტიე

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტური, პირველი დივიზიონის ერთ-ერთი ლიდერის, **მამუკა გორგოძის, გიორგი ულენტის, გოდერძი შველიძის, გიორგი ჩახაიძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიეს“ მწვრთნელ **ფაბიენ გალტიეს** გუნდის გაძლიერება სურს.

მას შემდეგ, რაც „მონპელიემ“ წამყვან მოთამაშეებს **მამუკა გორგოძეს, გიორგი ულენტს, ფრანსუა ტრინ-დუკს, ულიენ ტომას** და **ფულენსე უედრაოგოს** კონტრაქტი გაუხანგრძლივა, სხვა ძლიერი მოთამაშეების მიწვევაზეც დაფიქრდა. გუნდის ხელმძღვანელებს რამდენიმე მოთამაშე შეგულებული ჰყავთ, თუმცა მათი ვინაობის გაცხადებისგან თავს იკავებენ.

„ახლა რაიმეს თქმა უხიფათო არ არის. თუ დავიწყებთ მოთამაშეების გვარების დასახელებას, ეს იქნება გუნდი ილუზია. ამიტომ ამ ეტაპზე თავს შევიკავებთ. კარგია ტელეეკრანებსა და გაზეთების პირველ გვერდებზე მოხვედრა, მაგრამ ეს უმჯობესია, ივნისში გავაკეთოთ“ - თქვა გალტიემ.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy-gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი

ნომერი ერთი

26 იანვარს ჰოკეის ეროვნული ლიგის ყველა დროის საუკეთესო მოთამაშე **უეინ გრეტცკი** 50 წლის გახდა. ამ გენიალური მოთამაშის ბიოგრაფიის მოყოლას არაერთი საგაზეთო ნომერი სჭირდება, ამიტომაც გადავწყვიტეთ მისი რეკორდების (სულ ლიგაში გრეტცკის 61 (!) რეკორდი ეკუთვნის) შემოკლებული სია გამოგვექვეყნებინა, რითაც მიხვდებით, რატომ მიიჩნევა გრეცკი ნომერ პირველ ჰოკეისტად.

რეგულარულის რეკორდები

გოლები

ყველაზე მეტი: 894 (1485 მატჩი)
მეორე: გორდი ჰოუ - 801
ყველაზე მეტი (პლეი ოფის ჩათვლით): 1016 (894+122)
მეორე: გორდი ჰოუ - 869 (801+68)
ყველაზე მეტი (ერთი სეზონი): 92 (1981-82)
მეორე: უეინ გრეტცკი - 87 (1983-84)
ყველაზე მეტი (ერთი სეზონი, პლეი ოფის ჩათვლით): 100 (1983-84)
მეორე: სამი მოთამაშე
ყველაზე მეტი (სეზონის სტარტიდან 50 მატჩის შემდეგ): 61 (07.10.81-22.01.82)
მეორე: მარიო ლემიე - 54 (07.10.88-31.01.89)
ყველაზე მეტი (ერთი პერიოდი): 4 (18.02.81)
თანარეკორდი 10 მოთამაშესთან

პასები

ყველაზე მეტი: 1962 (1485 მატჩი)
მეორე: პოლ კოფი - 1102
ყველაზე მეტი (პლეი ოფის ჩათვლით): 2222 (1962+260)
მეორე: პოლ კოფი - 1226 (1102+136)
ყველაზე მეტი (ერთი სეზონი): 163 (1985-86)
მეორე: უეინ გრეტცკი, მარიო ლემიე - 114
ყველაზე მეტი (ერთი სეზონი, პლეი ოფის ჩათვლით): 174 (1985-86)
მეორე: მარიო ლემიე - 121 (1988-89)
ყველაზე მეტი (ერთი მატჩი): 7 (სამჯერ)
თანარეკორდი ბილ ტეილორთან
ყველაზე მეტი (ერთი გასვლითი მატჩი): 7 (11.12.85)
თანარეკორდი ბილ ტეილორთან

ქულები

ყველაზე მეტი: 2856 (894+1962, 1485 მატჩი)
მეორე: გორდი ჰოუ - 1850 (801+1049)
ყველაზე მეტი (პლეი ოფის ჩათვლით): 3238 (2856+382)
მეორე: გორდი ჰოუ - 2010 (1850+160)
ყველაზე მეტი (ერთი სეზონი): 215 (1985-86)
მეორე: მარიო ლემიე - 199 (1988-89)
ყველაზე მეტი (ერთი სეზონი, პლეი ოფის ჩათვლით): 255 (1984-85)
მეორე: მარიო ლემიე - 218 (1988-89)

ინდივიდუალური

40 (და მეტი) გოლი სეზონში: 12-ჯერ (20 სეზონი)
მეორე: მარსელ დიონი - 10 (18-დან)
40 (და მეტი) გოლი სეზონში (ზედიზედ): 12-ჯერ (20 სეზონი)
მეორე: მაიკ ბოსი - 9
50 (და მეტი) გოლი სეზონში: 9-ჯერ (20 სეზონი)
თანარეკორდი მაიკ ბოსისთან
60 (და მეტი) გოლი სეზონში: 5-ჯერ (20 სეზონი)
თანარეკორდი მაიკ ბოსისთან
60 (და მეტი) გოლი სეზონში (ზედიზედ): 4-ჯერ (20 სეზონი)
მეორე: მაიკ ბოსი - 3
100 (და მეტი) ქულა სეზონში: 15-ჯერ (20 სეზონი)
მეორე: მარიო ლემიე - 10 (12-დან)
100 (და მეტი) ქულა სეზონში (ზედიზედ): 13-ჯერ (20 სეზონი)
მეორე: ექვსი მოთამაშე - 6
ყველაზე მეტი სამი (ამ მეტი) შაიბა მატჩში (კარიერა): 50
მეორე: მაიკ ბოსი - 39
ყველაზე მეტი სამი (ამ მეტი) შაიბა მატჩში (ერთი სეზონი): 10
მეორე: მაიკ ბოსი - 9
პასების ყველაზე გრძელი სერია: 23 მატჩი (1990-91, 48 პასი)
მეორე: ადამ ოუტსი - 18 (1992-93, 28 პასი)
ქულების ყველაზე გრძელი სერია: 51 მატჩი (1983-84, 153 ქულა)
მეორე: მარიო ლემიე - 46 (1989-90, 103 ქულა)

პლეი ოფის რეკორდები

ინდივიდუალური

ყველაზე მეტი გოლი (კარიერა): 122
მეორე: მარკ მესიე - 109
ყველაზე მეტი პასი (კარიერა): 260 (894+122)
მეორე: მარკ მესიე - 186
ყველაზე მეტი პასი (ერთი სეზონი): 31 (1988)
მეორე: მარიო ლემიე - 28 (1991)
ყველაზე მეტი პასი (ერთი სერია): 14 (1985)
თანარეკორდი რიკ მიდლტონთან
ყველაზე მეტი პასი (ფინალური სერია): 10 (1988)
მეორე: სამი მოთამაშე - 9
ყველაზე მეტი პასი (ერთი მატჩი): 6 (09.04.87)
თანარეკორდი მიკო ლეინონენთან
ყველაზე მეტი პასი (ერთი პერიოდი): 3 (18.02.81)
ყველაზე მეტი გამარჯვების გოლი: 24
მეორე: კლოდ ლემიე - 19
ყველაზე მეტი სამი (ამ მეტი) შაიბა მატჩში: 10
მეორე: მორის რიშარი, იარი კური - 7

ქულები

ყველაზე მეტი (კარიერა): 382 (122+260)
მეორე: მარკ მესიე - 295 (109+186)

ყველაზე მეტი (ერთი სეზონი): 47 (17+30, 1985)
მეორე: მარიო ლემიე - 44 (16+28, 1985)
ყველაზე მეტი (ფინალური სერია): 13 (3+10, 1988)
მეორე: ოთხი მოთამაშე - 12
ყველაზე მეტი (ერთი პერიოდი): 4 (12.04.87)
თანარეკორდი 9 მოთამაშესთან

ოლ სტარი

გოლები

ყველაზე მეტი (კარიერა): 13 (18 მატჩი)
მეორე: მარიო ლემიე - 11 (8 მატჩი)
ყველაზე მეტი (ერთი მატჩი): 4 (1983)
თანარეკორდი 3 მოთამაშესთან
ყველაზე მეტი (ერთი პერიოდი): 4 (1983)

პასები

ყველაზე მეტი (კარიერა): 12
თანარეკორდი 4 მოთამაშესთან

ქულები

ყველაზე მეტი (კარიერა): 25 (13+12)
მეორე: მარიო ლემიე - 20 (11+9)
ყველაზე მეტი (ერთი პერიოდი): 4 (1983)
თანარეკორდი 2 მოთამაშესთან

ფორმულა 1

კიდევ ერთი დებიუტანტი



პოლ დი რესტა

ინდური საჯინიბო „ფორს ინდიას“ ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ 2011 წელს გუნდის ძირითადი პილოტი შოტლანდიელი **პოლ დი რესტა** იქნება. დებიუტანტი პარტნიორობას გაუწევს გერმანელ **ადრიან სუტილს**, რომელმაც შეინარჩუნა ადგილი „ფორს ინდიაში“.

შეგახსენებთ, რომ შარშან დი რესტა DTM-ის სერიაში გამოდიოდა და პარალელურად ფორმულა 1-ის ეტაპებზე პარასკევის პრაქტიკებში მონაწილეობდა. დი რესტა „მერსედეს ბენცის“ პროტეჟე გახლავთ. ცნობისთვის, გერმანული ავტოგიგანტი ძრავებით ამარაგებს „ფორს ინდიას“. ახალგაზრდა შოტლანდიელს ფორმულა 1-ში სადებიუტო რბოლა 13 მარტს ბაჰრეინში ელის. სწორედ ამ დღეს იხსნება „დიდ ცირკში“ ახალი სეზონი.

„გასულ წელს „ფორს ინდიასთან“ თანამშრომლობა მესამე პილოტის რანგში დავიწყე. კავშირი ნაყოფიერი აღმოჩნდა და იმედია, წელს შევძლებთ კარგი შედეგების მიღწევას“, - განაცხადა დი რესტამ გლაზგოში გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე.

გარდა ამისა, „ფორს ინდიამ“ მესამე პილოტის ვინაობა დაასახელა. ეს არის გერმანელი **ნიკო ჰიულკენბერგი**, რომელიც შარშან „უილიამსის“ ღირსებას იცავდა. *„მოხარული ვარ ფორმულა 1-ში დარჩენითა და ახალგაზრდა, მაგრამ სწრაფად პროგრესირებად გუნდში ჩარიცხვით“*, - თქვა მან.

ეს გარიგებები იმას ნიშნავს, რომ იტალიელი **ვიტანტონიო ლიუცი** ტოვებს „ფორს ინდიას“ იმის მიუხედავად, რომ 2011 წლისთვის გუნდთან კონტრაქტი აქვს გაფორმებული. ტელეარხ BBC-ის ცნობით, ხელშეკრულების განყვეტაზე მოლაპარაკებები ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ, როგორც ჩანს, მხარეები მოახერხებენ შეთანხმებას.

■ ■ ■

სამხრეთ აფრიკის მთავრობა აფრიკის კონტინენტზე ფორმულა 1-ის დაბრუნებას აპირებს. უახლოეს პერიოდში ქალაქი კეიპტაუნი გრან-პრის გამართვაზე განაცხადის შეტანას აპირებს და თუ ყველაფერი მათი გეგმის მიხედვით განვითარდა, სამხრეთ აფრიკის ეტაპი 2013 წელს გაიმართება.

საგანაცხადო კომიტეტის წევრები უახლოეს ხანში ფორმულა 1-ის მთავარ პრომოუტერ **ბერნი ექლსტოუნთან** შეხვედრას აპირებენ. თუმცა თავად ადგილობრივი ადმინისტრაცია ამ იდეით აღფრთოვანებული არ არის, რადგან ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ კიდევ ერთი მასშტაბური სპორტული მოვლენა სერიოზულად იმოქმედებს ქალაქის ბიუჯეტზე. მიუხედავად ამისა, ორგანიზატორების ჩანაფიქრით, დანახარჯი მინიმალური იქნება რბოლის ქუჩაში გამართვის წყალობით.

■ ■ ■

„რენოს“ ყოფილ შეფს **ფლავიო ბრიატორეს** კვლავ პრობლემები აქვს სამართალდამცავებთან. კერძოდ, ქალაქ გენუის ფინანსური პოლიციის მოთხოვნით დააპატიმრეს ფლავიოს საბანკო ანგარიშები იტალიასა და მონაკოში. სკანდალურად ცნობილ იტალიელს დროებით ხელი არ მიუწვდება 1.5 მილიონ ევროზე. ასეთი შედეგი მოჰყვა სასამართლო გარჩევას, რომელშიც ბრიატორეს სახელმწიფოს წინააღმდეგ თაღლითობაში სდებენ ბრალს. ეს საქმე ჯერ კიდევ შარშან იანვარში დაიწყო.

ამავე საქმესთან დაკავშირებით, 2010 წლის მაისში „დააპატიმრეს“ ბრიატორეს კუთვნილი იახტა - Force Blue.

შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში ფლავიოს თაღლითობასა და ბანქოს უკანონო თამაშის გამო 4.5-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. მაშინ მან მოასწრო ვირჯინიის კუნძულებზე გაქცევა და ციხეში ერთი დღეც არ გაუტარებია, სამშობლოში კი პატიმრობის ვადის გასვლის შემდეგ დაბრუნდა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

ატლანტა-ვაშინგტონი 1:0

0:0, 1:0, 0:0

გოლი: 1:0 ანტროპოვი-9 (მოდინი-3, ჰეინსი-6).

ბოსტონი-ფლორიდა 2:1

1:0, 1:0, 0:1

გოლები: 1:0 მარჩანდი-13 (ა. ბერჟერონი-24, ხარა-16), 2:0 ლუჩიჩი-20 (კრეისი-26), 2:1 ალენი-4 (დვორაკი-12, ჰორდიჩუკი-3).

დეტროიტი-ნიუ ჯერსი 3:1

1:1, 0:0, 2:0

გოლები: 1:0 ჰელმი-6, 1:1 როლსტონი-6 (ვოლჩენკოვი-3, ელიაში-24), 2:1 ფილპულა-12 (ჰუდლერი-14, სალეი-7), 3:1 ფრანცენი-21 (ზეტერბერგი-37, კრონვალი-16).

ანაჰეიმი-კაროლინა 2:4

0:1, 1:2, 1:1

გოლები: 0:1 ბოიჩუკი-4 (ე. სტაალი-27, კოული-14), 1:1 გრაბნერი-15 (ნილსენი-16, ენდრიუ მაკდონალდი-16), 1:2 ე. სტაალი-24 (კოული-15), 1:3 ე. სტაალი-25 (კორვო-19, გლისონი-10), 1:4 ბ. სუტერი-11 (ტლუსტი-3, ი. იოკინენი-26), 2:4 ენდრიუ მაკდონალდი-1 (გრაბნერი-6).

დალასი-ედმონტონი 3:1

1:0, 2:1, 0:0

გოლები: 1:0 ბარიში-7 (რიბეირო-35, დეღეი-14), 2:0 მოროუ-20 (ლანგენბრუნერი-12, რობიდასი-21), 3:0 მოროუ-21 (ლანგენბრუნერი-, რიბეირო-36), 3:1 პენერი-16 (ჰოკოფი-11, ტ. ჰოლი-15).

კოლორადო-ფინიქსი 2:5

1:2, 0:1, 1:2

გოლები: 1:0 სტოე-2 (პ. შჩასტნი-26, შატენკირკი-19), 1:1 აპშოლი-15 (იენდლი-36, სტემპნიაკი-14), 1:2 იენდლი-8 (ჰანფალი-9, მორისი-6), 1:3 ბელანჟე-6 (პიატი-8, სტემპნიაკი-15), 1:4 ტარისი-9 (დოუნი-23), 2:4 დუშენი-20 (გალიარდი-7), 2:5 ბელანჟე-7 (კორპიკოსკი-14)

კალგარი-სტ. ლუისი 4:1

1:0, 2:0, 1:1

გოლები: 1:0 მოსი-11, 2:0 მოსი-12 (ბაბჩუკი-16, ო. იოკინენი-20), 3:0 პარდი-1 (ო. იოკინენი-21, მოსი-7), 3:1 მაკრეი-1 (მაკლემანი-8, ბოიესი-21), 4:1 იგინლა-22 (ჯორდანო-21).

ეანაჰეიმი-ნეშვილი 2:1

0:0, 0:0, 2:1

გოლები: 0:1 შ. უებერი-9 (ერატი-15, ს. კოსტიცინი-14), 1:1 ბაროუზი-11 (ჰამჰუისი-12), 2:1 სვიტი-1 (დ. სედინი-37).

ლოს ანჯელესი-სან ხოსე 3:2 (ბ)

0:0, 1:2, 1:0, 0:0

გოლები: 1:0 რ. სმიტი-19 (სტოლი-18, ჯასტინ უილიამსი-21), 1:1 ქლოუ-13, 1:2 სეტოგუჩი-10 (კუტური-11), 2:2 ჰონიკაოვსკი-4 (რიჩარდსონი-6, ჰანძუში-12).

ბულიტები გაიტანეს: სტოლი (ლოს ანჯელესი).

18 წლის ჰარსკვლავი

როგორც უკვე ვწერდით, NHL-ის „ყველა ვარსკვლავის მატჩს“ ტრავმების გამო „პიტსბურგ პინგვინზის“ ორი ფორვარდი - **სიდნი კროსბი** და **ევგენი მალკინი** გამოაკლდნენ. ლიგის ხელმძღვანელობამ უკვე მოუნახა ამ დუეტს შემცვლელი. ერთ-ერთი გახლავთ „კაროლინა ჰარიკეინზის“ ფორვარდი **ჯეფ სკინერი**, რომელსაც ამ მომენტისთვის რეგულარულ ჩემპიონატში 40 ქულა (18 შაიბა+22 შედეგიანი პასი) აქვს. თუ სკინერს 30 იანვარს ყინულზე გასვლა მოუნევს, ის გახდება „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ჰოკეისტი. სკინერი 18 წლის გახლავთ. ეს ჰოკეისტი 2010 წელს დრაფტის მეშვიდე ნომრად აირჩიეს.

პიტსბურგელი ჰოკეისტების მეორე ალტერნატივა გახდა „კოლორადო ეველანშის“ ამერიკელი ფორვარდი **პოლ შჩასტნი**, რომლის მამას, ლეგენდარულ სლოვაკ ფორვარდს **პეტერ შჩასტნის** ექვსჯერ უთამაშია „ყველა ვარსკვლავის“ მატჩში.

● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

დურანტის რეკორდები

გუშინ NBA-ის რეგულარულ ჩემპიონატში 10 მატჩი გაიმართა და მათგან ერთი გამორჩეული იყო თავისი სცენარითა და დაძაბულობით, აგრეთვე იმითაც, რომ დღის გმირი სწორედ ამ შეხვედრაში იღებდა მონაწილეობას. „ოკლაჰომა“ „მინესოტასთან“ მატჩს ბოლო ოთხ მატჩში სამი წაგებით შეხვდა და მაქსიმალურად იყო კონცენტრირებული ამ სერიის შენყვეტისთვის. თუმცა „მგლებს“ მოგება არანაკლებ სჭირდებოდათ - მათი „შავი“ სერია გაცილებით დამთრგუნველი ჩანდა - ბოლო 10 მატჩში ერთი მოგება. გუნდს ვერ შველის ლიგის საუკეთესო მომხსნელი **კევინ ლავი, მაიკლ ბიზლის** პროგრესი და ძლიერი წინა ხაზი. ყველა უბედურების სათავე დაცვაში ცუდი თამაშია. „ჰიუსტონთან“ წინა საშინაო მატჩში „მინესოტამ“ 125 ქულა დააგროვა და მაინც დამარცხდა.

მინეაპოლისელი გულშემატკივრებისთვის სამწუხაროდ, გუშინაც იგივე მოხდა. მათმა საყვარელმა გუნდმა დრამატულ ფინალში ისევ დამარცხებულმა დატოვა მოედანი. ლავმა და ბიზლიმ 44 წუთი ითამაშეს და ბრწყინვალე სტატისტიკას მოუყარეს თავი: 61 ქულა, 30 მოხსნა, 9 პასი და ორი დაფარება. მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ასეთი თამაშის პირობებშიც შესაძლებელი ყოფილა წაგება. თავიდან მასპინძლებმა ხელიდან გაუშვეს მატჩის ძირითად დროში მოგების შანსი - ლავმა ბოლო წამზე შემობრუნებით ვერ ჩააგდო. დამატებით დროში კი „მგლებისთვის“ ყველაფერი მინიტრაგედიით დასრულდა. საფინალო სირენამდე 28 წამით ადრე **კევინ დურანტმა** ორი ქულით დააწინაურა თავისი გუნდი. ამას მოჰყვა ბიზლის არაზუსტი საპასუხო სროლა, მაგრამ მოხსნა ლავმა მოიგო, რომელიც დაეცა და ზურგი დაიზიანა, თუმცა მის მონდომებას უკვალოდ არ ჩაუვლია - ბურთი მასპინძლებს დარჩათ, **კორი ბრიუერმა** კი ჯარიმების შესრულების უფლება მიიღო. პირველი ჩააგდო, მეორე - ააცილა, მაგრამ ბურთი ისევ „მგლებს“ მიუვიდათ. რჩებოდა კიდევ ექვსი წამი, ოღონდ იმის ნაცვლად, რომ ტაიმ-აუტი აეღოთ და ბოლო კომბინაცია დაეგეგმათ, გამთამაშებელმა **ლუკ რიდნურმა** მოუმზადებელი სამქულიანის ტყორცნა გადაწყვიტა, თანაც ორი მცველის გარემოცვაში იმყოფებოდა...

დღის გმირი კი „ოკლაჰომას“ ბრწყინვალე ფორვარდი **კევინ დურანტი** გახდა. ჯერ ერთი, მან გამარჯვების ტყორცნა ჩააგდო. გარდა ამისა, 18 მოხსნა დააგროვა - ეს კი კარიერის რეკორდია. რაც მთავარია, 47 ქულა (თამაშიდან - 15/28, სამქულიანი - 4/8, საჯარიმო - 13/14) დააგროვა, რაც ასევე სარეკორდო მაჩვენებელია ვარსკვლავი ფორვარდისთვის.

ზედიზედ მეექვსე მატჩი წააგო „იუტა ჯაზმა“. ამ გუნდის კრიზისით ისარგებლა რეგულარულის ლიდერმა „სან ანტონიომ“ და 46 მატჩში 39-ე გამარჯვებას მიაღწია, რაც მის ისტორიაში საუკეთესო მაჩვენებელია. პირველ ტაიმში მასპინძლებმა ერთ მონაკვეთში ზედიზედ 17 ქულა გაუშვეს და დიდ შესვენებამდე ორი წუთით ადრე 19 ქულით ჩამორჩნენ მეტოქეს. თუმცა „ჯაზმენებმა“ გაიბრძოლეს და საპასუხო სპურტით (17:4) უპასუხეს ლიდერს. შეხვედრას ინტრიგა დაუბრუნდა, ბრწყინავდა **დერონ უილიამსი** (39 ქულა, 9 პასი), რომელიც ფანტასტიკურ ბურთებს აგდებდა. მაგრამ უსაქმოდ არც „სპურსი“ ყოფილა - სტუმართა გუნდი ყოველთვის პოულობდა ბზარებს მეტოქის დაცვის ხაზში და საბოლოოდ, ახლოს არ გაიკარა მასპინძლები.

„დენვერის“ ვეტერანმა გამთამაშებელმა **ჩონსი ბილაპსმა** ჯერ კიდევ „დეტროიტში“ თამაშისას მიიღო მეტსახელი - Mr Big Shot („მისტერ დიდი სროლა“). გუშინ ჩონსი თავის ყოფილ კლუბს სტუმრობდა და მარტომ გადაწყვიტა მატჩის ბედი. საფინალო სირენამდე 3 წუთითა და 15 წამით ადრე „დეტროიტმა“ მინიმუმამდე შეამცირა ჩამორჩენა - 91:92 და გამარჯვების იმედი მიეცა. მაგრამ დარჩენილ დროში ბილაპსმა მოასწრო ოთხი სამქულიანის ჩაგდება, რითაც მოხსნა დღის წესრიგიდან გამარჯვებულის საკითხი.

„ფილადელფიამ“ „ტორონტო“ დააამარცხა და თანაც ეს თავისი რეზერვისტების ბრწყინვალე თამაშის წყალობით გააკეთა. ოთხმა სათადარიგო მოთამაშემ 107 ქულიდან 58 თავის ანგარიშზე მიითვალა და თითოეულმა გადალახა 10-ქულიანი ზღვარი. „სიქსერზს“ მეორე მეოთხედში ჰქონდა წარმატებული მონაკვეთი, როცა გაარღვია მეტოქის ისევაც სუსტი დაცვა. „ტორონტო“ ზედიზედ მეცხრედ დამარცხდა - ასეთი უიღბლო სერია კანადურ კლუბს 2006 წლის შემდეგ არ ჰქონია, როცა ზედიზედ 10 მატჩი წააგო. „რეპტორზი“, რომელიც ცოტა ხნის წინ პლეი ოფში მოხვედრაზე აცხადებდა პრეტენზიას, ახლა აღმოსავლეთ დივიზიონში მხოლოდ უიმედო აუტსაიდეს „კლივლენდს“ უსწრებს.

სტივ ნეშის ბრწყინვალე თამაში საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ „ფინიქსს“ გამარჯვებით აღენიშნა **ვინს კარტერის** 34-ე დაბადების დღე. თავად კარტერმა 22 ქულა დააგროვა, რითაც NBA-ის ყველა დროის ბომბარდირთა დავაში **ტომ ჩემბერსი** შეავინროვა და 36-ე ადგილზე დამკვიდრდა. რაც შეეხება ნეშს, მან ორმაგი დუბლი მიითვალა - 27 ქულა და 15 პასი, 5 მოხსნა დააგროვა და ოთხიდან ოთხი სამქულიანი ჩააგდო. მაგრამ „შარლოტი“ მაინც უკეთესად გამოიყურებოდა. მატჩის ბოლოს ნეშმა შორეული ტყორცნით სამ ქულამდე შეამცირა სხვაობა, მაგრამ ბოლო სამ წუთში „ფინიქსმა“ ვერც ერთი ქულა ვერ დააგროვა. „სანზის“ წაგებათა სერია სამ მატჩამდე ავიდა და ახლა პლეი ოფში გასვლის შანსები მიზერულად ჩანს. თავის მხრივ, „შარლოტმა“ ახალი მწვრთნელის - **პოლ სილასის** მეთაურობით თამაშს მოუმატა და აღმოსავლეთის მერვე ადგილზე დამკვიდრდა.

ტორონტო-ფილადელფია 94:107

29:20, 21:30, 27:34, 17:23

ტ: დეროზანი (29+5 მოხსნა), ბარნიანი (17+5 მოხსნა), ჯონსონი (15+6 მოხსნა), კალდერონი (8+13 პასი+5 მოხსნა).

ფ: სპეიტსი (23+9 მოხსნა), ჰოლიდეი (15+11 პასი+5 მოხსნა), იგუოდალა (15+6 პასი+5 მოხსნა), უილიამსი (15), ბრენდი (14+7 მოხსნა), ტერნერი (10+5 მოხსნა), იანგი (10).

ნიუ ჯერსი-მემფისი 93:88

16:32, 26:21, 18:13, 33:22

ნ-ჯ: მოროუ (19), ლოპესი (17), ჰემფრიზი (14+7 მოხსნა), ჯუიაჩიჩი (14+5 მოხსნა), ჰარისი (13+9 პასი).

მ: გეი (22+6 მოხსნა), რენდოლფი (20+16 მოხსნა), კონლი (16+5 პასი+5 მოხსნა), გასოლი (12+6 მოხსნა+5 პასი).

ინდიანა-ორლანდო 96:111

21:24, 27:38, 24:24, 24:25

ი: გრეინჯერი (27+5 მოხსნა), კოლისონი (21), ჯორჯი (10+7 მოხსნა), დანლიეი (10).

ო: ჰოვარდი (19+16 მოხსნა), რიჩარდსონი (19+9 მოხსნა), თურქოგლუ (18+6 მოხსნა), ანდერსონი (14), ნელსონი (12), რედიკი (10).

დეტროიტი-დენვერი 100:109

24:29, 26:27, 24:24, 26:29

დეტ: ბინუმი (19), გორდონი (15), მაკგრეიდი (14+8 პასი+6 მოხსნა), მონრო (14+7 მოხსნა), ვილანუევა (11), პრინსი (10+5 მოხსნა), უოლასი (0+10 მოხსნა).

დენ: ბილაპსი (26), ენტონი (18+10 მოხსნა+7 პასი), აფლალო (17), უილიამსი (13+5 მოხსნა), ჰარინგტონი (10+7 მოხსნა).

მილუოკი-ატლანტა 98:90

22:23, 22:24, 20:28, 34:15

მ: მაგეტი (22), ბოიკინსი (20), დელფინო (15+5 მოხსნა), ბოგუტი (8+14 მოხსნა).

ა: კროუფორდი (20), ჰორფორდი (17+10 მოხსნა+5 პასი), ჯონსონი (15), სმიტი (14+11 მოხსნა).

მინესოტა-ოკლაჰომა 117:118 (ო)

28:25, 28:29, 23:29, 31:27, 7:8

მ: ლავი (31+21 მოხსნა), ბიზლი (30+9 მოხსნა+7 პასი), ჯონსონი (13+5 მოხსნა), რიდნური (12+8 პასი), ბრიუერი (11+5 მოხსნა).

ო: დურანტი (47+18 მოხსნა), გრინი (19+8 მოხსნა), უესტბრუკი (16+8 პასი), ჰარდენი (13).

პუსტონი-კლიპერსი 96:83

27:22, 28:30, 15:21, 26:10

ჰ: ლაური (20+8 პასი+6 მოხსნა), სკოლა (16+6 მოხსნა), ბრუქსი (16), ბატიე (10+6 მოხსნა).

კ: ფოიე (20), გრიფინი (14+11 მოხსნა), დევისი (14), ჯორდანი (8+12 მოხსნა).

ფინიქსი-შარლოტი 107:114

26:31, 31:28, 30:33, 20:22

ფ: ნეში (27+15 პასი+5 მოხსნა), კარტერი (22+6 მოხსნა), გორტატი (16+7 მოხსნა), დადლი (13), ფრაი (12+6 მოხსნა).

შ: ჯექსონი (23+7 მოხსნა), უოლასი (22+10 მოხსნა), დიაო (18+6 მოხსნა+5 პასი), ოგუსტინი (15+10 პასი), ჰენდერსონი (15), ბრაუნი (12+10 მოხსნა).

იუტა-სან ანტონიო 105:112

25:29, 24:29, 29:30, 27:24

ი: უილიამსი (39+9 პასი), ჯეფერსონი (22+9 მოხსნა), მაილზი (13), კირილენკო (10+6 მოხსნა).

ს-ა: ჯინობილი (26+7 პასი+6 მოხსნა), პარკერი (23+6 პასი), ჯეფერსონი (14+5 მოხსნა), დანკანი (13+7 მოხსნა), ნოა (13), ჰილი (10).

გ. სტეიტი-ნ. ორლეანი 103:112

21:34, 28:27, 27:32, 27:19

გ-ს: ელისი (26+5 პასი), რაიტი (25), კარი (20+6 პასი), ლი (16+10 მოხსნა).

ნ-ო: უესტი (22+5 მოხსნა), არიზა (19+7 მოხსნა), პოლი (18+17 პასი), ოკაფორი (13+7 მოხსნა), ბელინელი (11).



კევინ დურანტი

ევრობასკეტი ოთხ ქვეყანაში?

FIBA-EUROPE-მა, შესაძლოა, უცნაური გადაწყვეტილება მიიღოს 2015 წლის ევრობასკეტის მასპინძელთან დაკავშირებით. არ არის გამორიცხული, კონტინენტის პირველობის ორგანიზება ოთხ ქვეყანას - გერმანიას, საფრანგეთს, ჰოლანდიასა და ბელგიას დაევალოს.

პირველებმა ფედერაციაში განაცხადი გერმანელებმა შეიტანეს. დოკუმენტის დამტკიცების შემთხვევაში, სწორედ ამ ქვეყანას მიანდობენ ნახევარფინალებისა და ფინალის ჩატარებას.

ოთხივე ქვეყანა მიიღებს ჯგუფური ტურნირის მატჩებს, საფრანგეთსა და გერმანიაში გაიმართება მეორე რაუნდი, ხოლო პლეი ოფი, როგორც გითხარით, გერმანიისა იქნება.

„ამ წინადადებას მალე FIBA-Europe-ის მმართველი საბჭო განიხილავს. პოზიტიური რეაქციის იმედი გვაქვს, რადგან ეს ძლიერი მარკეტინგული სვლაა, რომელიც ერთბაშად რამდენიმე ქვეყანას მოიზიდავს“, - ამბობს გერმანიის კალათბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი **ვოლფგანგ ბრანსაიტი.**

შეგახსენებთ, რომ 2011 წლის ევრობასკეტს ლიტვა უმასპინძლებს, ხოლო 2013 წელს ევროპული კალათბურთის ცენტრი სლოვენია გახდება.

● ცხელი ხაზი

ერთიანი ბიულეტენი

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები

კრილია-ლეგია	0:3
რეალ მურსია-ცსკა	1:1
არკა-ტიმიშოარა	1:3
რანდერსი-ოლბორგი	2:3
ოლესუნდი-ვისლა	2:0
რაპიდი (ბ)-რუსენბორგი	0:0 პენ. 3:5
კოპენჰაგენი-ვოლერენგა	5:1
ბრონდბიუ-ოდენსე	2:3

Under 17

მოლდოვა-უკრაინა	1:1
ბელგია-ლიტვა	1:0
სერბეთი-რუსეთი	0:0
ბელარუსი-ფინეთი	0:0

იტალიის თასი

1/4 ფინალი

იუვენტუსი-რომა	0:2

პოლანდიის თასი

1/4 ფინალი

აიაქსი-ბრედა	4:1

პორტუგალიის თასი

1/4 ფინალი

მეირელენსე-გიმარაეში	0:2

თურქეთის თასი

ფენერბაჰჩე-გენჩლერი	2:1
მალათია-ანკარაგიუჯუ	0:0

კალათბურთი

ევროლიგა

მაკაბი-რომა	99:58
ოლიმპია-ბარსელონა	67:68
პანათინაიკოსი-უნიკახა	82:56
ფენერბაჰჩე-ვალენსია	75:73
ალბა-პანელინიოსი	68:65

ისრაელი

მაკაბი (ჰ)-ჰაპოელი (ჰ)	73:77

ხელბურთი

მს. ჩემპიონატი

კაცები

გერმანია-არგენტინა	40:35 დ.დ.
ნორვეგია-სერბეთი	32:31 დ.დ.

პოკერი

ქალ

ამური-სკა	3:4 (ო)
ავანგარდი-ბარისი	3:2 (ბ)

ბელარუსი

ხიმიკი-მეტალურგსი	3:2
ხიმვოლოკნო-სოკოლი	6:2

ნორვეგია

სტავანგერი-სტორჰამარი	3:0
ვოლერენგა-რუსენბორგი	5:3
ლილეჰამერი-სტიორნენი	6:1
ლორენსკოგი-ბანგლერუდი	1:3

ფინეთი

ილვესი-ტპს	2:4
კერპეტი-ბლუზი	5:4 (ბ)

ჩეხეთი

პლზენი-ვიტკოვიცე	3:1

შვედეთი

ლინჩოპინგი-შელეფტეო	2:0
ულეო-აიკ	1:2
ფერიესტადი-ბრიუნესი	1:2
ფრიოლუნდა-ტიმრა	2:5
ჰ371-მოდო	3:4 (ბ)
იურგორდენი-სიოდერტალე	1:2

● TV პროგრამა

28 იანვარი. პარასკევი

GMG-ფეხბურთი

23:25 გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ჰანოვერი (LIVE).

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

23:25 გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ჰანოვერი (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

23:25 ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. 1/2 ფინალი. დანია-ესპანეთი. შვედეთი (LIVE).
05:00 ჰოკეი. NHL. ყველა ვარსკვლავის უიქენდი. კაპიტნების დრაფტი (LIVE).

HTB-პლუსი (ინფინიტი)

13:45 ციგურებით სირბილი. მსოფლიოს თასი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
20:55 ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. 1/2 ფინალი. შვედეთი-საფრანგეთი. შვედეთი (LIVE).
23:00 პროფესიული კრივი. გუნდური ტურნირი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

12:25 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. 1/2 ფინალი. კაცები. მელბურნი (LIVE).
07:55 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. ფინალი. ქალთა წყვილები. მელბურნი (LIVE).

HTB-პლუსი (კალათბურთი)

04:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-დეტროიტი (LIVE).

SPORT+

23:25 ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. 1/2 ფინალი. დანია-ესპანეთი. შვედეთი (LIVE).

EUROSPORT

12:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. 1/2 ფინალი. კაცები. მელბურნი (LIVE).
17:00 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. მოკლე პროგრამა. ბერნი. შვეიცარია (LIVE).
21:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS145. კვალიფიკაცია. ვილინგენი. გერმანია (LIVE).
22:30 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. თავისუფალი ცეკვა. ბერნი. შვეიცარია (LIVE).

EUROSPORT-2

12:00 სათხილამურო რბოლა. უნივერსიადა. ქალები. 5 კმ. ერზურუმი. თურქეთი (LIVE).
13:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სწრაფდაშვება. სესტრიერი. იტალია (LIVE).
15:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სწრაფდაშვება. შამონი. საფრანგეთი (LIVE).
19:00 ფეხბურთი. აზიის თასი. მე-3 ადგილისთვის. ს. კორეა-უზბეკეთი. კატარი (LIVE).
21:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს ჩემპიონატი (იუნიორები). ოტეპაა. ესტონეთი (LIVE).

● ჩოგბურთი

სერანას აპრილში უნდა ველოდოთ

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **სერენა უილიამსი**, შესაძლოა, აპრილში დაუბრუნდეს დიდ სპორტს. როგორც ფედერაციის თასზე ამერიკის ნაკრების კაპიტანმა **მერი-ჯო ფერნანდესმა** განაცხადა, უმცროსი უილიამსი მას ტელეფონით დაუკავშირდა და აპრილში დაგეგმილ მატჩში თამაშის სურვილი გამოთქვა.

„დღეს დილით სერენამ დამირეკა. ის ვარაუდობს, რომ აპრილში მზად იქნება ფედერაციის თასზე სათამაშოდ. ეს კარგი ნიშანია, რადგან უილიამსი 2012 წლის ოლიმპიადაზე ფიქრობს. ის ამჟამადაც სპეციალური ფეხსაცმლით დადის, მაგრამ თებერვალში უნდა დაიწყოს ვარჯიში“, - განაცხადა ფერნანდესმა.

შეგახსენებთ, რომ ოლიმპიადაზე გამოსასვლელად ჩოგბურთელმა ოლიმპიურ ციკლში მინიმუმ ორჯერ მაინც უნდა ითამაშოს ფედერაციის თასზე.

ჯოკოვიჩებმა არჩევნები ნააგეს

სერბი ჩოგბურთელის **ნოვაკ ჯოკოვიჩის** მამამ - **სდრიან ჯოკოვიჩმა** ნააგო სერბეთის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები. უფროსი ჯოკოვიჩი შეეცადა ამომრჩევლებისთვის ბოიკოტისკენ მოენოდებინა, მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა **სლობოდან ჟივოინოვიჩს** პრეზიდენტის პოსტის შენარჩუნებაში.

არჩევნების შედეგების თანახმად, 1985 წლის უიმბლდონის ნახევარფინალისტმა ჟივოინოვიჩმა 690 შესაძლებლიდან 502 ხმა მიიღო, არადა, სდრიან ჯოკოვიჩმა თითქოს ყველაფერი გააკეთა არჩევნების ჩასაშლელად. ასე რომ, ძველი ახალი პრეზიდენტი მესამედ შეუდგება ოთხწლიან ციკლს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ქრონიკა

ჩემპიონი და პრეტენდენტი

ბრძოლა დაიწყო

გერმანიის ქალაქ კიოლნში ჩატარდა პრესკონფერენცია, რომელიც 19 მარტს გასამართ საჩემპიონო ბრძოლას მიეძღვნა. ამ ჩხუბში WBC-ის ჩემპიონი **ვიტალი კლიჩკო** *აუცილებელ პრეტენდენტს, 2004 წლის ოლიმპიადის ჩემპიონ* **ოდლანიერ სოლისს** *შეხვდება. 39 წლის უკრაინელმა სუპერმძიმეწონასანმა მომავალი მეტოქისადმი პატივისცემა დაადასტურა და ხაზი გაუსვა მის მიღწევებს სამოყვარულო რინგზე, მაგრამ უფროსი კლიჩკო იმაშიც დარწმუნებულია, რომ 19 მარტს შეძლებს ტიტულის შენარჩუნებას. „ბევრ ძლიერ მეტოქესთან მიჩხუბია, მაგრამ რინგზე ოლიმპიურ ჩემპიონს არასოდეს შევხვედრივარ, - ამბობს უფროსი კლიჩკო. - ველოდები, რომ ახალგაზრდა და ნიჭიერ მეტოქესთან ბრძოლა დაძაბული იქნება. თუმცა მას არაფერი გამოუვა. ვაჩვენებ ყველას, რატომ მქვია ჩემპიონი და ტიტულს დავიცავ“.*

30 წლის სოლისი მაინც და მაინც ვერ მოიხიბლა ჩემპიონის გაბარიტებით და კითხვაზე - რას გრძნობს თავის კარიერაში ყველაზე რთული ბრძოლის წინ, ასე უპასუხა: „რატომ ფიქრობთ, რომ ეს ჩემი ყველაზე რთულის ბრძოლა იქნება? ჯერჯერობით ყველა მეტოქეს ორი ხელი და ორი ფეხი ჰქონდა. ასე იქნება ამჯერადაც. თქვენს შეკითხვას სერიოზულად მაშინ აღვიქვამდი, თუ კარიერაში პირველად მომიწევდა სამხელიან მონინააღმდეგესთან ბრძოლა“.

ტრადიციულად, თავის სტიქიაში იყო სოლისის პრომოუტერი **აჰმედ ონერი**, *რომელმაც ამჯერადაც დაასხა ცეცხლზე ნავთი. „ჩვეულებრივ, პრეტენდენტი მოკრივის გუნდი მადლობას უხდის ჩემპიონს ბოძებული შანსისთვის, მაგრამ ამჯერად ჩვენგან ასეთ რამეს ვერ მოისმენთ, - გამოაცხადა ონერმა. - კლიჩკოებმა ყველაფერი გააკეთეს ამ ბრძოლის თავიდან ასაცილებლად. ამიტომაც არ ღირს მათთვის მადლობის გადახდა. უდიდესი სამუშაო გავწიეთ საჩემპიონო ბრძოლის ორგანიზებისთვის. ჩვენ ეს დავიმსახურეთ. მადლობა უნდა გადავუხადოთ WBC-ის პრეზიდენტ ხოსე სულეიმანს, აგრეთვე ტელეარხ RTL-ს იმისთვის, რომ ბოლო წლებში შეინარჩუნეს „მითი კლიჩკოების შესახებ“, მიუხედავად იმისა, რომ ისინი უაზრო და არაფრის მომცემ ბრძოლებში ტომრებს ეჩხუბებოდნენ“.*

„აქამდე გერმანული პუბლიკა მრავალი წლის განმავლობაში ითმენდა კლიჩკოების უხარისხო კრივს, მაგრამ ახლა ნამდვილ ჩხუბს ვანახებთ, - გააგრძელა ონერმა. - ჩვენ თვალწინ ისტორია იქმნება. პირველად უმაღლესი კლასის კუბელმა მძიმეწონოსანმა ქვეყანა დატოვა პროფესიონალებში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად. კრივის მოყვარულები ყოველთვის იკამათებენ იმაზე, როგორი სანახავი იქნებოდა მუჰამედ ალისა და ტეოფილო სტივენსონის ჩხუბი ან რა მოხდებოდა მაიკ ტაისონისა და ფელიქს სავონის ბრძოლაში. ჩვენს თაობას გაუჩნდა შანსი თავისი თვალით იხილოს საუკეთესო კუბელი მძიმეწონოსნის შეხვედრა დანარჩენი სამყაროს საუკეთესო მძიმეწონოსანთან. მე კუბაზე ჩავდივარ ფსონს“.

ამბები

რვაგზის მამა

ლეგენდარულ ამერიკელ მოკრივე **მაიკ ტაისონსა** და მის მეუღლეს - **ლაკიას** ორი დღის წინ შვილი გაუჩნდათ. 32 წლის ლაკიამ 44 წლის „რკინის მაიკს“ ვაჟი აჩუქა.

წყვილს უკვე ჰყავს ერთი შვილი - ორი წლის გოგონა **მილანი**. გარდა ამისა, ტაისონი ხუთი შვილის - **რეინას, ამირის, დეამატას, მიკისა** და **მიგელის** მამაა. ისინი სხვადასხვა ქორწინებიდან დაიბადნენ. ლაკიაზე მოკრივე 2009 წელს დაქორწინდა, ქალიშვილ **ეკსოდუსის** დაღუპვიდან ცხრა დღის შემდეგ. ბავშვმა შემოხვევით ტრენაჟორის კაბელი შემოიხვია კისერზე და დაიხრჩო.

დონ კინგი: საუკუნის ბრძოლა იქნება

ლეგენდარული ამერიკელი პრომოუტერი **დონ კინგი** აცხადებს, რომ კრივის სამყაროში ყველაზე სასურველი ბრძოლა - **ფლოიდ მეივეზერი მენი პაკიაოს** წინააღმდეგ - აუცილებლად გაიმართება. შეგახსენებთ, რომ ბოლო ათწლეულის ორი საუკეთესო მოკრივის ჩხუბი გასული წლის გაზაფხულზე უნდა გამართულიყო, მაგრამ მხარეები დოპინგზე შემოწმების საკითხში ვერ შეთანხმდნენ.

„მეივეზერი კიდევ იჩხუბეს, - ამბობს დონ კინგი. - ჩემი მოკრძალებული აზრით, სწორედ ის მიიჩნევა მსოფლიოს საუკეთესო მოკრივედ. მას ნებისმიერთან შეუძლია იჩხუბოს და მოიგოს. თუ მოინდომებს, ყოველ ოთხ თვეში ერთხელ გავა რინგზე. დარწმუნებული ვარ, რომ მათი შეხვედრა რინგზე გარდაუვალია. ისინი აუცილებლად უნდა შეხვდნენ ერთმანეთს“.

მებრძოლი ოსკარს უმიზნებს

ორი დღის წინ ამერიკის კინოაკადემიამ 2011 წლის „ოსკარის“ პრეტენდენტთა სია გამოქვეყნა. სავარაუდო ლაურეატთა შორის მოხვდა ფილმი „მებრძოლი“ (The Fighter), რომელიც ექვს ნომინაციაშია წარდგენილი, მათ შორის „საუკეთესო ფილმის“ ნომინაციაში.

ეს ფილმი მოგვითხრობს ირლანდიური წარმოშობის ამერიკელ მოკრივე - **მიკი უორდზე** (მსახიობი **მარკ უოლბერგი**), მწვრთნელ **დიკ ეკლუნდთან** (**კრისტიან ბეილი**) დამოკიდებულებასა და პროფესიული კრივის მწვერვალებისკენ გავლილ გზაზე.

„საუკეთესო ფილმის“ გარდა, სურათი შემდეგ ნომინაციებში მოხვდა, „მამაკაცის საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლი“ (კრისტიან ბეილი), „ქალის საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლი“ (**ემი ადამსი** და **მელისა ლეო**), „საუკეთესო რეჟისორი“ (**დევიდ ო. რასელი**), „საუკეთესო სცენარი“ (**ერიკ ჯონსონი, სკოტ სილვერი** და **პოლ ტეიმესი**) და „საუკეთესო მონტაჟი“.

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უროჯერო

პირველად 2008 წლის შემდეგ „დიდი სლემის“ ტურნირის ფინალში არ იქნება არც **რაფაელ ნადალი** და არც **როჯერ ფედერერი**. ბოლოს ასეთი შემთხვევა 2008 წლის ავსტრალიის ღიაზე დაფიქსირდა, როცა ფინალში **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და **ჟო-ვილფრიდ ცონგა** შეხვდნენ ერთმანეთს.

გუშინ, შვეიცარიელი ლეგენდა ჯოკოვიჩმა გაუშვა შინ. ამ ჩოგბურთელების დაპირისპირებას დიდი ისტორია აქვს. გუშინდელი ნახევარფინალი საიუბილეო, მე-20 შეხვედრა იყო. აქედან ნახევარზე მეტი ფედერერს ჰქონდა მოგებული - 13:6. პირველად ჯოკოვიჩმა ფედერერი 2008 წელს ავსტრალიის ღია პირველობაზე დაამარცხა. მაშინ სერბმა ნახევარფინალი სამ სეტში მოიგო და „დიდი სლემის“ პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ტიტული დაისაკუთრა.

წელს ორივე მათგანმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. როჯერს მეორე წრეში ნამდვილი მარათონის გადატანამ მოუწია **ჟილ სიმონთან** და მხოლოდ მეხუთე სეტში დაძლია ფრანგის წინააღმდეგობა. ჯოკოვიჩმა ნახევარფინალამდე მხოლოდ ერთი სეტი წააგო - მეორე წრეში ხორვატ **ივან დოდიგთან**, თუმცა ეს გაუგებრობა კონცენტრაციის დაკარგვას დაუბრალა.

მატჩმა ნაწილობრივ გაამართლა მაყურებელთა მოლოდინი. თამაში მაღალ ტემპში მიდიოდა. უფრო აქტიურად ფედერერი გამოიყურებოდა, მაგრამ არც ჯოკოვიჩი რჩებოდა დაცვაში და ხშირად კარგად გადადიოდა შეტევაზე. სერბი ტრადიციულად ტვირთავდა მეტოქის ბექჰენდს, რომელიც როჯერს პერიოდულად არ უვარგოდა. გარდა ამისა, შვეიცარიელს ჩვეულებრივზე ნაკლებად ეხმარებოდა მოწოდება. ამ მხრივ სერბი უკეთ გამოიყურებოდა - პირველი მოწოდების სიზუსტე 63 პროცენტი ჰქონდა, პირველი მოწოდებზე მოგებული ქულები - 73 პროცენტი.

სასტარტო სეტში ჩოგბურთელები ძალიან კარგად თამაშობდნენ საკუთარ მოწოდებებზე. გამონაკლისი იყო სასტარტო გეიმი, სადაც ჯოკოვიჩმა ზედიზედ ორი ორმაგი შეცდომა დაუშვა და მეტოქეს ბრეიკ-პოინტი აჩუქა, მაგრამ იქვე გამოასწოროა სიტუაცია. ჩოგბურთელები მშვიდად მივიდნენ ტაი-ბრეიკამდე, სადაც სერბმა თითქმის იდეალური და უშეცდომო ჩოგბურთი აჩვენა, იმ დროს, როცა შვეიცარიელი გადამწყვეტ მომენტებში ბევრს ცდებოდა - 7:6(7:3).

მეორე სეტში მოვლენათა ჩვეული სვლა შეიცვალა. ორივეს მოწოდება გაუარესდა და მიღება გაუმჯობესდა. პირველი ბრეიკი ჯოკოვიჩმა გააკეთა, მაგრამ ამის შემდეგ მის თამაშში ჩავარდნა დაიწყო. მოკლე პერიოდში „ჯოკერმა“ ორჯერ დათმო საკუთარი მოწოდება და ფედერერი 1:2-დან 5:3 დაწინაურდა. მაგრამ როჯერს მაშინ უმტყუნა ნერვებმა, როცა სეტზე მოსანოდებლად გაემზადა. სერბმა ტემპი დაიჭირა და იმდენი ქნა, რომ ზედიზედ ოთხი გეიმის მოგებით ტაი-ბრეიკი აიცილა თავიდან - 7:5.

მესამე სეტში ნოვაკმა ისევ შეძლო ნაადრევი ბრეიკის გაკეთება. სერბი თავის ძალებში აბსოლუტურად დარწმუნებული ჩანდა - მეტოქის გეიმებზე თავს არ იკლავდა და თავისი მოწოდების შენარჩუნებაზე ფიქრობდა. მაგრამ ფედერერმა ბოლოჯერ გაბრძოლება სცადა და გამოუვიდა კიდეც - ძალიან გრძელ მერვე გეიმში ბრეიკი გააკეთა... და იქვე ისევ წააგო თავისი გეიმი. ნოვაკმა პირველივე ცდაზე შეძლო მატჩზე ჩაწოდება - 6:4.

ასე რომ, ფედერერმა ვერ შეძლო შარშანდელი ტიტულის დაცვა. უფრო მეტიც, მან „დიდი სლემის“ ზედიზედ მეოთხე ტურნირის ფინალს ვერ მიაღწია, რაც ბოლო რვა წელია არ მომხდარა. ნოვაკი კი მეოთხედ გავიდა „დიდი სლემის“ ფინალში და თუ კვირას გადამწყვეტ მატჩს მოიგებს, რეიტინგში მეორე ადგილზე ფედერერს ჩაანაცვლებს.

■ ■ ■

გუშინ ქალებს შორის ორივე ფინალისტი გაირკვა. ერთი ნახევარფინალი კანონზომიერი შედეგით დასრულდა, მეორე - სენსაციით.

ნახევარფინალისტებიდან მხოლოდ **კიმ კლაისტერსს** ჰქონდა ნათამაშები ავსტრალიის ღიას ფინალში, თუმცა ეს შორეულ 2004 წელს მოხდა. მისი მეტოქისთვის, რუსი **ვერა ზვონარევასთვის** ავსტრალიაში საუკეთესო შედეგი ნახევარფინალი იყო (2009). ბოლო შედეგებიდან გამომდინარე, მას შეეძლო უფრო მაღალ მიზნებზე ეფიქრა, რადგან მანამდე უიმბლდონისა და აშშ-ის ფინალში გასვლა შეძლო. გარდა ამისა, კლაისტერსის დიდ სპორტში დაბრუნების შემდეგ ბელგიელი და რუსი ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ზვონარევამ სამჯერ შეძლო კიმის დამარცხება.

მაგრამ ამ გათვლებს გუშინ არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონია. ზვონარევამ პრაქტიკულად ვერაფერი დაუპირისპირა ბელგიელის აგრესიულ თამაშს. რუსის მოქმედება ერთფეროვანი იყო, ასეთ სტილში კი კლაისტერსის დამარცხება შეუძლებელია. თუმცა პირველი სეტის პირველივე გეიმში ზვონარევამ ბრეიკი გააკეთა, მაგრამ ეს მისი ერთადერთი წარმატება იყო მთელი მატჩის განმავლობაში. კლაისტერსმა მაშინვე დაიბრუნა დაკარგული, 4:3-ზე კი ისევ აიღო მეტოქის მონოდება. ეს გეიმი გადამწყვეტი აღმოჩნდა პირველ პარტიაში - 6:3 ბელგიელის სასარგებლოდ.

კიდევ უფრო იოლად მოიგო კიმმა მეორე პარტია. რუსს ორად ორი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა და შანსი ვერ გამოიყენა, კიმმა კი ორი ბრეიკი აიღო და ისევ 6:3 გაიმარჯვა. ამ მოგებით ბელგიელმა გაინაღდა რეიტინგში მეორე ადგილი. ჩოგბურთში დაბრუნების შემდეგ კლაისტერსი ასე მაღლა ჯერ არ ასულა.

ახლა კიმი ფინალში შეხვდება ჩოგბურთელს, რომელთანაც წელს უკვე მოასწრო წაგება - ჩინელმა **ნა ლიმ** კლაისტერსი სიდნეის ტურნირის ფინალში დაამარცხა, თანაც ორ სეტში. ასე რომ, აზიელი წელს ერთადერთი ჩოგბურთელია, ვისაც ჯერ ოფიციალური მატჩი არ ნაუგია. თუმცა გუშინ ლი ახლო იყო **კაროლინ ვოზნიაცკის** წინააღმდეგ წაგებასთან. შარშან დანიელი და ჩინელი ასევე შეხვდნენ ერთმანეთს ავსტრალიის ღიაზე და ჩინელმა ორ სეტში გაიმარჯვა, თუმცა ეს 1/8 ფინალში მოხდა.

ამჯერად თითქოს გამარჯვება ვოზნიაცკის უნდა დარჩენოდა. დანიელი თითქმის არ ცდებოდა დაცვაში, ჩინელს კი ძალა და სიზუსტე აკლდა. სწორედ ამის წყალობით მოიგო პირველ ჩოგანმა პირველი სეტი და მეორეში ბრეიკით დაწინაურდა.

მეორე პარტიის ბოლოს ჩოგბურთელებმა ბრეიკები გაცვალეს - ნა ლიმ გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ კაროლინმა იქვე დაიბრუნა უპირატესობა და მატჩზე ჩაწოდების უფლება მიიღო. თითქოს ამით ყველაფერი უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ჩინელმა საკუთარი ძალების ირწმუნა, შესანიშნავი შეტევით მოიგერია მატჩბოლი და ანგარიში გაათანაბრა. ამის შემდეგ კორტზე სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. ნა ლის დარტყმები უფრო ხშირად აღწევდა მიზანს, ვოზნიაცკი კი ანერვიულდა და შეცდომებს უმატა. საბოლოოდ, მეორე სეტი მან ორმაგი შეცდომით დაასრულა, მესამეში მართალია ორჯერ გააკეთა ბრეიკი, მაგრამ ნა ლი დამაჯერებლად აკონტროლებდა სიტუაციას და ჩინელმა შანსი არ გაუშვა: ორსაათნახევრიან ბრძოლაში პირველივე მატჩბოლი გამოიყენა - 3:6, 7:5, 6:3. ასე შევიდა ლი ჩინური ჩოგბურთის ისტორიაში - ამ ქვეყნის პირველი წარმომადგენელი გახდა, ვინც „დიდი სლემის“ ტურნირის ფინალში გავიდა.

ქალები

1/2 ფინალი

ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)-როჯერ ფედერერი (შვეიც, 2) 7:6(3), 7:5, 6:4.

ქალები

1/2 ფინალი

ნა ლი (ჩინ, 9)-კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1) 3:6, 7:5, 6:3; **კიმ კლაისტერსი (ბელ, 3)**-ვერა ზვონარევა (რუს, 2) 6:3, 6:3.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ტრიუმფატორი ნოვაკი